

# საქართველოს იკლიოთეკა

12.39  
2003

№3 2003

ISSN 1512-0880

## შურნალის თანამდგომთა საბჭო

ნოდარ ამბლობელი  
შოთა აფაქიძე  
ლევან ბერძენიშვილი  
თამაზ გამყრელიძე  
სესილი გოგიბერიძე  
მალხაზ ბაალიშვილი  
დავით თარხან-მოურავი  
ნანა კანდელაკი  
ალექსანდრე კარგომია  
თეიმურაზ კომახიძე  
ლია ნადარეიშვილი  
თემურ ქლენგი  
ვახტანგ სართანია  
აკაკი სიხარულიძე  
ბაკურ სულაკაური  
ირაკლი ღარიბაშვილი  
რევაზ ღლონგი  
თეიმურაზ ჩხენკელი  
ირინა ჭანგურიშვილი

## შურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის  
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი

გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და  
კორექსორულ-ტექნიკური მუშაობის რედაქტორ-  
კოორდინატორი

## ინდსაწარმო „ალი“


დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია  
ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;  
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

## რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გულიაშვილის ქ. 7  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა  
ტელ. 93-26-82



ქურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ



საბიბლიოთეკო კვირეული  
საქართველოში

# საქართველოს ბიბლიოთეკა № 3 – 03

## უ ი ნ ა ა რ ს ი

ბიბლიოთეკის მართვის თანამედროვე კონცეფცია .....	4
<b>მეთოდური დამუშავება</b>	
ნანა ქავთარაძე – ბიბლიოთეკის დაკომპლექტების არაგრაფიული ფორმები და საშუალებები .....	7
ცისანა წერეთელი, ქეთევან ჯორბენაძე – საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის მოგიერთი ასპექტი .....	12
<b>საერთაშორისო კონტაქტები</b>	
ომარ შოთაშვილი – საუბრები განსჯისათვის .....	16
<b>ტერმინოლოგიური ძიებანი</b>	
ბადრი ცხადაძე – წიგნმცოდნეობით – პალეოგრაფიული გერმინები ქართულში (1. არშია, 2. კილე, კილური) .....	24
<b>გვესაუბრება პროფესიონალი</b>	
ნანა ვასაძე – შედეგებზე ფიქრით (გამომხაურება) .....	27
გულნარა სტურუა – უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების სამართლებრივი უფლებები .....	29
<b>გამოცდილების გაზიარება</b>	
სანამ ნერსესოვა – მოსწავლე მკითხველთა შესწავლა სასკოლო ბიბლიოთეკაში .....	32
<b>კორესპონდენციები</b>	
ლია ურდულაშვილი – დილოსტაგის გახსენება .....	35
ნანა ვასაძე – სპეციალისტთა საქმიანი შეხვედრა .....	37
ლია მეტრეველი – საიუბილეო დღეების ქრონიკა .....	40
ლალი ყაულაშვილი – პოეტი იუბილარი .....	42
ნელი თეთრუაშვილი – „სახლი კითხვისა“ .....	43
ვერიკო კერაგიშვილი – „სადაც ვშობილვარ, გაუმრდილვარ!“ .....	45
ნათელა ლობჯანიძე – ნორჩ შემოქმედთა კონკურსი „ლექსო ნუ დიკარგები!“ .....	47
<b>წიგნის ზეიმი</b>	
დარეჯან კოტეტიშვილი – უკეთესი მომავლის საწინდარი .....	49
<b>მოსაზრება</b>	
ალექსანდრე ლორია – წიგნი შეუნიშნავი არ უნდა დარჩეს .....	51
<b>მოგონებები</b>	
რედაქციისგან: განვლილი გზის ანარეკლი .....	53
ნანა კანდელაკი – იმ დღეს რა დამავიწყებს .....	54
ალექსანდრე ლორია – ხსოვნიდან წარუშლელი შეხვედრები .....	56
<b>შთაბეჭდილებები</b>	
თათია ნათენაძე – ვარძია; (რაც ვიცი და რასაც განვიცდი) .....	58
<b>ჩვენ გვწერენ</b>	
ალექსანდრე ნამორაძე – ქართველი ბიბლიოთეკარები ამერიკის შეერთებულ შტატებში .....	61
<b>საცნობოდ საკითხავი</b>	
მარინე ჩიქავა – IFLA .....	62
წიგნზე ამბობენ .....	65
<b>ქრონიკა</b>	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები .....	66
<b>კონწარას კლუბი</b>	
გულნარა სტურუა – რატომ არ გინდათ ჰგავდეთ მუბალაშვილებს? .....	67
კონწარა – ბაბუის ნაჭაში გყვამალი .....	70

## Библиотека Грузии, №3-03

## Содержание

Современная концепция управления библиотекой .....	4
<b>Методические разработки</b>	
Нана Кавтарадзе - Нетрадиционные формы и возможности комплектования библиотек .....	7
Цисана Цееретели, Кетеван Джорбенадзе - Некоторые аспекты справочно-библиографической работы в сфере естественных наук .....	12
<b>Международные контакты</b>	
Омар Шоташвили - Беседы для размышления .....	16
<b>Терминологические изыскания</b>	
Бадри Цхададзе - Палеографические книговедческие термины в грузинском языке: (1. аршиа, 2. киде // кидури) .....	24
<b>Беседует профессионал</b>	
Нана Васадзе - Размышляя о результатах (Отзыв) .....	27
Гульнара Стура - Юридические права библиотек высших учебных заведений .....	29
<b>Обмен опытом</b>	
Санам Нерсесова - Изучение читателей-учащихся в школьной библиотеке .....	32
<b>Корреспонденция</b>	
Лия Урдулашвили - Воспоминание о великом мастере .....	35
Нана Васадзе - Деловая встреча специалистов .....	37
Лиа Метревели - Хроника юбилейных дней .....	40
Лали Каулашвили - Поэт-юбиляр .....	42
Неми Тетруашвили - "Дом Чтения" .....	43
Верико Кератишвили - "Там, Где родился и вырос!" .....	45
Натела Лобжанидзе - Конкурс юных сочинителей "Не потеряйся, стих!" .....	47
<b>Праздник книги</b>	
Дареджан Котетишвили - Залог лучшего будущего .....	49
<b>Мнения</b>	
Александр Лория - Книга не должна остаться незамеченной .....	51
<b>Воспоминания</b>	
От редакции: Отражение пройденного пути .....	53
Нана Канделаки - Как я смогу забыть тот день .....	54
Александр Лория - Незабываемые встречи .....	56
<b>Впечатления</b>	
Татиа Натенадзе - Вардзиа (Что знаю и о чем переживаю) .....	58
<b>Нам пишут</b>	
Александр Наморадзе - Грузинские библиотекари в Соединенных Штатах Америки .....	61
<b>Чтения для любознательности</b>	
Марина Чикава - IFLA .....	62
О книге говорят .....	65
<b>Хроника</b>	
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты .....	66
<b>Клуб Концары</b>	
Гульнара Стура - Почему не хотите быть похожими на Зубалашвили? .....	67
Концары - Ткемали, съеденный дедушкой .....	70

## Georgian Library №3-03

## Table of Contents:

Modern Conception Of Library Management .....	4
<b>Methodological Analyzes</b>	
Nana Kavtaradze: Unconventional Ways and Means Of Library Acquisition .....	7
Tsisana Tsereteli: Certain Aspects Of Reference-Bibliographical Work In The Field Of Natural Sciences .....	12
<b>International Contacts</b>	
Omar Shotashvili: Conversation For Discussions .....	16
<b>Terminological Searches</b>	
Badri Tskhadadze: Paleographic - Book-Learning Terms In Georgian. (Arshia, Kide, Kiduri) .....	24
<b>Speaking With Professional</b>	
Nana Vasadze - Thinking Of The Results (Response) .....	27
Gulnara Sturua: Legal Rights Of The University Libraries .....	29
<b>Sharing Experience</b>	
Sanam Nersesova: Study Of Students Readers At The School Libraries .....	32
<b>Correspondences</b>	
Lia Urdulashvili: Reminiscences Of Greatest Master .....	35
Nana Vasadze: Specialists' Business Meeting .....	37
Lia Metreveli: Chronical Of Jubilee Days .....	40
Lali Kavlashvili: Poet's Jubilee .....	42
Neli Tetrushvili: "House Of Reading" .....	43
Vasiko Keratishvili: "Where I Was Born And Grown!" .....	45
Natela Lobzhanidze: Young Talented Creators' Contest. "Don't Miss The Verse" .....	47
<b>Book Festival</b>	
Darejan Kotetishvili: For The Sake Of Better Future .....	49
<b>Thoughts</b>	
Aleksandre Loria: Book Shouldn't Remain Unnoticed .....	51
<b>Reminiscences</b>	
From Editors: Reflection Of Passed Way .....	53
Nana Kandelaki: How Can I Forget That Day .....	54
Aleksandre Loria: Unforgettable Meetings .....	56
<b>Impressions</b>	
Tatia Nafenadze: Vardzia (What I Know And What I Feel) .....	58
<b>We Are Written</b>	
Aleksandre Namoradze: Georgian Librarians In The USA .....	61
<b>Reference Literature</b>	
Marine Chikava: IFLA .....	62
Said About Book .....	65
<b>Chronicle</b>	
Chronicle Of Georgian Library: Events, Facts .....	66
<b>Kontsara Club</b>	
Gulnara Sturua: Why Don't You Want To Be Like Zubalashvilis? .....	67
Kontsara: Grandfathers's Deeds Reach Their Offsprings .....	70

## ბიბლიოთეკის მართვის თანამედროვე კონსეფსია

**ზ**არდამავალ პერიოდში ნებისმიერი ტიპის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა, მისი მართვა ობიექტურად მოითხოვს ახლებურ მიდგომას, რაც განპირობებულია ბოლო პერიოდში შექმნილი მდგომარეობითა და, საერთოდ, საბიბლიოთეკო საქმეში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრებით.

ბიბლიოთეკების მართვისადმი ახლებური მიდგომა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ეკონომიკის პირობებში მათი ფუნქციონირებით. ბიბლიოთეკის მენეჯერმა ობიექტურად ანგარიში უნდა გაუწიოს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს და პირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ მიაღწევს სასურველ ეფექტს. მეორე ფაქტორი, რომელიც ასევე ანგარიშგასაწვეი და ყურადსაღებია, არის ის, რომ ბიბლიოთეკებმა ბოლო პერიოდში მოიპოვეს მეტნაკლებად თვალშისაცემი ფინანსური და იურიდიული დამოუკიდებლობა, ამ მხრივ მეტი წარმატება აქვთ რესპუბლიკურ და დარგის მთავარ ბიბლიოთეკებს, რომელთა საფინანსო ხარჯები წინასწარ არის დაგეგმილი. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვამ მოითხოვა ბიბლიოთეკების ორგანული კავშირი საინფორმაციო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკები იმთავითვე ასრულებდნენ საინფორმაციო სამსახურის ფუნქციებს, მაგრამ საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვამ ერთგვარად ოპერატიული გახადა ბიბლიოთეკების მუშაობის ეს მიმართულება. ინფორმაციის უამრავ ნაკადსა და წყაროში ბიბლიოთეკების არსი, დანიშნულება და მოქმედება მჭიდროდ უკავშირდება მოსახლეობის ინფორმირების სხვა საშუალებებსა და ფორმებს; ეს გარემოება ბიბლიოთეკების მმართველობით აპა-

რატს უყენებს ახალ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე კონსეფციის შესაბამისად არ ნიშნავს მხოლოდ შრომითი კოლექტივების მართვას. დიდ ბიბლიოთეკაში ცალკეული მიმართულებების მართვა მოითხოვს გონივრულ, კოორდინირებულ მუშაობას. ასეთი მიმართულებისგან ცალკე შეიძლება გამოიყოს ისეთი სფეროების მართვა, როგორებიცაა: საბიბლიოთეკო ფონდების მართვა, ბიბლიოთეკების საცნობარო აპარატის ორგანიზება, მეთოდური სამსახურის მართვა. ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანა, მისი ძირითადი მისია და მიზანდასახულობა არის მკითხველთა საინფორმაციო და საცნობარო ბიბლიოთეკური მომსახურების გაუმჯობესება; ამიგომ მართვის ყველა რგოლი, ყველა მიმართულება მიზნად უნდა ისახავდეს ბიბლიოთეკის ძირითადი დანიშნულებისა და ამოცანის პროცესების წარმატებით გადაწყვეტაში ხელშეწყობას; საბიბლიოთეკო პროცესების ცალკეული უბნების მართვა ორგანულად ურთიერთკავშირშია და ხშირად ერთიმეორეს განაპირობებს: ეს გარემოება მენეჯერისაგან მოითხოვს საბიბლიოთეკო პროცესების სპეციფიკური ნიშნების კარგად ცოდნასა და მათი მართვის ხელოვნების დაუფლებას. ბიბლიოთეკების მართვა ერთგვარი ხელოვნებაა, ერთგვარი პროცესია, რომელშიც ორგანულადაა შეწყობილი მართვის თეორია, პრაქტიკა და მეთოდოლოგია.

ბიბლიოთეკების მართვის თანამედროვე კონსეფციის თანახმად, ბიბლიოთეკების ეფექტური ფუნქციონირება ბევრადაა დამოკიდებული ბიბლიოთეკის სამოქმედო მიკრორაიონის (ს/რაიონის) სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისებურებებზე, იმ გარემოებაზე, რომელშიაც

ბიბლიოთეკას უხდება მუშაობა. ეს ობიექტური კანონზომიერებაა. საქართველოს საბიბლიოთეკო პრაქტიკამ ბოლო წლების მანძილზე ობიექტურად განიცადა ყველა იმ ცვლილებისა და გარდაქმნის გავლენა, რომელიც მიმდინარეობდა ქვეყანაში ბოლო ათი წლის მანძილზე, ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებმა, მენეჯერებმა და საერთოდ, ამ სფეროს მართვის რგოლებმა, რომლებმაც დროულად აუღეს ალლო ამ ცვლილებებს, ოპერატიულად მიიღეს დროის შესაფერისი გადაწყვეტილებები, ბიბლიოთეკების დირექტორების ერთმა ნაწილმა, გააანალიზა რა შექმნილი ვითარება, კავშირი დაამყარა ქვეყანაში მოქმედ საერთაშორისო ფონდებთან, წიგნის გამომცემელ ფირმებთან და კომპანიებთან, საელჩოებთან, ქვეყნის დიდ ბიბლიოთეკებთან. იმ რეგიონებში, სადაც მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბდა ფონდების მართვისა და საინფორმაციო სამსახურების გაძღოლის თვალსაზრისი. ბევრმა ბიბლიოთეკამ, მათ შორის რეგიონებში მოქმედმა დაწესებულებებმაც გამონახეს ფონდების განახლების საშუალებები საერთაშორისო ფონდების ხელშეწყობითა და ფინანსური დახმარებით. ეს ბიბლიოთეკების მენეჯერების აქტიურობასა და ინიციატივას საქმიანობაზე მიუთითებს; ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მხრივ ბიბლიოთეკების დაფინანსება მათი საბიბლიოთეკო ღირებულების განახლების მიზნით, თითქმის არ წარმოებს, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისაგან მოითხოვს დამატებით, ხოლო ბევრ შემთხვევაში ძირითადი საშუალებების ძიებას, რათა მინიმალურად მაინც დაკმაყოფილდეს მკითხველი საზოგადოების საინფორმაციო და საბიბლიოთეკო ბიბლიოგრაფიული მოთხოვნები.

თანამედროვე, საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ფართოდ იწერება მმართველობითი მუშაობის ახალი ფორმები: საბიბლიოთეკო მარკეტინგი, სტრატეგიული დაგეგმარება, ინოვაციური ფორმების ძიება, საბიბლიოთეკო სფერო აღსავსეა ინტელექტუალური, შემოქმედებითი ძალებით, მართვის ხელოვნების საიდუმლოება სწორედ ის

არის, რომ აამოქმედოს ეს ძალები და გამოიყენოს ისინი თავისი მისიის წარმატებით შესრულების საქმეში.

თანამედროვე მენეჯმენტის ერთი ძირითადი მიმართულება საბიბლიოთეკო სფეროში – ეს არის ადამიანის ფაქტორის წინ წამოწევა; თითოეული თანამშრომლის შესაძლებლობათა და უნარის მაქსიმალურად მიზანდასახული გამოყენება. ეს ურთულესი პრობლემატაგანია მართვის თვალსაზრისით. ბიბლიოთეკების მენეჯერს უნარი უნდა შესწდეს ახლოს მივიდეს თითოეული თანამშრომლის ბუნებასთან; იცოდეს მისი უნარი, ხასიათი, ფსიქოლოგიური და ეთიკურ-ესთეტიკური სამყარო; ყველაფერი ეს მისი მოტივირებისთვის არის საჭირო. კარგი მენეჯერის ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდება მაღალი ეფექტურობის მიღწევა ნაკლები შრომითი რესურსების გამოყენებით. აქ ერთიმეორეს ერწყმის ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები. სწორედ ეკონომიკური ფაქტორები ხდება ბევრ შემთხვევაში გადამწყვეტი, როდესაც საქმე გვაქვს ინდივიდის ინტელექტუალურ და შემოქმედებით შესაძლებლობათა მაქსიმალურ რეალიზაციასთან.

საბიბლიოთეკო მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციით, სახელმწიფო არ ერევა ბიბლიოთეკების პროფესიულ საქმიანობაში. ეს აზრი ღომინირებს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოში მოქმედ კანონშიც (მუხლი 4). ბიბლიოთეკის მენეჯერი პასუხისმგებელია საკუთარი დაწესებულების წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე, იგი დამოუკიდებლად ახორციელებს მართვის ყოველგვარ პროცედურას. ამ საქმეში წარმატება ბევრად დამოკიდებულია, როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიოთეკის გარეგან ფაქტორებზე. რა თქმა უნდა, შიდასაბიბლიოთეკო სამუშაოების პროფესიულ ღონებზე წარმართვა ბევრად განპირობებულია გარეშე ფაქტორების მიზანმიმართულ გამოყენებაზე (საფინანსო პოლიტიკა, კადრების განსაზღვრა, კოდინირებული მუშაობა შესაბამის ორგა-

ნიმაცეებსა და დაწესებულებებთან და სხვა).

საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებათაგანია ინოვაციური პროცესების მართვა. გერმინი ინოვაცია სიახლეს, ახალს ნიშნავს. ბოლო 7-8 წლის მანძილზე მრავალი სიახლე შემოვიდა და დაინერგა არამარტო საბიბლიოთეკო პრაქტიკაში, არამედ კონკრეტულად მართვის სფეროში. მმართველობითი აპარატის უფლებამოსილება ბევრ შემთხვევაში გადაინაწილდა ჰორიზონტალურ რგოლებზე, ამაღლდა ბიბლიოთეკაში სტრუქტურული ქვეგანყოფილებებისა და სექტორების გამგეთა პასუხისმგებლობა. ბიბლიოთეკის თითოეული თანამშრომელი თანაბრად პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის საბოლოო მიზნის რეალიზაციის პროცესზე.

ბიბლიოთეკის მართვის ობიექტი შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად რგოლად, მიმართულებად:

1. საკუთრივ ბიბლიოთეკა და მისი სტრუქტურული დანაყოფები;
2. საბიბლიოთეკო პერსონალი;
3. საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული რესურსები;
4. ეკონომიკური რესურსები.

ბიბლიოთეკის ფუნქციონირების შინაგანი ფაქტორებიდან ყველაზე ღირებულია ადამიანური ფაქტორი, საბიბლიოთეკო პერსონალი თავისი ფსიქოლოგიური და მორალურ-ეთიკური ღირებულებებით. ეს ფაქტორი არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის ეფექტური ფუნქცი-

ონირებისათვის. გარეგანი ფაქტორების გამოყენება ბიბლიოთეკის მიზნებისათვის, სწორედ ადამიანური რესურსების მეშვეობითაა შესაძლებელი. საბიბლიოთეკო პრაქტიკას ახსოვს არაერთი და ორი მაგალითი იმისა, თუ როგორი იყო თუნდაც ბიბლიოთეკების დაკომპლექტების ხარისხი იმ დროს, როდესაც დიდი იყო ბიბლიოთეკის ფინანსური შესაძლებლობები, უფრო სწორედ – სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობები.

შრომის დანაწილება ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებათაგანია.

ეს მიმართულება თანამედროვე ეტაპზე ძირეულად შეიცვალა. აქცენტი გადატანილი იქნა შრომის ჰორიზონტალურ დანაწილებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებაზე თანაბრად პასუხისმგებელია ე.წ. ქვედა რგოლები. აქ იგულისხმება ბიბლიოთეკის განყოფილებები, სექტორები, მუშა ჯგუფები; თითოეული თანამშრომელი, რომელთა შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს საბოლოო მიზნის მისაღწევად. მენეჯერის წარმატებული ფუნქციონირებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის ისეთიგვარ დანაწილებას, სადაც შესასრულებელი სამუშაო ძირითადად შეესაბამება თანამშრომლის კვალიფიკაციას, მის ხასიათს, შესაძლებლობას, მონდომებასა და უნარს.





ნანა ქავთარაძე,

ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის  
ცენტრის მთავარი სპეციალისტი

## ბიბლიოთეკის დაკომპლექტების არატრადიციული ფორმები და საშუალებები

**ზ**ასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ისე როგორც სხვა დარგებში, საბიბლიოთეკო საქმეებზე განიცადა ცვლილება.

საქართველოს ბიბლიოთეკები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მრავალი ბიბლიოთეკა გაუქმდა და მათ კუთვნილ შენობებში სხვადასხვა დაწესებულებები გაიხსნა. გარდა ამისა, დარჩნენ სრულიად უსახსროდ, დაფინანსება ან დაბალია, ან სულ არა აქვთ, რამაც სერიოზული პრობლემები შექმნა ფონდების ახალი ლიგურატურით დაკომპლექტების მხრივ.

დროის ცვლილებასთან ერთად, გაიზარდა მკითხველთა მოთხოვნები ბიბლიოთეკების მიმართ. გაჩნდა შედარებით ახალი მომხმარებელთა ჯგუფები: დეპუტატები, კვალიფიკაციის შეცვლის მსურველები. გაიხსნა ბევრი კომერციული უმაღლესი სასწავლებელი, რომელთაც არა აქვთ თავისი ბიბლიოთეკა და შესაბამისად გაიზარდა მომხმარებელ სტრუქტურის რიცხვიც. თანამედროვე სამოგადოებისთვის აქტუალური გახდა თემები ბიზნესის, დემოკრატიის, ისტორიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ეკოლოგიისა და უცხო ენების საკითხებზე. ბიბლიოთეკების ფონდები მკითხველების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

კრიტიკული მდგომარეობაა შექმნილი ბიბლიოთეკების პერიოდიკით მომარაგების საქმეშიც. განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ღარიბი რედაქციები ვერ იხდიან გადაგზავნის თანხებს. მოგიერთ რაიონში კი ადგილობრივი გაზეთის რედაქცია სულ დაიხურა (მაგ. დუშეთში). პრობლემების მოგვარება ძალიან რთულია მრავალი მიზეზით და მათ შორის ერთ-ერთი მთა-

ვარი – ბიბლიოთეკების უსახსრობაა. ძირითადი დამფინანსებელი, რა თქმა უნდა, ხელისუფლება უნდა იყოს, მაგრამ მას ჩვენს ქვეყანაში არ გააჩნია სათანადო სახსრები ან ნაკლებად აინტერესებს ბიბლიოთეკების დღევანდელი მდგომარეობა.

რა შეიძლება გაკეთდეს დღეს იმისათვის, რომ გადავარჩინოთ ბიბლიოთეკები? ერთადერთი გამოსავალი ალბათ ის არის, რომ მოიძებნოს სპონსორები ან მიმართონ ავტორებსა და გამომცემლებს, რათა დაეხმარონ ბიბლიოთეკებს და უსასყიდლოდ გადასცენ წიგნები და პერიოდული გამოცემები. მოგიერთი ბიბლიოთეკა მართლაც მიმართავს ამ ხერხს, მაგრამ ყოველთვის შედეგად არ არის. არსებობს სხვადასხვა ფორმები და საშუალებები, რომელთა გამოყენებით ბიბლიოთეკებს შეუძლიათ მოიპოვონ სახსრები წიგნების შესაძენად. მაგ.: რაიმე ფასიანი მომსახურების შემოღება, კომპიუტერის, პრინტერის და ქსეროქსის გამოყენება, დარბაზის გაქირავება ღონისძიებების ჩასატარებლად, ინფორმაციის მოძიება, გრანტების მიღება.

საქართველოს ისტორიიდან მრავალი მაგალითია ცნობილი, როცა სამოგადო მოღვაწე ბიბლიოთეკებისათვის საკუთარ წიგნებსაც იმეგობდა. ისევე ბიბლიოთეკების მუშაკებმა უნდა იაქტიურონ. გამოძებნონ ფორმები და საშუალებები, გამოცოცხლდეს სამოგადოება და დარწმუნდეს იმაში, რომ ბიბლიოთეკა ეროვნული სულიერი სამყაროა, რომელიც განადგურების პირასაა მისული და საჭიროებს დროულ დახმარებას.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ყველა მეთოდსა და ხერხს შორის ძირითადად დაკომპლექტების წყაროდ ისევ რჩება ავტორების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, გამომცემლობების, საზღვარგარეთის საელჩოების, სხვადასხვა ფონდებისა და კერძო პირების მიერ საჩუქრად გადაცემული ლიტერატურა.

სერიოზული სიძნელებები გააჩნია ამ მხრივ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასაც, რომელსაც ბოლო ათი წლის განმავლობაში წიგნების შესაძენად არ ჰქონია თანხა გამოყოფილი. მიუხედავად ამისა, საჩუქრებისა და შემოწირულობების სახით ხდება ფონდების შევსება ახალი და ძველი გამოცემებით, რისი მაგალითებიც საკმაოდ მოიპოვება. ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უნდა შეაგროვოს, მოუაროს და დაიცავს საკაცობრიო ცოდნის უნიკალური კოლექცია ამჟამინდელი და სამომავლო გამოყენებისათვის. საზოგადოების ყოველმა წევრმა უნდა შეიგნოს როგორც ეროვნული, ისე ყველა ბიბლიოთეკის როლი ერის კეთილდღეობაში. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ბიბლიოთეკებმა სათანადო ყურადღება და მხარდაჭერა მოიპოვონ.

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ფონდის შესავსებად სხვადასხვა ხერხს მიმართა და ერთ-ერთი ასეთია ავტორებთან და გამომცემლებთან ხელშეკრულების გაფორმება, რის შემდეგაც წიგნის საერთაშორისო ნომრის ISBN – ის და ქურნალის საერთაშორისო ნომრის ISSN-ის გაცემის შემდეგ ავტორები ვალდებული არიან ბიბლიოთეკას გამოცემის 3-5 ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადასცენ. ამან შედეგი გამოიღო და დღეისათვის ამ მეთოდით მრავალი წიგნი და ქურნალია შესული ბიბლიოთეკის ფონდში.

შემოწირულობების სახით ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბოლო სამი წლის (2000, 2001, 2002) მონაცემებით შემოსულია 25.835 ეგზემპლარი (ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ, ძვ. სპარსულ, იტალიურ, ამერბაიჯანულ და სხვ. უცხო ენებზე): 2000 წელს

- 8662 ეგზ.; 2001 წელს - 7396 ეგზ.; 2002 წელს - 9777 ეგზ..

საჭიროა ყველა წიგნი შეფასდეს. ამისათვის გაითვალისწინება წიგნის პოლიგრაფიული დონე, ხარისხი, წიგნის აქტუალობა, გვერდების რაოდენობა (მაგ. ენციკლოპედიები, გამოცემის წლის მიუხედავად, ფასდება ძვირად). ასევე ფასდება რარიტეტული ლიტერატურა, ლექსიკონები და ის მხატვრული ლიტერატურა, რომლის ავტორი პოპულარულია და არის სრული კრებული, ძველი (მე-17-18 საუკ.) ბუკინისგური გამოცემები, გრაფიკა, გამოჩენილ მხატვართა ალბომები.

არსებობს ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მიერ შედგენილი წიგნის შეფასების ინსტრუქცია, რომლის მიხედვით მხატვრული ნაწარმოების 1 გვერდი ფასდება 2 თეთრად, სამეცნიერო გამოცემის – 3 თეთრად.

სია იმ ავტორებისა, კერძო პირებისა, ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ფონდებისა, რომელთაც ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრის სახით გადასცეს წიგნები, ძალიან დიდია. მათ შორისაა გამომცემლობები, რომელნიც უსასყიდლოდ და აქტიურად აწვდიან ბიბლიოთეკას ყოველ ახალგამოცემულ წიგნს: „მერიდიანი“, „ამრი“, „მერანი“, „ინტელექტი“, „საარი“, „რალო“, „დედა ენა“, „ლაბპარი“, „ლოგოსი“, „კუნა გეორგიკა“, „ცისნამი“, „სანი“, „ლიგერა“, „საუნჯე“, „რუბიკონი“, „ლომისი“, „ზანი“, „ქართველოლოგი“, „ბენეფისი“, „ლეგა“, „დიოგენე“, „განათლება“, „კავკასიური სახლი“, „პლანეტა“ და სხვა.

კერძო ბიბლიოთეკებიდან თავისი წიგნები გადასცეს ბიბლიოთეკას ივ. საინდრაგამ (30 ეგზ.), ვადაჭკორიამ (286), თამარ ღონღუამ (80), ამირან კახიძემ (დაახლ. 540), დ. შენგელიამ (34), შაიშმელაშვილმა (230); კ. ანთაძის პირადი ბიბლიოთეკიდან 300 დასახელების წიგნია შემოსული ბიბლიოთეკის ფონდში. აკაკი რამიშვილის არქივიდან 33 ეგზემპლარი, მთავარეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ თავისი ბიბლიოთეკიდან 30 ეგზ. საეკლესიო და ისტორიული ლიტერა-

გურა შესწირა ეროვნულ ბიბლიოთეკას. უცხოელმა ჯონათან კოენმა 48 დასახელების წიგნი ინგლისურ ენაზე. არის შემთხვევები, როდესაც არ დასახელებენ ვინაობას. ასეთია იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში შემოსული 2 წიგნი მიქელანჯელოს შესახებ. მრავალი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდი შეავსო შემოწირულმა წიგნებმა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, საელჩოებიდან, საკონსულოებიდან, ეკლესიებიდან და მონასტრებიდან. დიდი ბრიტანეთის საკონსულოდან საჩუქრის სახით გადაეცა ბიბლიოთეკას 200 ეგზ., აშშ-ის ბიბლიოთეკათა განვითარების ფონდიდან 816., ა. დიუმას სახელობის ფრანგული ცენტრიდან 532., ისრაელის საელჩოდან 52., თურქეთის საელჩოდან 11., ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომ ბიბლიოთეკას გადასცა 1 ეგზემპლარი ფირდოუსის „შაჰნამე“ ძველ სპარსულ ენაზე, რომელიც 200 ლარად არის შეფასებული. საქართველოს საელჩომ რუსეთში ბიბლიოთეკას გამოუგზავნა 123 წიგნი რუსულ ენაზე. თბილისში ამერიკის საელჩოდან მიღებულია ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ გამოგზავნილი 18 დისერტაცია. გერმანული კულტურის ცენტრიდან 9 წიგნი გერმანულ ენაზე. მიღებულია აგრეთვე წიგნები საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ამერბაიჯანის საელჩოდან, საქართველოში ბერძნული კულტურის ცენტრიდან „მაკედონია“, კავკასიური სახლიდან, ლონდონიდან – გაერთიანებული სამეფო.

სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს საპატრიარქო, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია, თსუ-ს წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის გამომცემლობა, ნეკრესის ეპარქია და ჭულევის მონასტერი, რომელთაც ბიბლიოთეკას რელიგიური ლიტერატურა გადასცეს.

თავისუფლების ინსტიტუტმა 9 დასახელების 1000 ეგზემპლარი წიგნი გამოგზავნა, რომელიც გაეგზავნა საქართველოს ბიბლიოთეკებს. ასევე

გამომცემლობა „მერანმა“ საქართველოს რაიონების ცენტრალურ ბიბლიოთეკებს უსასყიდლოდ დაუგზავნა რამდენიმე დასახელების 1000 ეგზემპლარი წიგნი, ქართველ და გერმანულ ქალთა განათლებისა და სემინარების რეფერატები. შემომწირველთა შორის მრავალი ორგანიზაცია და დაწესებულებაა. ესენია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ევროკომისიის წარმომადგენლობა, სამოგადოების კვლევის ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მსოფლიო ბანკი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, ფონდი „ღია სამოგადოება-საქართველო“, უცხო ენათა ინსტიტუტი, ფონდი „ინტერნუსი“ და სხვ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორის აკაკი ძიძიგურის ოჯახმა ბიბლიოთეკას გადასცა 48 წიგნი. არც ბიბლიოთეკის თანამშრომლები ჩამორჩებიან სხვა ორგანიზაციებს. პირადი ბიბლიოთეკებიდან ბიბლიოთეკის ფონდს გადასცეს წიგნები გენერალურმა დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა, დირექტორის მოადგილემ ემზარ ჯგერენიამ, დეპარტამენტის უფროსმა ლევან თაქთაქიშვილმა, ბურაბ ჭიაბერაშვილმა, შუქურა ტაბიძემ, დოდო მჭედლიშვილმა, ფერიდე კვაჭანტირაძემ, ციური კოჭლაშვილმა, მარიკა მუხიგულმა. ხოლო პენსიაზე გასულმა თანამშრომლებმა, რომელთაც საერთო ჯამში 56 წიგნი გადასცეს საჩუქრად ბიბლიოთეკას, თავიანთი გვარები არ დაასახელეს.

თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ბიბლიოთეკების გაერთიანება (დირექტორი ციალა კალმახელიძე) ქალაქის მერიის კულტურის სამსახურს ეკუთვნის, საიდანაც ხდება მისი დაფინანსება წიგნებისა და პერიოდიკის შესაძენად. საქართველოს რაიონებისა და სოფლის ბიბლიოთეკებთან შედარებით, წიგნების შეძენის მდგომარეობა აქ უკეთესია. ქალაქის მერია თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებისათვის ყოვე-

ლწლიურად გამოყოფს საჭირო თანხებს წიგნებისა და პერიოდიკის შესაძენად. ამის გარდა, სპეციალური განკარგულებით, ყველა ახალგაზრდა მოცემული წიგნი, რომელიც შედის ქალაქის მერიაში, გარკვეული რაოდენობით გამოეყოფა ბიბლიოთეკების გაერთიანებას.

ქ. თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების ორ საქალაქო ბიბლიოთეკაში (ცენტრალური ბიბლიოთეკა და ა. წერეთლის სახ. №9 ფილიალი) არსებობს ფასიანი რეგისტრატურა, სადაც მკითხველის ჩაწერა ხდება წელიწადში ერთხელ 1 ლარის გადახდით. აქედან აღებული თანხა ხმარდება ახალი სახელმძღვანელოების შეძენას. როგორც სხვა ბიბლიოთეკებს, ქ. თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანებასაც ჰყავს ქველმოქმედი ადამიანები. 2000 წელს ბიბლიოთეკის ფონდში შემოწირულობის სახით შევიდა 1557 ეგზ., 2001 წელს – 250., 2002 წელს 9 თვის მონაცემებით 941.. ეს ორგანიზაციებია: მშვიდობისა და დემოკრატიის ცენტრი – 996 ეგზ.; კულტურის სამინისტრო – 287., სოროსის ფონდი – 7. ავგორებიდან: რამიშვილმა – 14 ეგზ.; როსტომ ბეჟანიშვილმა, თბულუბანი 3 წიგნად – 200 ეგზ.; ქვრივიშვილმა, სვეტიცხოველზე – 20 ეგზ.; ზურაბ გაგნიძემ – 70 ეგზ.; ალექსანდრე ლორიამ და ინგა ფილაურმა – 30 ეგზ. და ა.შ.

ა. დიუმას ფრანგულმა ცენტრმა ქალაქის ბიბლიოთეკების გაერთიანებას გადასცა 135 ეგზ. ფრანგული წიგნი, საფრანგეთის კულტურის აგაშემ კი ბიბლიოთეკას უძღვნა საჩუქრად საფრანგეთში გამოცემული 21 წიგნი.

ქ. თბილისის მიქელაძის სახელობის გექნიკურ ბიბლიოთეკას (ღირეფტორი ნუგზარ გოგსაძე) წიგნების შესაძენი თანხა ქალაქის მერიიდან გამოეყოფა. 2000 წელს გამოყოფილი იყო მხოლოდ პერიოდიკისათვის 5400 ლარი; 2001 წელს – 5000 ლარი წიგნებისა და პერიოდიკისათვის, საიდანაც მხოლოდ 3600 ლარი დაიხარჯა; 2002 წლისათვის წიგნებისათვის 2500 ლარი და პერიოდიკისათვის 2550 ლარი. გექნიკურ ბიბლიოთეკას შემოწირულობების სახით

2000 წელს მიღებული აქვს 900 ეგზ.; 2001 წელს – 1000.; 2002 წელს 630.. 2002 წელს წიგნის კვირეულთან დაკავშირებით საზოგადოება „ცოდნა“-მ ბიბლიოთეკას გადასცა უსასყიდლოდ ამერიკული გამოცემლობა „ნოვა საენს პაბლიშემინ კომპანიის“ მიერ გამოცემული 130 ეგზ. გექნიკური ღარგის ლიგურაგურა. თბილისის გექნიკურმა ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო 2000-მდე საპატენტო ჟურნალი და წიგნი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-დან უფასოდ ეძლევა ქართული პატენტები 3-3 ეგზემპლარი. ამავდროგანიზაციამ მიმდინარე წელს ბიბლიოთეკას გადასცა ბოლო წლებში გამოცემული 600 ეგზ.-მდე მსოფლიო საპატენტო ჟურნალები, რომლებიც ფონდში არ იყო. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მარინა გიორგაძემ ბიბლიოთეკას გადასცა 200-მდე გექნიკური ღარგის წიგნი, მათ შორის ლექსიკონები.

ხშირია ავგორების მიერ თავიანთი გამოცემების ჩუქების შემთხვევები. ამ ავგორებს შორისაა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის უფროსი თეიმურაზ ჩხენკელი, გექნიკური უნივერსიტეტის სამთო მექანიკის კათედრის გამგე გოგუაძე, ჟურნალ „ეკონომიკის“ მთ. რედაქტორი ემზარ ჯგერენაია, გამომგონებელი ოთარ კეკელაშვილი – საპატენტო ინსტიტუტის პრორექტორი, რომელმაც გამოსცა წიგნი „ინტელექტუალური საკუთრების ეკონომიკური საფუძვლები“ და 10 ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადასცა გექნიკურ ბიბლიოთეკას. საქ. პატენტის ღირეფტორის მოადგილემ დავით ბამუკაშვილმა საკუთარი წიგნი „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ 3 ეგზ. გადასცა ბიბლიოთეკას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას წიგნების შესაძენად ბიუჯეტიდან 2000 წელს გამოყოფილი ჰქონდა 50000 ლარი, 2001 და 2003 წლებში ამდენივე. ცალკე პერიოდიკისათვის არ ყოფილა თანხა გამოყოფილი, ამიგომ

ამ თანხებიდან იქნა გადარიცხული ქურნალ-გამეთებისათვის 13975 ლარი თითოეულ წელს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მრავლად არის პირადი ბიბლიოთეკებიდან და საჩუქრის სახით გადაცემული ლიგერაგურა. 2000 წელს ბიბლიოთეკის ფონდს ამ სახით შეემატა 4522 ეგზ., 2001 წელს – 3266, 2002 წელს – 5494. შემომწირველები არიან კერძო პირები და სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთა შორისაა ირანის საელჩო, რომელმაც ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცა „amy Darya“ – 63 ეგზ.; საფრანგეთის საელჩომ ა. დიუმას სახელობის კულტურის ცენტრიდან – ლარუსის ლექსიკონი 2 ეგზ.; ყველა წიგნი ინსტრუქციის თანახმად აღირიცხება ჯამობრივ და საინვენტარო წიგნებში. სათანადო დამუშავების შემდეგ კი გადაეცემა შესაბამის საცავებს.

ქ. თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის დაკომპლექტების მდგომარეობა არ განსხვავდება სხვა ბიბლიოთეკებისაგან. ბიუჯეტიდან თანხა არ გამოეყოფა, მაგრამ სამედიცინო ინსტიტუტის ფასიანი განყოფილებიდან ყოველწლიურად წიგნების შესაძენად 2000 ლარი ეძლევა. პერიოდიკისათვის 2000 წელს დაიხარჯა 4757 ლარი; 2001 წელს – 4947, 2002 წელს – 5704 ლარი.

ამ ბიბლიოთეკის ფონდი ახალი სამედიცინო ლიგერაგურით ძირითადად ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების შემოწირულობებით ივსება. ქართული ენისა და ლიგერაგურის კათედრის გამგემ, პროფ. დ. კინწურაშვილმა ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცა „მეცყველების კულტურის საკითხი (შესავალი)“ – 20 ეგზ.; სამედიცინო მიკრობიოლოგიის კათედრის გამგემ, პროფ. დ. ჩიკვილაძემ – „სამედიცინო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია“ ნაწ. 1, ნაწ. 2, სულ 40 ეგზ.; სამედიცინო და ბიოლოგიური ფიზიკის კათედრის გამგემ, პროფ. ა. ცაბაძემ – „სამედიცინო და ბიოლოგიური ფიზიკა“ – 70 ეგზ.; პროფ. ნ. ნინუამ – „ნერვული სხეულებანი“ – 10 ეგზ. პროფ. ნ. მანჯავიძემ –

“Манджгаладзе Н. Ш., Синявская О.А. Аллергический диатез” – 100 ეგზ.; პროფ. ელ. აბშიანიძემ „სახელმძღვანელო ბიოლოგიაში“ – 20 ეგზ.; პროფ. მ. მამალაძემ „სახელმძღვანელო სტომატოლოგიაში“ – 20 ეგზ.; ქვანიას პედ. კლინიკის სამღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილებამ 9 დასახელების 10 ეგზ.; ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ამქორი“ 7 წიგნი და 48 ქურნალი; ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფ. დ. ვირსალაძემ – 20 წიგნი; ქირურგ გ. კილაძის კერძო ბიბლიოთეკიდან გადაეცა 31 ეგზ. სამედიცინო ლიგერაგურა და ა. შ.

არიან ადამიანები, რომელთათვის სულერთი არ არის გაჭირვებაში ჩავარდნილი ბიბლიოთეკების მდგომარეობა და რითაც შეუძლიათ იმით ეხმარებიან. საჭიროა საზოგადოებამ, მწერლებმა, გამომცემლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ, არ დატოვონ ბიბლიოთეკები ახალი გამოცემების გარეშე და ეს ყველაფერი ჩვენს მომავალ თაობას დიდ სარგებლობას მოუტანს. ბიბლიოთეკაში მოხვედრილი წიგნი წლების განმავლობაში ემსახურება ადამიანებს. პირადი ბიბლიოთეკების მფლობელებმაც უნდა იფიქრონ ამაზე, მოიძიონ ოჯახებში ლიგერაგურა, რომელიც მათ შეიძლება შეწირონ ბიბლიოთეკებს. რამდენი ბიბლიოთეკაა ასეთი, რომელიც არა თუ ახალი, ძველი გამოცემების სიღარიბესაც განიცდის. მომავალი თაობა უთუოდ თქვენი მაღლიერი იქნება.

*შენიშვნა: ბოლიშს ვუხდით იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომელნიც ამ წერილში ვერ დავასახელებთ.*



ცისანა წერეთელი, ქეთევან ჯორბენაძე

## საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში სასწრაფო – ბიბლიოგრაფიული მუშაობის ზოგიერთი ასპექტი

**ბ**იბლიოფილი, მწერალი და ისტორიკოსი ა. ს. ნოროვი (1795-1869) საინტერესოდ განმარტავს თავის შეხედულებას ბიბლიოგრაფიის შესახებ: ბიბლიოგრაფია არაა მეცნიერება, ეს არის გასაღები ცოდნისკენ, მოკრძალებულია მისი დანიშნულება – მიაწოდოს ცოდნა ყველას, ვინც ეძებს ცოდნას და ცნობებს. ეს საშუალებაა, რაც შეიძლება იოლად გავეცნოთ საქმეს, არ დაგვარგოთ დრო და ენერჯია ძიებაზე“.

სპეციალისტთა თუ ინფორმაციის მაძიებელთა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში დაახლოებით 26 ტერმინია აღნუსხული: საინფორმაციო მომსახურება, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება, საბიბლიოთეკო მომსახურება, ინფორმირება, ბიბლიოგრაფიული ინფორმირება, ინდივიდუალური ინფორმირება, ჯგუფური ინფორმირება, ბიბლიოგრაფიული ძიება, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფა და ა.შ. აქედან გამომდინარე, საინფორმაციო საქმიანობის მეთოდური უზრუნველყოფის განხორციელება დიდ სირთულეებს უქმნის თანამედროვე სპეციალისტს, ამასთან, საინფორმაციო საქმიანობის მეთოდურმა უზრუნველყოფამ, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, მედიცინის და ეკოლოგიის სფეროში, განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიგყვით, რომ ბოლო წლებში გაიმარდა სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო სამსახურის როლი მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების თვალსაზრისით. ამასთან, საბუნებისმეტყველო და სამედიცინო დარგის სპეციალისტები დიდ ინტერესს ავლენენ ავტომატიზებული მონაცემე-

ბის ბაზების მიმართ და აქტიურადც სარგებლობენ მისით. ეს ეხება არა მარტო იმ სპეციალისტებს, რომლებიც აწარმოებენ კვლევით სამუშაოებს, არამედ პრაქტიკული პროფილის ექიმებსაც. ამიგომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საინფორმაციო სამუშაოს მეთოდური უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა, როგორც აღნიშნული დარგების, ასევე ეკოლოგიის სხვადასხვა სფეროსი. ამ მიმართულებით მეთოდური სამუშაო, სასურველია, განვიხილოთ როგორც მოქმედებათა კომპლექსი, რომელიც შედგება ურთიერთშემავსებელი მეთოდოლოგიებისაგან. ამავე დროს გასათვალისწინებელია როგორც სისტემის საერთო მოთხოვნები, ასევე რეგიონალური საინფორმაციო უზრუნველყოფის თავისებურებები. ჩვენი ინტერესი ამ პრობლემისადმი განპირობებულია თუნდაც იმით, რომ საბუნებისმეტყველო, სამედიცინო თუ ეკოლოგიის სფეროს სპეციალისტების ინფორმაციით დაკმაყოფილებისას მუდმივად წამოიჭრება პრობლემები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს გამოკვლეული, გაამრებული და განხორციელებული როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულადაც. ამგვარი სამუშაოს შესრულების შემდეგ კი მიღებული გადაწყვეტილებები ეფექტურობის შემოწმების მიზნით, სასურველია, დაინერგოს პრაქტიკაში. მთელი ამ სამუშაოს წარმართვა კი შეუძლებელია სამეცნიერო-მეთოდური კვლევის გარეშე. ამრიგად, სპეციალისტებისა თუ სხვა მომხმარებლებისათვის საინფორმაციო სამსახური შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: 1) ტრადიციული საინფორმაციო პროდუქციით სამეცნიერო-საინფორმაციო მომსახურება. 2) ინტერნეტის, ექსტრანეტის და ინტრანეტის ქსელში ინფორმაციის მოძიება საკონსულტაციო-მე-

თოღური ღახმარების განხორციელებისათვის. როცა სამეცნიერო ბიბლიოთეკების საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში უნივერსალურ მომსახურებაზე ვსაუბრობთ, სასურველი იქნება, გათვალისწინებული იყოს საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ყველა გამოცდილება.

კონკრეტული მაგალითების ანალიზში საშუალებას გვაძლევს ჩავუღრმავდეთ აღნიშნული სამუშაოს განხორციელების სისრულეს. მაგალითად, ცნობილია, რომ თეორიულ და პრაქტიკულ სფეროში მოღვაწე სამედიცინო დარგის სპეციალისტებს, როცა ესაჭიროებათ განსაზღვრული ინფორმაცია, ეს ინფორმაცია მიწოდებული უნდა იყოს რაც შეიძლება სწრაფად, ოპერატიულად. ამ მოთხოვნების შესასრულებლად მეთოდისტი ბიბლიოგრაფები იყენებენ როგორც გრადიციულ, ისე თანამედროვე ელექტრონულ წყაროებს. მოთხოვნების სწრაფად შესასრულებლად შექმნილია მონაცემთა ბაზა ProQuest Medical Library. ეს ბაზა უნიკალურია და სრულგეგმვით ანი. იგი შეიცავს 100 ძირითად სამედიცინო ჟურნალის სტატიებს, რომლებიც ამოღებულია Medline-ს მონაცემთა ბაზიდან. სპეციალისტებს შეუძლიათ ამ ბაზაში ასახული ყველა პუბლიკაციის მიღება. ბაზა თემატურადაც მრავალფეროვანი არჩევანის შესაძლებლობას იძლევა მედიცინის ყველა სპეციალურ სფეროში: ავადმყოფის მოვლა, პედიატრია, ნევროლოგია, კარდიოლოგია, ფიზიოთერაპია... განსაზღვრულია ჟურნალების დროითი დიაპაზონი – 1994 წლიდან დღემდე. ინფორმაციები ეკუთვნის umi კომპანიას, რომელიც აღნიშნულ ბაზებს განაახლებს ყოველთვიურად. ამ კომპანიის ყველა პროდუქტის შესახებ დამატებით ინფორმაციის მოძიება შეიძლება ვებ გვერდზე ინტერნეტში <http://www.umi.com>. მისამართზე. აქტუალურ საკითხებზე ინტერნეტის ქსელში ინფორმაცია დიდი დროის დანაკარგს იწვევს, რაც მაძიებელს გარკვეულ დისკომფორტს უქმნის. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიზანმი-

მართულად დააკვალიანებს როგორც ახალბედა, ასევე გამოცდილ სპეციალისტებსაც. ბიბლიოთეკარების როლი კი ამ მიმართებით მუშაობისას ეფექტური და ინფორმატიული იქნება. მოგაწვდით სრულგეგმვითი ბაზების მისამართებს:

1) <http://www.opl.org/yoith/progectguide/> – ეს ვებ-გვერდი ცნობებს იძლევა ცოდნის ყველა დარგში.

2) <http://www.hsls.pitt.edu/inters/guides/statchw.html>. – ქ. პიტსბურგის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის დაცვის ტერმინების ლექსიკონის სტატიის სფეროში.

3) <http://www.pheur.org> – ევროპული ფარმაცოპეა.

4) [www.americanheart.org](http://www.americanheart.org) – გულის ამერიკული ასოციაციის ვებ-გვერდი.

5) <http://www.drkoop.com> – ექიმ ევერტ კუპის მიერ ორგანიზებული გლობალური სამედიცინო პროგალი, რომელშიც მოცემულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სიახლეები, საინფორმაციო რესურსები.

6) <http://www.drkoop.com> – ინფორმაციები წამლების შესახებ. პრესრელიზები ახალი წამლების შესახებ, პასუხები ყველაზე ხშირად დასმული კითხვებზე, ინფორმაციები დაავადებებზე, ლექსიკონი.

7) <http://www.nhic-nt.health.org> – ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ინფორმაციის ნაციონალური ცენტრი (შეიქმნა 1979)წელს).

ბოლო პერიოდში ჩამოყალიბების და განვითარების სტადიაშია ახალი ეკოლოგიური მეცნიერებები: სამედიცინო ეკოლოგია, საბიბლიოთეკო ეკოლოგია, სენსორული ეკოლოგია. ინფორმაციის მოძიება და ეკოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოგრაფებისთვის ინფორმაციების მიწოდება სასურველია ხდებოდეს სისტემატურად. ჩვენი გამოცდილებით აღნიშნული სამუშაოს შესრულებისას წამოიჭრება მთელი რიგი პრობლემური საკითხებისა: ბიბლიოთეკის ფონდის ანალიზი როგორც მიმდინარე,

ასევე რეგროსპექტული ლიგერატურის მოძიების თვალსაზრისით. ამ სამუშაოს შესრულებამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა, თუ როგორი შესაბამისობაა ფონდის უახლესი ლიგერატურის რეალურ არსებობასა და ინტერნეტის ქსელში ასახულ უახლეს გამოცემებს შორის. სამედიცინო ეკოლოგიის, სენსორული ეკოლოგიის, საკვებ პროდუქტებში გოქსიკური ნივთიერებების შესახებ თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერების და ბიომცოდნეობის დარგში ძიების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზების წიგნად ფონდის ამგვარი დინამიური ანალიზი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პერმანენტული ძიება-ანალიზით და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დარგის სპეციალისტების საინფორმაციო-საბიბლიოთეკო უზრუნველყოფის სისტემა ინფორმაციული მონიტორინგის ბაზაზე ჯერჯერობით ფორმირების სტადიაშია.

სასურველი იქნება ამ დარგის სპეციალისტების ინფორმირებისათვის დოკუმენტური ნაკადების შესწავლა აქტუალური მიმართულებით, რისთვისაც აუცილებელია სპეციალისტების მუდმივი ინფორმირება ახალი ავტორების, შემოქმედებითი კოლექტივების ან იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც სწავლობენ ეკოლოგიის სხვადასხვა პრობლემებს – ადამიანის ჯანმრთელობა-გარემომცველი გარემო. ამრიგად, სამედიცინო ეკოლოგიის სფეროში სპეციალისტების და ამ დარგით დაინტერესებული ადამიანებისათვის (მეცნიერ-მუშაკები, ექიმები, ბიბლიოთეკარები, სტუდენტები) საჭიროა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფის მიზნით საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული სამუშაოს წარმართვა პრიორიტეტულად გამოცხადდეს. გამოცდილებამ გვიჩვენა, ამ დარგის სპეციალისტების პროფესიული მოთხოვნები რომ დაკმაყოფილდეს, სასურველია არა მარტო კორექტივის შეტანა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში, რაც გულისხმობს ოპერატიული ინფორმირების სისტემის შექმნას,

არამედ საინფორმაციო მონიტორინგის დანერგვის პროცესს. ცნობილია, რომ ნებისმიერ ეკოლოგიურ თუ საბუნებისმეტყველო თემაზე ინფორმაციის მოძიება ეფუძნება პრობლემის შესაბამისი ლიგერატურის ფონდების მასივიდან გამოყოფას და მის ასახვას. სისტემატური, საგნობრივი კატალოგებიდან მოპოვებული აქტუალური რეგროსპექტული ლიგერატურა შეივსება საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული და პერიოდიკის, მხარეთმცოდნეობის განყოფილების კართოგეკებსა და კატალოგებში მოძიებული მასალებით, ბიბლიოთეკების ავტომატიზებული ინფორმაციით. ამ დარგის სპეციალისტების მომსახურება წარმოებს მონაცემთა ბაზებით: Medline, public ru, allrussia ru, jandex ru, narure ru და ა.შ. საინტერესოა Rambler ru-ში სამეცნიერო ქსელი. აქ მოცემული დისერტაციებით, სამეცნიერო სტატიებით, სადიპლომო ნამუშევრებით, რომლებიც ეკოლოგიის ყველა სფეროს ეხმიანება, შესაძლებელია მეცნიერ-მუშაკთა, სტუდენტების, ექიმთა ინფორმირება. მაგრამ არსებობს კონკრეტული თემებიც, რომელთა მოძიებაში სპეციალისტებს შეგვიძლია შევთავაზოთ კონკრეტული ინტერნეტ-მისამართები. მოგაწვდით ნუსხას შინაარსობრივი ანალიზით:

1. <http://www.noaa.gov>. – საიგზე წარმოდგენილია თორმეტი სამეცნიერო ლაბორატორია, რომელიც გარემოს დაცვის პრობლემების კვლევითაა დაკავებული. მაგ. წყნარი ოკეანის საიგზე შესაძლებელია წავიკითხოთ ცუამის შესახებ, ატლანტიკის ოკეანის საიგზე – ოკეანის ქიმიკა, ფიზიკური ოკეანოგრაფია, მოცემულია კავშირები კოოპერაციულ ინსტიტუტებსა და სხვა კვლევით ცენტრებთან.

2. <http://www.vector.nsc.ru/timofeev.htm> – აქ წარმოდგენილია მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, საინფორმაციო ტექნოლოგიები მედიცინასა და ეკოლოგიაში, დისკუსიები, შრომები.

მოძიებულია კონკრეტული ინტერნეტ-მისამართები ეკოლოგიური ქიმიის, მცენარეთა, ცხო-





ველთა ეკოლოგიის და სხვა დარგებშიც:


1. <http://plants.usda.gov/> – მეცნიერთა ნაციონალური ბაზა.

2. <http://www.nmfs.gov> – საზღვაო თევზჭერის ეროვნული ცენტრი, სადაც სამეცნიერო-კვლევების შედეგებია ასახული, მოცემულია ინფორმაცია ზღვისპირა ზონების ბუნების დაცვის შესახებ.

საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული სამუშაოს შესრულება ეკოლოგიისა და სამედიცინო დარგის სპეციალისტებისათვის გულისხმობს ინფორმაციის ელექტრონული მახასიათებლების CDROM-ის შესწავლა-ანალიზირებას, ცოდნის გაღრმავება ამ კომპაქტ-დისკებზე ჩაწერილი ენციკლოპედიების შინაარსის გახსნისას, თემატური ფაილების ძიებას, მოძიებული ინფორმაციის ბეჭდვას, რაც გამოცდილების გარეშე გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ამ სამუშაოს შეუჩვეველი მეთოდისტებისათვის.

ამგვარი სიახლისადმი ზიარება, ცოდნის მოპოვება ამ მიმართებით მიიღწევა ელექტრონულ-რესურსების შესწავლა-ანალიზით, გექნიკური ხასიათის ლიგერაგურაში ინფორმაციის

ძიებით, პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით. აქედან გამომდინარე, საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ ლიგერაგურაში ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული ინფორმაცია ცნებების „პროფესიული თვითშემეცნების“, „კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ სამუშაოს“ შესახებ მოიაზრება როგორც პროფესიულ კითხვებზე პასუხის ძიება შემეცნებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოყენებით. ბიბლიოთეკართა უმეტესობას შემეცნების ეს გზა არა აქვთ გაცნობიერებული და ყოველივე აღიქმება მხოლოდ გრადიციული პოზიციებიდან. ამიტომ ბიბლიოთეკის მეთოდური სამუშაოთი დაინტერესებულმა სპეციალისტებმა, ცდილობენ რა იპოვონ ბიბლიოთეკის ძირითადი მასის რეალიზაციის ოპტიმალური გზები საინფორმაციო ინტელექტუალური ვაკუუმის შესავსებად, უნდა განახორციელონ ინფორმაციის საწყისი ეტაპი ავტომატიზებული სისტემების ათვისების და გააზრების მიმართებით, რითაც ხელი შეეწყობა ბიბლიოთეკარის თანამედროვე აზროვნების ფორმირებას საინფორმაციო-საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების თვალსაზრისით.



## საერთაშორისო კონტაქტები

ომარ შოთაშვილი

## საუბრები ბანსჯისათვის

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ამერიკის შეერთებულ შტატებში სტაჟირებაზე იყენებ მივლინებული ჩვენი საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები. ისინი ჯერ კიდევ განაგრძობენ მიღებული გამოცდილების ანალიზს და ცდილობენ, გაგვიზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებანი. რამდენიმე მათგანის გამოხმაურება ჩვენ უკვე დაგეგმულია. ახლა ვაქვეყნებთ საქართველოს მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დირექტორის ომარ შოთაშვილის სიტყვას. ბ-ნ ომარმა საკმაოდ დიდი ნაშრომი შექმნა. რადგანაც ჩვენ არ გვაქვს საშუალება მთლიანად გამოვაქვეყნოთ ის, ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მხოლოდ ფრაგმენტებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებს ასახავს.

**რ**ვენმა კოლეგებმა თავიდანვე მუშაობის თავბრუდამხვევი გეგმა შემოგვთავაზბეს, ლექციების კურსი 9 საათიდან 16 საათამდე მცირე შესვენებით. იყო უამრავი ღონისძიება, შეხვედრები, საღამოები, ექსკურსიები სხვადასხვა ქალაქებში, მუზეუმების ნახვა და, რაც მთავარია, ოქსფორდში მომუშავე კოლეგებთან მნიშვნელოვანი შეხვედრა. გარდა ამისა, ღონისძიებებში რესტორანიც შეიგანეს და ოჯახებში ვიზიტიც. იფრქვეოდა მუსიკა, მეგობრული შეძახილები, თვითმოქმედი კოლექტივების მიერ შესრულებული სიმღერები. ჩვენ ვიცხოვრეთ ეს დღეები მდიდრულ, უკვე თავისი გრადიციებჩამოყალიბებულ გარემოში. ამერიკელმა კოლეგებმა თავისი ცხოვრებისა და შრომის ყველა სპექტრი დაგვანახეს. არც ის დაუმაღავთ, რომ აქაც არის გაჭირვების და ხშირად სიღატაკის მომენტები და ამით მრავალ თემათა განსასჯელად და საფიქრელად ჩვენ არც თუ ისე დიდი დრო მოგვცეს. ეს ხალხი არის უაღრესად თბილი, ყურადღებიანი, მოსმენის უდიდესი კულტურით დაჯილდოვებულნი, სტუმრის დამფასებელი, კანონის დამცველნი და, რაც ყველაზე სასიამოვნო იყო, სახელმწიფოს სიმბოლოების – ჰიმნისა და დროშის დიდად პატივისცემულნი. თუ ამერიკელმა თავისი სახელმწიფო

დროსა გაჩუქა, ეს დიდ პატივად ითვლება. გამახსენდა, თუ რა ხდება ჩვენთან, საქართველოში ჯერ ჰიმნის და შემდეგ დროშების მიმართ. არსად არაფერ არავის ამცირებს. ერთმანეთს დიდი პატივით ეპყრობიან. მიმავალს, თუ შემთხვევით ვინმემ გზა გადაგიჭრა, მაშინვე – „სორი“ – ბოდიში აკერია პირზე. ჩვენი სტუმრები, აქაოდა ცხელი ქვეყნიდან არიანო და არ გაგვიცივდნენო, საუკეთესო ქურთუკები დაგვახვედრეს სასტუმროში. საკვირველი ის იყო, რომ ზომებიც კი არ შეეშალათ. ემოციებით დახუნძლულნი, მორიგ შეხვედრაზე მივლილით, როდესაც ადგილობრივმა კორესპონდენტმა მოწიწებით ინგერვიუს ნებართვა ითხოვა. ჩვენც დიდი სიამოვნებით დავთანხმდით. ცნობილია, საბიბლიოთეკო დარგის მუშაკები მშობლიურ პრესას არ ვყავართ გალაღებული და იქ მაინც გამოვიჩინოთ თავი. ერთი კორესპონდენტთან – ახლახან ამერიკის მოქალაქეობამიღებული, წარმოშობით რუსი აღმოჩნდა და, აი, ამის შემდეგ ალაპარაკდა ადგილობრივი და შემდეგ ცენტრალური პრესა, გელევიზია, რადიო. გაუთავებელი რეკლამების მორევი მაინც გამონახეს დრო და ამერიკელებს აჩვენეს ქართველ ბიბლიოთეკართა ვიზიტი და ილაპარაკეს მისი მნიშვნელობის შესახებ ამერიკა – საქართველოს და-

ახლოების პროცესში. საინტერესოა ისიც, რომ იქ ყოფნის პერიოდში ერთხელაც არ უხსენებიათ, აი ჩამოხვედით და უნდა გასწავლოთო. ჩვენი საუბრების დროს ყველგან ერთი და იგივე კორექტული შეკითხვები გვესმოდა: ხომ არ მოგწყინათ? მოგწონთ ჩვენი მუშაობა? თქვენ ამ შემთხვევაში როგორ მოიქცეოდით? თქვენთან ეს პროცესი როგორ მიმდინარეობს? და სულ ბოლოს დამნაშავესავით გაიღიმებდნენ და შრომის ანაზღაურებაზე დაგვიწყებდნენ შეპარვით საუბარს. აშკარად ეგყობოდათ, რომ ერთი სურვილი ჰქონდათ ეთქვათ, თუ რაოდენ მცირე ანაზღაურება აქვს ამერიკელ ბიბლიოთეკარს. გინდა რომ დაიმალო, მაგრამ სად?

როდესაც ბიბლიოთეკებზე და ბიბლიოთეკარებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გარკვეული წარმოდგენა არ ვიქონიოთ ერთ მეგად საინტერესო საკითხზე, რაც ძალზე სასიამოვნო მომენტად მივიჩნე. ყველა ჩვენი იქაური კოლეგათელის, რომ ამერიკაში ხალხი უკვე ჩამოყალიბდა ამერიკელ ერად და ხაზს უსვამენ ბიბლიოთეკების როლს ქვეყნისათვის ამ მეგად მნიშვნელოვანი პროცესის დაჩქარების საქმეში: ყველგან გვესმოდა: – „ბიბლიოთეკები არის ქვეყნის დემოკრატიულობის პრინციპებით მმართველობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და იგი პირდაპირ კავშირშია ერის კულტურისა და განათლების განვითარებასთან“.

ინფორმაციების შემგროვებელ-დამმუშავებლის, ხოლო შემდგომ შემნახველის ფუნქციები ძირითადად ბიბლიოთეკებს მიანდეს. საბიბლიოთეკო საქმეში პოლიტიკის გაგარება იმით დაიწყო, რომ თითქმის ყველა ქალაქში, თუკი რაიმე ახალი ან მდიდრულად ამენებული ობიექტი მოიპოვებოდა, ბიბლიოთეკას დაუთმეს. გრადიციადაა ქცეული, რომ ნებისმიერი ბიზნესმენი, ან რომელიმე დასახლებული პუნქტის ხელმძღვანელი ადგილობრივი საბიბლიოთეკო გაერთიანების „მფარველთა საბჭოს“ წევრი ხდება. ამიტომაცაა, რომ ბიბლიოთეკარებს ეკითხებიან, აფასებენ და მათი შრომა ე.წ. პრესტიჟულ სამსახურად მიიჩნევა. ჩემი აზრით, აშშ-ს საბიბლიოთეკო სამსახურებმა სამ ძირითად კომპონენტს



მიაქციეს ყურადღება. ესენია: კულტურის, განათლებისა და ინფორმაციის სფეროები.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ აშშ-ში ბიბლიოთეკები ცალკე, დამოუკიდებელ უზარმაზარ საინფორმაციო საშუალებების მფლობელ ობიექტებადაა მიჩნეული და გააჩნიათ ინფორმაციის მაგარებელი რესურსების მოძიებისა და შეძენის უდიდესი პოტენციალი. ეს ყველაფერი, მოსახლეობის საინფორმაციო მოთხოვნილებების აბსოლუტურ დაკმაყოფილებას ექვემდებარება. ალბათ, აქ უნდა ვეძიოთ ამერიკის, როგორც უდიდესი სიმიდრის მფლობელი ქვეყნის, დღევანდელი პოტენციალის სათავე.

ამერიკის საბიბლიოთეკო სამსახურებში მეგად ორიგინალურ სტრუქტურებს ვხვდებით. ეგყობა, ამ მხრივ ყველა შტატი თავისი დამოუკიდებელ სახეს აგარებს. აქ არც მასაჩუსეტსის შტატია გამონაკლისი. მრეწველობის აღორძინების პერიოდში ნელ-ნელა იქმნებოდა უამრავი ქალაქის გიპის დასახლება. იმ პერიოდში ბიბლიოთეკები, როგორც ჩვენ დღეს ვგულისხმობთ, იმ სახით არ არსებობენ. ბიბლიოთეკები მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იძენენ თავიანთ ინდივიდუალურ სახეს და საქმიანობის დახვეწის მაქსიმალურ დონეს აღწევენ. როდესაც დიდი გემპით სასკოლო და საკოლეჯო სისტემების განვითარება დაიწყო, გაიზარდა მოთხოვნილება გექნოლოგიურ, საინჟინრო, ეკონომიკური ან სხვა განათლების მქონე სპეციალისტებზე და ამან შექმნა საბიბლიოთეკო სამსახურების მოწყობის თავისი ორიგინალური სისტემა. საბიბლიოთეკო საქმეს უაღერსად განათლებული პირები ჩაუდგნენ სათავეში: ალებულმა გემმა ახლადგაჩე-

ნილ ქალაქებში ადგილობრივ ბიზნესმენტთა მცდელობით ისეთი თანხების მოზიდვა გამოიწვია, რომ შესაძლებელი გახდა აგებულიყო ისეთი შენობა-ნაგებობები, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს, და ხელოვნების შედეგებს წარმოადგენენ. უნდა ვიფიქროთ, რომ საბიბლიოთეკო სამსახურების პრესტიჟულობას აქედანაც ჩაეყარა საფუძველი. გარდა ამისა, როგორც ბიბლიოთეკარები, ისე მათი დამფინანსებლები კარგად უწყობდნენ მოცემული სამსახურის მნიშვნელობას და ყოველი ახლად აშენებული ობიექტის წიგნადი ფონდების საცავები უდიდეს რეზერვუარებად აქციეს. ყველაზე პატარა ბიბლიოთეკაც კი მინიმუმ 1000-1200 კვ.მ. საცავს ფლობს, ხოლო მომსახურებას აწარმოებს 15-დან 25 ადამიანი. აქ ტექნიკური პერსონალი არ იგულისხმება. ბიბლიოთეკები ადამიანთა დასვენების ობიექტს რომ წარმოადგენს ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათი შემოგარენი ხშირ შემთხვევაში ტყე-პარკის სახეს აგარებს და დიდი მაგისტრალებიდან, ე.ი. ხმაურიანი ადგილებიდან იზოლირებული არიან.

მოსახლეობის საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების სფეროში უდიდეს როლს თამაშობს ბიბლიოთეკების „მფარველთა საბჭო“. მის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბიბლიოთეკო კადრების დასაქმების პროცესს, მომუშავე ბიბლიოთეკართა სოციალური დაცვის საკითხებს და მათი სახელფასო განაკვეთების გამრდას. ამგვარად, გაერთიანებაში ინფორმაციების გაცვლის მიზნით, სიამოვნებით შემოდიან სხვადასხვა უწყებებისა და კერძო საკუთრებაში მყოფი ბიბლიოთეკები და ამით ხშირ შემთხვევაში მათი რაოდენობა 150 ერთეულსაც აღწერებს.

გაერთიანებები თავისი წარმომადგენლების საშუალებით აყალიბებენ მსხვილ რეგიონალურ გაერთიანებებს, რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობენ „ბიბლიოთეკის მეგობართა“ ჯგუფი. ეს ჯგუფები ქალაქის მოსახლეობის ძაღმედ აქტიურ ნაწილს წარმოადგენენ და მათი მეშვეობით საკმაოდ სერიოზულ თანხებსაც მოიპოვებენ. მაგალითად, ქალაქ ჰოლიოკის ბი-

ბლიოთეკების რეგიონალურმა გაერთიანებამ 2002 წელს ამდაგვარ მეგობართა დახმარებით, ასიათას დოლარზე მეტი მოიზიდა. საბანკო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა 150 ათასი დოლარი გადასცეს საჩუქრად, ხოლო ქალაქის მერიაში წარდგენილი შუამდგომლობით 250 ათასი დოლარი გამოეყოთ.

ბიბლიოთეკების „კორპორაციული გაერთიანებები“ აღმინისგრაციულ-გერიგორიულ პრინციპით ირჩევენ ე.წ. „მმართველთა საბჭოებს“. მსხვილი რეგიონალური გაერთიანებები ქმნიან კორპორაციულ გაერთიანებებს. ხშირ შემთხვევაში კორპორაციული გაერთიანებები 200-ზე მეტ საბიბლიოთეკო ერთეულს მოიცავენ. კორპორაციული გაერთიანების საბჭო ირჩევს თავის დირექტორს, წარმომადგენელს ან თავმჯდომარეს. სულ ბოლო მონაცემებით, ამდაგვარმა გაერთიანებებმა მასაჩუსეტსის შტატის სხვადასხვა უწყებებისა და კერძო მფლობელობაში არსებული 1500-ზე მეტი ბიბლიოთეკა შემოიერთა და ამით უსამღვროდ გაიზარდა ინფორმაციის ძიებისა და მოპოვების არე.

ამდაგვარი კორპორაციული გაერთიანებები ქმნიან მასაჩუსეტსის შტატის ბიბლიოთეკების რწმუნებულთა საბჭოს, რომელიც შემდეგ ადგენს საბიბლიოთეკო სამსახურების დაფინანსების, საშტატო სტრუქტურების რეგულირების, ელექტრონული კატალოგების ორგანიზაციის, ყველა სახის ფონდების, კომპიუტერიზაციის და სხვადასხვა ტექნოლოგიების შემოგანა-განაწილების ერთობლივ პროექტს, რომელსაც წარმოდგენს შტატის გუბერნატორის შესაბამის სამსახურებს დასამტკიცებლად. აღნიშნული სამსახური ახორციელებს საზედამხედველო სამუშაოებს და შედის შტატის ხელმძღვანელობის (გუბერნატორის) უშუალო დაქვემდებარებაში.

საბიბლიოთეკო სამსახურებში დემოკრატიული მმართველობის ამაზე უკეთესი მოდელი ძნელი წარმოსადგენია. ნებისმიერი დასახლებული პუნქტის საბიბლიოთეკო გაერთიანების საბჭოში, როგორც წესი, ცხრა კაცამდე მაინც შედის და მას გარეშე პირი და არა ბიბლიოთეკის დირექტორი ხელმძღვანელობს. თანამდებობე-

ბმე დანიშვნა ყოველთვის ხდება არჩევითობის წესით. ყველანაირი თანხების ხარჯვის გამჭოლობის პრინციპიდან გამომდინარე, ყოველთვის ხდება ინფორმაციების მიწოდება ყველა საბიბლიოთეკო სამსახურის ხელმძღვანელებისათვის.

ჩვენს საბიბლიოთეკო სამსახურების მოწყობის სისტემასთან შედარებით, ვფიქრობ, რომ ამერიკული ვარიანტი უფრო მოხერხებული, დემოკრატიული და, რაც მთავარია, როგორც ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალისათვის, ისე მომხმარებლისათვის აბსოლუტურად მისაღებია. მმართველობითი სტრუქტურების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, საინფორმაციო ბაზაში რამე ცვლილებების შეტანის მომენტში, თვით საკანონმდებლო აქტებში დამატების მიღების დროს და სხვა მრავალ საორგანიზაციო საკითხებში, მომხმარებელთა ინსტიტუტის ჩართვა, აუცილებლად წაადგება, როგორც საბიბლიოთეკო, ისე საინფორმაციო მომსახურების ყველა პროცესის დაახლოებას მასებთან და ყოველივე ამით დაჩქარდება „ინტელექტუალური საზოგადოების“ ჩამოყალიბების პროცესი.

რაც შეეხება ბიბლიოთეკების დაფინანსებას, იგი იწყება იმ დღიდან, როდესაც სამსახურების საქმიანობის შინაარსის შესახებ შედგენილი პროექტი დამტკიცებული იქნება გემდგომი ორგანოების მიერ. აქ ყველამ კარგად იცის, რომ პროექტში მითითებული და შემდგომ დამტკიცებული ყველა თანხა უკლებლივ გამოეყოფა მოცემულ ობიექტს. როგორც გვითხრეს, დღემდე არ ყოფილა შემთხვევა, ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, რომელიმე ობიექტისთვის თანხის რაიმე მიზნით გაუცემლობისა.

ბიბლიოთეკების უდიდესი ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებს თანხებს, მაგრამ შტატში მოქმედებს უამრავი საქველმოქმედო ორგანიზაცია და ბიზნესმენტა ჯგუფი, რომლებიც მათთვის სასურველ საბიბლიოთეკო ქსელს ბევრ



შემთხვევაში მილიონ დოლარსაც გამოუყოფენ, ან ყიდულობენ ინვენტარს, კომპიუტერებს და სხვა ტექნიკურ საშუალებებს, ან ჩუქნიან ბიბლიოთეკებს მეტად საჭირო საგრანსპორტო საშუალებებს.

როგორც ცნობილია, ჰარვარდის საბიბლიოთეკო კომპლექსი მრავალ სასწავლებელთან არის დაკავშირებული, ამიტომ ბიბლიოთეკართა ძირითადი ნაწილი ყველაფერს ვერ სწვდება და თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში გამოყენებულია ე.წ. „ვოლონტიორების“ ინსტიტუტი. ჰარვარდის სასწავლო

კომპლექსი ქვეყნის ყველაზე ძვირადღირებულ და პრესტიჟულ ობიექტს წარმოადგენს.

აქ სწავლა წელიწადში ათეულ ათასობით დოლარებით იზომება და აი საბიბლიოთეკო სასწავლებლის სტუდენტთათვის „ვოლონტიორების“ ინსტიტუტი პირდაპირ მაშველი რგოლი გახდა, რადგან ის სტუდენტი, რომელიც სწავლის პარალელურად ბიბლიოთეკაშიც იმუშავეს, გადასახადი ქირის მხოლოდ 50%-ს იხდის.

როდესაც საბიბლიოთეკო სმსახურების დაფინანსებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ერთი მაგალითი არ მოვიყვანო: ამერიკაში ერთ-ერთ უძლიერეს კოლეჯად ითვლება მაუნტ-ჰოლიოკის კოლეჯი, რომელიც იერთებს და ემსახურება შემდეგ სასწავლებლებს: ამჰერსტის, მასაჩუსეტის, სმიტის, ჰემპშირის და ბოსტონის კოლეჯებს. მას უახლოესი დამოკიდებულება აქვს სიმონსის კოლეჯთან, რომელიც საბიბლიოთეკო სასწავლებელსაც წარმოადგენს. ეს მაგალითი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საბიბლიოთეკო სამსახურებისადმი საერთო სახალხო და სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებაზე. ამ სისტემასთან კონტაქტში იმყოფება ამერიკელი მილიონერის ჯონსის სახელობის ბიბლიოთეკაც. ამ პირმა 1928 წელს თავისი მომაკვდავი შვილის სახელზე 400 ათასი დოლარი შეიგნა ბანკში. შვილის სიკვდილით გამწარებულმა მამამ ეს თანხა მთლიანად მიუძღვნა ბიბლიოთეკის აშენე-

ბას. ოთახები ფილიპინების კუნძულებიდან ჩამოგანილი წითელი ხით გაიწყო და ყველა ასასვლელი კიბე ძვირფასი მარმარილოთია მოპირკეთებული. ცენტრალურ დარბაზში სპეციალური ბუხარია, სადაც უამრავი მკითხველი იყრის თავს. ეს ბიბლიოთეკა, ანდერძის თანახმად, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვისაა განკუთვნილი. 1990 წელს შენობას გაუკეთდა რეკონსტრუქცია, მისი პირვანდელი სახე მთლიანად არის შენარჩუნებული. მას მიემატა უდიდესი ეზო, სადაც მშვენიერი დასასვენებელი პარკია მოწყობილი. ბიბლიოთეკას შეემატა უახლესი სასწავლო სახელმძღვანელობის, აუდიოვიზუალური და სხვა მასალების უმდიდრესი კოლექციები, აქვს მუდმივი ინტერნეტი. ამას ემატება ელექტრონული კატალოგების სრული პაკეტი პლიუს ელექტრონული ჟურნალების უმდიდრესი კოლექციები. კომპიუტერიზაცია დიდი ხნის დამთავრებულია.

როგორც ცნობილია, აშშ-ს საბიბლიოთეკო სისტემაში გექნიკური გადაიარაღება ძირითადად ამ ოციოდე წლის წინ დაიწყო და ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. ამიტომაც არავის უკვირს, როდესაც ბიბლიოთეკებში უახლესი სისტემის აპარატურას ვნახულობთ. უკვე დაიწყო უკაბელო კომპიუტერების შემოგანა. ჩვენს მიერ ნანახ არცერთ ბიბლიოთეკას არ აკლია გამამრავლებელი აპარატურა, ფერადი ქსეროქსი. ბევრგან ვხვდებით მაკოპირებელ და მიკროფირების გადამღებ-აღმდგენ აპარატურას, ყველა სახის გელეფონებს. უმაღლესი კლასის გელეფიზორები და ვიდეო მასალები ჩვეულებრივი მოვლენაა და ერთიც – ყველა ღონის ბიბლიოთეკაში ყავისა და ჩაის აპარატი აუცილებელი აგრიბუგია, მიირთვით უფასოდ რამდენიც გნებავთ.

ყველა საბიბლიოთეკო გაერთიანება ჩართულია ინტერნეტის ქსელში. ფართოდაა გავრცელებული მომხმარებლისადმი ინფორმაციების მიწოდება საგელეფონო კავშირებით. 2002 წლის მაგალითით 280 მილიონი ინფორმაცია იქნა გაცემული გელეფონით და თანაც უფასოდ.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა ბიბლიოთეკათმორის აბონემენტს. ყველა გაერთიანების მკი-

თხველთა ფორმულარი იდენტიფიცირებულია. თუ რომელიმე გაერთიანების მკითხველი წიგნს სხვა ქალაქებში წაიღებს და იმ ქალაქში ფუნქციონირებს მოცემულ გაერთიანებაში მომუშავე ბიბლიოთეკა, მას შეუძლია ეს წიგნი ამ ქალაქშივე ჩააბაროს. წიგნი მაქსიმუმ ორ დღეში პაგრონს უბრუნდება. გაერთიანებას სპეციალური გრანსპორტი ემსახურება. ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტის მეორე ძირითადი ფუნქციაა, მოძებნოს ისეთი დასახლებული პუნქტები, რომლებიც საბიბლიოთეკო გაერთიანების უახლოესი ობიექტიდან 10-15 კილომეტრის მანძილზე არის დამორებული. ამისათვის უაღრესად კომფორტაბელური, მობილური და უკაბელო გექნიკით აღჭურვილი ავტობუსებია განკუთვნილი. მათ ერთი ბიბლიოთეკარი და ბიბლიოთეკარი-მძღოლი ემსახურება.

განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული სოციალურად დაუცველ და რაიმე ფიზიკური ნაკლის მქონე მოქალაქეთა საბიბლიოთეკო მომსახურებაზე. მათთვის იბეჭდება მსხვილი შრიფტით აწყობილი, ან ბრაილის სისტემით დაბეჭდილი წიგნები. უსინათლოთა შორის ძალზე პოპულარულია ე.წ. „ხმოვანი წიგნები“. 2001 წლის ნოემბერში ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციამ მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია: ქვეყნის პარლამენტს „ბავშვთა ინტერვენციისაგან დაცვის კანონში“ შეაგანინა ცვლილებები პორნოგრაფიისა და ზოგიერთი სახის პროგრამაზე შეზღუდვის შესახებ, რის შემდეგ ბიბლიოთეკებში კომპიუტერებზე სპეციალური „ფილტვები“ დააყენეს, თუმცა მათი გამოყენება ვერ იძლევა სათანადო ეფექტს. ასეთივე ცვლილებები შეაგანინეს საკანონმდებლო ორგანოების კანონში – „საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ“. თუ ავტორის გარდაცვალების შემთხვევისას წიგნის ბეჭდვის უფლება სხვა პირზე 70-წლის შემდეგ იყო დადგენილი, ახლა ეს 95-წლამდე გაიზარდა.

1975 წლიდან ოჰაიოს შტატის საბიბლიოთეკო სისტემაში დაიწყო კატალოგების ელექტრონულ ვარიანტზე გადაყვანის პროცესი, რომელიც 1985 წელს კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ შეჩერე-

ბული იქნა, რადგან ქვეყანაში მოქმედ 52- საბიბლიოთეკო კოლექში დაიწყო ახალი სისტემის კომპიგერების მონტაჟი. დაიწყო თვით ელექტრონული კატალოგების აღწერილობაში გარკვეული ცვლილებების შეტანის პროცესი. ამან გარკვეული შეფერხებები გამოიწვია საკატალოგო მეურნეობის ორგანიზაციის საქმეში და ამიგომაცაა, რომ ბევრ ბიბლიოთეკაში კატალოგების ელექტრონული ვერსია ბოლომდე არ არის დასრულებული.

მასაჩუსეტსის შტატის საბიბლიოთეკო სისტემა მრავალ მსხვილ ისეთ ერთეულს მოიცავს, სადაც ფონდები ათეულ მილიონობით ეგზემპლარს ითვლიან. ამ ფონდებში ხშირ შემთხვევაში ძირითადი ნაწილი მიკროფილმების სახითაა წარმოდგენილი. ფონდების შენახვის პროცესში, მიკროფირმე გადაღებული ლიგურაგურა ინახება სპეციალურ საცავში, ხოლო მისი ასლი ჩამოწერას ექვემდებარება.

რაც შეეხება მკითხველთა მომსახურების ფორმებს, რომლებსაც ჩვენ გავეცანით, ამერიკელ ბიბლიოთეკართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბევრ ორიგინალურ და საინტერესო ვარიანტს გვთავაზობენ. ბევრ ფორმას ჩვენც მივმართავთ, მაგრამ შეიმჩნევა თავისებური, ამერიკული აქცენტი. მომხმარებელთა მიღების პროცესიდან დაწყებული და მათი შეკვეთების დაკმაყოფილების ბოლო მომენტით დამთავრებული, მკითხველს აგრძნობინებენ, რომ იგი იმყოფება მისთვის მეტად საინტერესო და მომგებიან დაწესებულებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელ მოქალაქეებში საბიბლიოთეკო სამსახურებისადმი უდიდესი პატივისცემის გრძნობაა ჩამოყალიბებული. იშვიათია შემთხვევა წიგნების დაკარგვისა ან რაიმე მიზეზით მათი გაფუჭებისა. ამასთან ერთად, ძალზე მცირეა მომხმარებელთა მხრიდან ლიგურაგურის დაგვიანებით დაბრუნების შემთხვევები. მომხმარებელში დიდ სიამოვნებას იწვევს თავისუფალი დაშვების თაროების არსებობა. მოცემულ მომენტში რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში მათ მომენტალურ დახმარებას უწევს მორიგე პროფესიონალი ბიბლიოთეკარი. მისაღებია ისიც, რომ მომხმარე-

ბელზე, თუ იგი გაწევრიანებული არ არის მოცემულ ბიბლიოთეკაში, ინფორმაცია არ გაიცემა. ამასთან ერთად, მომხმარებელი მომენტალურად იღებს ინფორმაციას, თუ რა დამატებითი მომსახურების ფორმები ითვლება ე.წ. „ფასიანი“ მომსახურების ფორმად. ეს ყველაფერი კეთდება უალრესად კორექტულად და, რაც მთავარია, გულისხმიერებით.

მომსახურების განყოფილებებში უკვე გაწევრიანებული მომხმარებელი უდიდესი მშრუნველობის ქვეშაა მოქცეული. მკითხველის განკარგულებაში დიდი, ნათელი დარბაზი ათასნაირი ტელე-ვიდეო და კომპიგურული აპარატურითაა აღჭურვილი. მოთხოვნის შემთხვევაში მომენტალურად ხდება შეკვეთილი მასალის ქსეროკოპირება.

მასაჩუსეტსის შტატის ყველა ბიბლიოთეკაში და, საერთოდ, ამერიკის საბიბლიოთეკო სისტემაში ბავშვ მკითხველთა ერთგვარი კერპიც კია შექმნილი. განსაკუთრებული ყურადღებით ექცევიან ახალგაზრდა ოჯახებს, რომლებსაც ჩვილი ბავშვები ჰყავთ. ახალგაზრდა მშობელი, რომელსაც არა აქვს საშუალება თავისი პაგარა ვინმეს დაუტოვოს, თამამად შედის ბიბლიოთეკაში. პაგარებთან ჩნდება მორიგე ბიბლიოთეკარი, რომელიც სხვადასხვა გასართობი საშუალებებით, სპეციალურ თარომე განლაგებული სათანადო ლიგურაგურით ართობს პაგარებს. ეს ნელ-ნელა გამოუმუშავებს ბავშვებს წიგნთან ურთიერთობის ჩვევებს. ასეთივე დიდი ყურადღება ექცევა შედარებით მოზრდილ ბავშვებთან (3-6 წელი) მუშაობას. მათთვის გამოყოფილია სპეციალური ოთახები, მოწყობილი სათანადო ავეჯით, ინვენტარით და ინტელექტუალური თამაშობების მთელი სერვისით. ყველა ბავშვს ეძლევა სამუშაო – აიღოს ფლომასგერების და ქაღალდის კომპლექტები, ბიბლიოთეკარების მიერ მიცემულ თემაზე შექმნას სურათი და ნელ-ნელა შეისწავლოს ასობიც კი. ძალზე პოპულარულია ბავშვებში ხმამაღალი კითხვის პროცესი, რასაც შესაფერისად მომზადებული ბიბლიოთეკარი აგარებს.

როგორც შემდეგ გავიგეთ, ამერიკის სკოლე-

ბში და კოლეჯებში მოსწავლეები დაყოფილნი არიან სწავლებაში მოსწრების დონის მიხედვით. არიან ჩამორჩენილები, საშუალო დონის მომზადების მქონენი და მაღალი დონის მოსწავლეები. აქაც სასიამოვნო მაგალითის მოწმე გავხდით. ყოველ ჩამორჩენილ მოსწავლეს კურატორობას პედაგოგი-ვოლონტიორი უწევს, რომელიც თავის თავისუფალ დროს სიამოვნებით უთმობს მასზე მიმაგრებულ ბავშვს და აჰყავს იგი შესაბამის კონდიციამდე. ამ საქმიანობაში პედაგოგები არაერთარ ანაზღაურებას არც თხოულობენ და არც ღებულობენ.

აშშ-ს საკატალოგო სისტემაში სამი საკლასი-ფიკაციო სქემა ფინქციონირებს: კონგრესის ბიბლიოთეკის, ათწილადი და დუისა. ეს უკანასკნელი უმეტესად პაგარა ბიბლიოთეკებში გვხვდება.

როგორც ამერიკელმა კოლეგებმა აღნიშნეს, კატალოგიზაციის პროცესს ისიც აფერხებს, რომ განიცდიან დარგის სპეციალისტთა ნაკლებობას, მიუხედავად იმისა, რომ კატალოგიზატორები გარკვეული შეღავათებით და პრივილეგიებით სარგებლობენ. აქ ერთ მომენტსაც უნდა გავუსვათ ხაზი – თვით კატალოგიზაციის პროცესი მუდმივი დახვეწის პროცესში იმყოფება და ამიტომ ელექტრონული კატალოგები გარკვეული სახის ბიბლიოთეკებში მთლიანად ვერ ასახავს მათთან არსებული ფონდების დღევანდელ სახეს.

მიუხედავად ამერიკის საბიბლიოთეკო სისტემის წამყვან ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდების კომპლექტაციისათვის გამოყოფილი მილიონობით დოლარისა, ნიშანდობლივია ქალაქ ბალტიმორის საჯარო ბიბლიოთეკის მაგალითი, რომელმაც გადაწყვიტა გამომცემლობების მიერ ყველა გამოცემული ლიტერატურის ერთი ეგზემპლიარი მაინც შეეძინა. აღნიშნულმა მომენტმა თვალნათლივ დანახვა კომპლექტატორებს, რომ მიუხედავად საკმაოდ სოლიდური თანხებისა, გამოცემების 25%-ზე მეტს ისინი ვერ შეისყიდნენ. და აი, ამ მომენტში კვლავ წინ იწევს ბშა-ს ფუნქციები, რაც იწვევს წიგნცვლის ორგანიზაციის გაძლიერებას შტატებში.

როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკები, ისე სა-

ბიბლიოთეკო გაერთიანებები, რა დონისაყ არ უნდა იყოს, ყოველი წლის დამდეგს ადგენს საშუალო გეგმებს. აღნიშნული გეგმა მოიცავს მოცემული საბიბლიოთეკო ერთეულის საქმიანობის ყველა კომპონენტს, დაწყებული აღმინისგრაციული და დამთავრებული სანიგარულ-ჰიგიენური სამსახურებით. საშუალო გეგმა წარმოადგენს ე.წ. პროექტის სახეს და ითვალისწინებს ყველაზე უმნიშვნელო დეტალებსაც კი. რაც მთავარია, ყოველი სამსახური ან მოქმედების სფერო შეფასებულია გარკვეული ხარჯით და ყოველივე ეს გეგმის ბოლო ნაწილში ჯამდება. ეს ჯამი წარმოადგენს ბიბლიოთეკის ბიუჯეტს, რომელიც მტკიცდება ზემდგომ ორგანოში და იგი მოიაზრება როგორც ერთგვარი საბიბლიოთეკო მინი-კანონი, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს. გარდა ამისა, ყოველი ბიბლიოთეკა წარადგენს სხვა დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებულ პროექტებს, რომელთა შორის წინა პლანზეა წამოწეული ისეთი პროექტები, რომლებიც ბიბლიოთეკის გარეთ გარდება და მასში მონაწილეობენ როგორც სამთავრობო, ისე კერძო პირები ან ორგანიზაციები. როგორც ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები ამბობენ, ასეთი პროექტები ძალზე მკაცრ კონტროლს ექვემდებარება და ხშირ შემთხვევაში მოგიერთს წლების მანძილზე არ ამტკიცებენ. გამოდის, რომ დამატებითი თანხების მოძიება ასეთ მდიდარ ქვეყანაშიც კი უადრესად ძნელი ყოფილა.

გეგმებში კონკრეტულ საშუალოზე, სფეროზე, კონკრეტულ პასუხისმგებელი პირი ან ბიბლიოთეკართა ჯგუფი არის მითითებული. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არავინ არ აძალებს ბიბლიოთეკის კოლექტივებს, მათ გეგმაში შეიგანონ ისეთი საბიბლიოთეკო საშუაოები, რომლებიც არა რეალურია ან ძნელად შესასრულებელი. ძირითად საქმეს ამ მიმართულებით ასრულებს ისეთი ბიბლიოთეკა, რომელიც ითვლება სათაო ბიბლიოთეკად და მინიჭებული აქვს სამეცნიერო სტატუსი.

ყველა გეგმა – პროექტი ნებისმიერი ბიბლიოთეკის თანამშრომლისათვის ხელმისაწვდომია და მისი განხილვა ან განზოგადება უფრო მეტ პა-



სუხისმგებლობას ავალებს კოლექტივის თითოეულ წევრს. მისაღებია ისიც, რომ ამერიკული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობა ხელს უწყობს ბიბლიოთეკართა უნივერსალიზაციას. თუ რომელიმე გაერთიანებაში, რაიმე მიზეზით რომელიმე ბიბლიოთეკარი გამოაკლდა, ეს საშუალებას იძლევა ყოველგვარი ბრძანების გარეშე სხვა ობიექტზე გამოინახოს მუშაკი, რომელიც შეცვლის თანამშრომელს ნებისმიერი ვადით.

აღნიშნულ გეგმაში ნაჩვენებია აგრეთვე ჩვენი დღემდე მოუგვარებელი და ძნელად გადასაწყვეტი საკითხი, რომელიც ეხება ღონისძიებების დროს გაწეული ხარჯების დაფარვას. მასაჩუსეტსის შტატის ყველა ბიბლიოთეკას აქვს უფლება, გამოიყოს გარკვეული თანხები ე.წ. „კოფე-ბრეიკის“ მოსაწყობად, აგრეთვე სტუმრების პაგივისციემის მიზნით – საღიღებების გასამართავად, აქსესუარის შესაძენად და სხვა. ამას ემატება ყვავილების, ემბლემების, ბრელოკების, მაისურების და სხვა მარაგალი დასახელების სუვენირების დასამზადებელი თანხები. მიღებულია აგრეთვე ღონისძიებებში მონაწილე აქტიურ პირთა დაჯილდოება ბიბლიოთეკის სახელწოდებითანი წარწერის მქონე საფულეებისა და ჩანთების დარიგების სახით. ეს ყველაფერი ითვლება ბიბლიოთეკის პროპაგანდის სფეროდაც.

და ბოლოს...

მიუხედავად მეტად დაძაბული გრაფიკისა, მუშაობის პროცესში უამრავი ადამიანი გავიცანი. მათ შორის კატალოგიზაციის წამყვანი სპეციალისტი, დოკუმენტაციასთან მუშაობის სპეციალისტი ლეონარდ ადამსი, საკანონმდებლო დოკუმენტაციების სპეციალისტი ბარბარა მორგანი, სამოგადოებრივი სერვისების კოორდინატორი ჯინ კონოსა-ალბანო, მერი ფრენსის ოლბრაინი, საბიბლიოთეკო სამსახურების სტრატეგიული დაგეგმვის სპეციალისტი ემილი ბადერი, მობარდ-ახალგაზრდობასთან მუშაობის წამყვანი სპეციალისტი ჰეიდი ჰოდისი, საბიბლიოთეკო სერვისებზე ტექნოლოგიური პროცესების წარმართვის სპეციალისტი ტერი პლაში, LTD-

უფროსი ინსტრუქტორი ქრისტინა ენდსგორმი, საორგანიზაციო საქმის მცოდნე ჯენიონ რესკინი, მკითხველთა მომსახურების სპეციალისტები: ნენსი ბირკრემი და სენდი ვორდი, ჰეიდენილის ბიბლიოთეკის დირექტორი ლისა ვენერი და მისი თანაშემწე როშელ ვილფორგი, ჰოლიოკის საქალაქო ბიბლიოთეკის დირექტორი მარია პაგანი. ერთი წუთითაც არ გვაკლებდნენ ყურადღებას LTD-ს სამეურნეო საქმეთა კოორდინატორი ედგარდო როგჰვეგელი და ჩვენი განუმეორებელი გზამკვლევი რომან იაკუბი. უდიდესი შრომა გასწიეს ჩვენმა თარჯიმნებმა, იქაურმა ქართველებმა: ალექსი თეთრაძემ და ნანა ვაშაკიძემ. ამ უკანასკნელმა განშორებისას ჩვენი ჯგუფის ყველა წევრს, საკუთარი სურვილით, გადასცა სუვენირები და ამით უაღრესად ამაღელვებელი წუთები გვაჩუქა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი სამუშაო პროცესთა უაღრესად მაღალი ეფექტი. საქმიანობის ყველა ნიუანსი და თემათა თანმიმდევრობა გათვლილი და დახვეწილი იყო. ყველგან შეიმჩნეოდა უდიდესი პასუხისმგებლობა და მაღალპროფესიული დონე.

გფარვიდეთ ღმერთი!



ბაღრი ცხადაძე

## წიგნთმცოდნეობით – კალეოგრაფიული ტერმინები ქართულში (1. არშია. 2. კიდე || კიდური)

### 1. არშია

ქეგლში – ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რეკომენდებული) არშიის რამდენიმე მნიშვნელობაა დამოწმებული (1) 1. ქსოვილის კიდებზე მოვლებული ნაირსახიანი ბოლი, ფერით ან მასალაით განსხვავებული. ლეჩაქის არშია – ლურჯი არშია, ბაბთა. ქარგავდნენ... გულის პირის არშიებს (შ. დადიანი). ფანჯარა ბლონდის არშიის ფარდებით იყო დაფარული (ე. გაბაშვილი). 2. იგივეა, რაც კარნიში: კაცი გაჰყვა განზე სახლის არშიას და გასინჯა განის ფანჯარა (გ. წერეთელი). 3. იგივეა, რაც რანგი: გადავჭიმავდით ფეხსაცმელს, შემოვაღლებდით არშიას (რანგს) („შინამრეწვ. მასალები“). 4. წიგნის ან რვეულის დაუწერელი დატოვებული კიდე: თქვენ რომ ჟურნალი ისე ფარდალადად ბეჭდოთ, რომ გვერდების გარშემო არშიებზე ურმის გატარება შეიძლებოდეს, – ეგ ხომ თვალთმაქცობაა? (ილია). მღრ. შავი არშია მგლოვიარობის ნიშნად რამეზე შემოვლებული, შავი ბოლი (1, 5, 80)

ამრიგად, არშიას დამოწმება ახალ ქართულ ემნაში ამ ლექსიკონის მიხედვით, წიგნთმცოდნეობითი-პალეოგრაფიული მნიშვნელობით, რიგით მეოთხეა. როგორც ჩანს, იგი, როგორც წიგნთმცოდნეობითი ტერმინი, ახალ ქართულში ახალი მოვლენა არ უნდა იყოს.

ქეგლის ერთგომეულში არშიას სამი მნიშვნელობაა დამოწმებული. ჩვენთვის საინტერესო ბოლო, მესამე განმარტება ასეთია: წიგნის ან რვეულის დაუწერლად დატოვებული კიდე. წიგნის არშიაზე მიწერილი შენიშვნა (2, 38).

არშია ძველი ქართული ენის წერილობით ძე-

გლებში არ შეგვხვდრია. მას არ იცნობს ი. აბულაძის (3) და მ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონები (4).

სულხან-საბა ორბელიანის „სიგყვის კონაში“ მითითებულია უარშიო (არშია კვადრაგულ ფრჩხილებშია ჩასმული, ნახე უარშიო – მიანიშნებს მკითხველს. ბ.ცხ), რაც ასეა განმარტებული: უარშიო კაცის გაუწყობელი ZA, გაუწყობელი კაცი B. გაუწყობელი Cab, განუმარტავია (c[5]. qDE (5, 152)

დ. ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში არშია, აშია ფორმები შეუგანია, რაც ასე განუმარტავს: „მოვლებული რამე ვიწრო ნაკერით კიდურებზედ, ქობა, кайма, ნორტ, ნორტიკ, оторочка; არშიის მოვლება пришивать кайму, არშია წერილის, коля, закрайва у книги 8 (6, 47).

ნ. ჩუბინაშვილი უფრო მოკლე განმარტებას გვთავაზობს: არშია, აშია, მოვლებული რამე ვიწროდ ნაკერით კიდურებზედ, кайма 8(7, 140).

ი. ჯავახიშვილის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში თითო-თითოჯერ გვხვდება არშია და აშია (8, 69, 82). მკვლევარი „დაფანჩულად წერის“ მსჯელობისას დასძენს, რომ ალაპების წიგნში, მერმინდელ, გვიანდელ მინაწერებში გვხვდება ტერმინი „აშლით წერა“ ან „დაფანჩულად წერა“, რაც უწესოდ იყო მიჩნეული. მით უმეტეს, საძრახისი იყო „არშია ბლარჯვა“. იქვე დამოწმებულია ნიკ. ჩაჩიკაშვილის ანდერძი 1779 წ. იხ. ე. თაყაიშვილის Опис II 553).

ივ ჯავახიშვილს 82-ე გვერდზე ნიკო ჩაჩიკაშვილის 1779 წ. დაწერილი ანდერძიდან მოჰყავს ჩვენთვის საინტერესო ადგილი: „წყეულ იყოს ის კაცი, თუ ქალი, თხოვნით წაილოს და ამის პა-

გრონს დაავიწყდეს და აღარ გამოუჩინოს. წყეული იყოს, რომელსაც აქედამ ამბავი მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს და ან უბრალოდ არშიაზე ბლარჯვა დაიწყოს და ან ფინთად და უნაღველად და ნისიად იხმაროს”. (8, 82). შეიძლება ითქვას, ივ. ჯავახიშვილის „ქართულ პალეოგრაფიაში” მხოლოდ არშია ფორმაა დამოწმებული ორივე გვერდზე (ნიკ. ჩაჩიკაშვილის ანდერძიდან), არშია, ამავე წიგნის სქოლიოში დამოწმებული, შეცდომაა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აშია ფორმა ქართულ ენაში არ არსებობდეს. ქართულში არშია და აშია პარალელურად იხმარება. მაგრამ სალიტერატურო ნორმა, კანონიკური ფორმა არშიაა (9, 56).

როგორც ჩანს, არშია (აშია) წარმოშობით ქართული სიგევა არაა, იგი ქართულ ენაში ე.წ. აღორძინების ხანიდან, შუასაუკუნეებში მკვიდრდება.

ისმება კითხვა: საღაური სიგევაა არშია? ჩვენი ამრით, იგი თურქულენოვანი ნასესხობაა: თურქ. „არჩან” – „შავი ღვია”. არჩან ღვემდე შემოუნახავს ქართული ენის ინგილოურ დიალექტს (ალ. მაყაშვილი), რომლისგან ნ სონორის მოკვეციტ მივიღეთ არშია. აქედან ქართულია სუფიქსის დართვით არშია. ღირსსაცნობია ისიც, რომ არშია ლექსება შემოუნახეს ხევის (საქართველოს მთიანეთი) და ჩრდილო კავკასიის ხალხთა გოპონიმიას (ნ. არდოგელი, გ. ბედოშვილი) (10,26).

ამრიგად, არშია-აშია წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიული გერმინია ქართულში გვიან მკვიდრდება თურქებისა და თურქული ენის ბეგავლენით. მისი მიღების გზა ასე გვესახება: თურქ. არჩან – „შავი ღვია” → გაქართ. არჩა → არშა – ქართ. არშია → აშია „ქობა, კიდე, ბაფთა, კარნიზი”.

## 2. კიდე || კიდური

როგორც გაირკვა, არშია-აშია თურქული სიგევა აღმოჩნდა, რომელიც ქართულ ენას მე-16-17 სს-ში უსესხებია. რა სიგევა უნდა ეხმარათ

არშიის ნაცვლად ჩვენს ძველ წინაპრებს? ეს სიგევაა კიდე. იგი ახლაც იხმარება დღევანდელ ქართულში არშიის მნიშვნელობით. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში კიდე იშვიათი ხმარების არაა. იგი წარმომდგარი უნდა იყოს კედელ ლექსემისაგან: კედელ → კიდელ → კიდე. აღსანიშნავია, რომ ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში (მასალებში) კიდელ და კიდე ჯერ კიდევ ერთი მნიშვნელობის შემცველია: კიდე – კედ ფუძისაგან ნაწარმოებია ისეთი სიგევები, როგორებიცაა: ძვ. ქართ. კიდე თანდებული – გარდა, შდრ. ახ. ქართ. კიდიტ-კიდე, კიდეც. ძვ. ქართ. კიდება „ტვირთვა, ჩამოკიდება”, კიდებული „ჩამოკიდებული”. შდრ. ახ. ქართ. „ჯორკიდებული – „ჯორს აკიდებული გვირთი”, ძვ. ქართ. კიდეგან „განაპირას, ცალკე”, შდრ. ახ. ქართ. „უკიდეგანო”, ძვ. ქართ. კიდე – ქმნაყოფა, „გაცლა, გავარდნა”, „განდგომა”. ძვ. ქართ. კიდექმნული „განდგომილი”, კილობანი (რომელშიც -ობან-სიგევასაწარმოებელი სუფიქსია: კილო+ბან), კილობანაკი „კილობანი, მომცრო მანდუკი”, კიდე მზნიმედა „ცალკე, განზე”, კიდე „ბაგე”, „საკიდური, ნაპირი” პირი, კუთხე, მხარე, კალთა” (3,198).

ამრიგად, წიგნის არშია ძველქართულად წიგნის კიდეა, წიგნის ბაგეა, წიგნის კიდურია, წიგნის პირი ანუ ნაპირია, წიგნის კუთხე, მხარე, ანუ მხარია.

კიდე რომ ძველი ქართული წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიული გერმინია, კარგად ჩანს ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „გარდამოცემაჲს” შესავლიდან. მოვიყვანთ ვერცელ ამონარიდს: „ჩემი ესე კადრებული და მომრახული, არა ხოლო შესლვასა ამის ვიგყუ, არამედ კიდეთა წარწერილსა თარგმანითაცა, რომელთაგანნი რომელნიმე ბეპირით დაწერილნია და რომელნიმე დედისაგან. და ბეპირობისა მიზეზი ესე არს, ვინაჲთგან ყოველსა თარგმანსა უკმს შემატებაჲ სიგეჲსაჲ რეცა განმაცხადებულად ძალისა. ხოლო მე, ვითარცა ყოველსა უნარჩევესსა, მიზეზი იგი და შემდგომად



ღმრთისა მოცემული იგი ჩემდა თარგმანობისაა ბერი ჩუენი ამას მიბრძანებდის, რათა წმიდისა სიგყუა მარგვიად და შეუბავებლად და შეუხებლად ვსთარგმნო და უკეთუ რამე ძალისა განმაცხადებელი უკმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილ-ადგილ და შესავალსა შინა, თავსა წიგნისასა, დავწერო. ამისთვისცა ყოვლად უჯერო არს ვისგანმე კიდესა წარწერილისა მის თარგმანისაა შიგან გარევით დაწერაჲ, არამედ კიდესა წარწერაჲ ვითარცა ვისწავლეთ ჩუენ ესე ოთხასოცთა მათგან წიგნთა, თეოდორე პაგრი-არქისა მიერ სკემონწმიდის შეწირულთა, რომელთა შინა არა რაჲ ჰრთავს საგალობელი, თხზიერ ყოველნივე საკითხავნი არიან გარეშენი შეისწავენი და საეკლესიონი და საჭიროსა სიგყუსა თარგმანი პაგივთა ზედა წიგნისათა უწერია. ხოლო და განსაზღვრებაჲ განჩინებითურთ და სამეცნიეროჲ ესე, არა ოდენ ამას წიგნსა, არამედ ყოველთავე წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა, რათა, რა ჯამს სამეცნიეროსა რასმე სიგყუსა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უკმდეს მიმყოფრებული ჯამი, ანუ ყოვლისავე გარდაკითხვა“ (ხელნაწ. A-24, 3r) (11, 59).

გარდა კიდე გერგმინისა, ეფრემ მცირეს თარგმანიდან ამონარიდი იმითაცაა საყურადღებო, რომ ძველად განსაზღვრული იყო კიდეების გამოყენების წესები (მთარგმნელის ან გადამწერთა მიერ). ძირითადი გექსტი „მარგვიად და შეუხებლად“ უნდა დაეგოვებინა მწერალს, ხოლო თუ მას რაიმე ადგილის განმარტების სურვილი გაუჩნდებოდა, საკუთარი ნააზრევი კიდეზე უნდა მიეწერა, არ შეიძლებოდა „კიდესა წარწერილის“ შერევა ძირითად გექსთან. (11, 60).

მ. -50 ანდერძში (ხელნაწერი წარმოადგენს არსენ ვაჩესძის დოგმატიკონს, 1771 წელს გადაწერილს) ჩვენი ყურადღება მიიქცია კიდე პალეოგრაფიული გერმინის ნაცვლად გვერდი-გვერდ კიდეურ-ისა და არშია-ს გამოყენებამ. აი ეს ანდერძი: „ყოველთა გვედრები აღმომკითხველთა წმიდისა ამის წიგნისათა, რათა კეთილად განარჩიოთ სხოლიონნი და არა-სხოლი-

ონნი, რომელ არიან დანაშთენნი მკვდრისანი, რომელიცა არა თნებითა ჩემითა მიქმნიეს, არამედ კაცობრივმან უძღურებამან და ადგილისა ეგვეითარსა ვერ-მიწიფებამან, უფრორე ცოდვისა ძალითმან სიმრუმემან მაქნია ესრეთ, და ნაკულ-ყოფილი იგი, მკვდრისა თანავე არშითა ზედა, განა კილურთა, იძიეთ მოწერილად ზედსაჩინობათა სამის წერტილისა წითლურისათა და განწესებულსა ადგილსავე თანა აღმოკითხეთ“ (11, 61). როგორც მ. სურგულაძე შენიშნავს, გადამწერი სხოლიოს აიგივებს არშითან და ორივეს უწოდებს „დანაშთენნი მკვდრისანი“ (11,61) (ესეც პალეოგრაფიული გერმინია, რომელსაც მომდევნო წერილში შევეხებით)

აქ ჩვენთვის ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ მე-18 საუკუნეში ქართველ კაცს „კილურზე“ უფრო არაქართული წარმოშობის „არშიას“ „თქმა და ხევა“ ეხერხება. მიუხედავად არაქართული და საკუთრივ ქართული სიგყვების „ქიშპობისა“, (ეს „ქიშპი“ ახლაც გრძელდება!) ქართულმა ენამ ძირძველი კიდე, კიდეურ გერმინები მაინც დღემდე შემოინახა.

### დამონმებული ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული). პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, არნ. ჩიქობავას და მ. ჭაბაშვილის რედაქციით, თბ., 1986.
3. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. (მასალები), თბ., 1973.
4. მ. სარჯველიძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.
5. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1966.
6. დ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით სასტამბოდ მოამზადა და წინასიგყვაობა დაურთო ა. შანიძემ. თბ., 1984.
7. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ აღ. დლონგის რედა-

ქციითა და გამოკვლევით. თბ., 1961.  
 8. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, მეორე გამოცემა, თბ., 1949.  
 9. ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. ვარლამ თოფურიას რედაქციით. თბ., 1968.  
 10. გ. ბელოშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი გოპონიმის (ანანური, არშა, ფასანური) წარმოქმნის შესახებ: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XIV 2003 წლის 22-25 აპრილი. მა-

სალეხი, თბ., 2003.  
 11. მ. სურგულაძე. ძველი ქართული პალეოგრაფიული გერმინები. თბ., 1978.  
 შემოკლებანი:  
 ახ. ქართ. – ახალი ქართული.  
 თურქ. – თურქული.  
 ქართ. – ქართული.  
 ქეგლ. – ქართული ენის განმარგებითი ლექსიკონი.  
 ძვ. ქართ. – ძველი ქართული.



გ ვ ე ს ა უ ბ რ ე ბ ა პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ღ ი

ნანა ვასაძე,

თსუ ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარი

**უღაპაპო უიპრიო**  
 (ბამონაშრაბა)

**ს**აბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებმა და ჩვენმა მკითხველებმა უკვე იცნან, რომ მიმდინარე წლის 21 მაისს თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია თემაზე – „ბიბლიოთეკების გარდაქმნა და თანამედროვე საბიბლიოთეკო სკოლა: პრობლემები და პერსპექტივები“. კონფერენცია მოაწყო ამერიკის გრანსნაციალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის თბილისის ოფისმა; კონფერენციის ორგანიზაცია და წარმართვა დავალებული ჰქონდა ამ ოფისის მთარგმნელსა და ბიბლიოთეკარს ლელა ნანუაშვილს. ჩემთვის მეგად საინტერესო იყო გამე-

ცნო მისი პიროვნება და შეხვედრა მისი მოღვაწეობის შესახებ. როგორც გავიგე, ის არის ფილოლოგი, რომელმაც წარმატებით დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი ინგლისური ენის სპეციალობით, აგრეთვე თსუ-ს კიბერნეტიკის ფაკულტეტი. 1999 წელს მასკო-ის პროგრამით გაემგზავრა შეერთებულ შტატებში და სწავლა განაგრძო მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონში – სიმონსის კოლეჯში, სადაც დაამთავრა საინფორმაციო-საბიბლიოთეკო სკოლის მაგისტრატურა: თბილისში მუშაობდა გექინფორმში, მოღვაწეობს ისა-ს კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, სადაც კითხულობს კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის კურსს, შეთავსებით ლექციები აქვს თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სა-

ხელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში; თარგმნა ინგლისურ-ამერიკული კატალოგიზაციის წესების დიდი ნაწილი, დიუის ათწილადი კლასიფიკაციის შემოკლებული ვარიანტი და მარკ 21-ის ფორმატი. მისი ინიციატივით შეიქმნა აღნიშნული კონფერენციის პროექტი და წარმატებით განხორციელდა კიდევ.

კონფერენციის შესახებ არაფერს ვიყვი, რადგან ამის თაობაზე უკვე გამოქვეყნდა საანგარიშო კორესპოდენცია. უბრალოდ, მინდა ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარო კოლეგებს და გამოვთქვა მოსაზრებები, რომლებიც ამ კონფერენციის დროს გამიჩნდა.

თავიდან მსმენელის როლში ვიყავი, მაგრამ შემდეგში მეც ჩავერთე დისკუსიაში. ჩემი გამოსვლა ძალიან მოკლე იყო – ვილაპარაკე იმ პრობლემებზე, რომლებიც ასე გვაღელვებს დარგის სპეციალისტებს. მინდა მოგახსენოთ, რომ, მართალია, სპეციალობით ფილოლოგი ვარ, მაგრამ უკვე 25 წელია ვმუშაობ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიბლიოთეკაში და ამ ხნის განმავლობაში საფუძვლიანად ვეუფლებოდი ჩემს პროფესიას, ბევრი რამ მაინტერესებს და მიზიდავს. გამუდმებით ვიმადლებდი პროფესიულ დონეს, რაშიც ხელს მიწყობდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, დაუმარებლად მეხმარებოდნენ კოლეგები, რის შედეგადაც მოვახერხე დავოსტატებულიყავი. 1999 წლის გაზაფხულზე გავიარე ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის სამთვიანი კურსები და მივიღე სერტიფიკატი. მეგად საინტერესო საგნებს გავდიოდით აქ. მათ შორის ისეთი ახალი საგნებია, როგორიცაა ინტელექტუალური თავისუფლება, დაფინანსების ძიება ბიბლიოთეკებისათვის, საბიბლიოთეკო მენეჯმენტი, საცნობარო სამსახური, ბიბლიოთეკების ავტომატიზაცია, კატალოგიზაცია და კლასიფიკაცია, საწყისი კომპიუტერული სწავლება და სხვ. გვასწავლიდნენ მაღალპროფესიონალი სპეციალისტები, რომელთა უმრავლესობას ამე-

რიკაში აქვს მიღებული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო საქმის კვალიფიკაცია. ყველა კოლეგას ვურჩევ, როგორმე უეჭველად გაიაროს ეს შესანიშნავი კურსები, დაეუფლოს თანამედროვე სტანდარტებით ბიბლიოთეკაში მუშაობას, ისწავლოს ახალი ინფორმაციების ძიება, დამუშავება და მომხმარებლებისათვის მიწოდება.

პროფესიული განვითარების შედეგები თვალსაჩინოა. მაგალითად, თუ წიგნისთვის გრადიციული მეთოდების გამოყენებით ინდექსირება დიდ დროს მოითხოვს, კომპიუტერის გამოყენებით 2-3 წუთში შეიძლება ეს გაკეთდეს. მთავარია იცოდე, როგორ იმუშაო. ამის დაუფლება არც თუ ისე ძნელია. ვიცი, არიან ბიბლიოთეკარები, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ყოველგვარ ახალს, განსაკუთრებით კი კომპიუტერს. დამერწმუნეთ, ისინი ცდებიან. დაინტერესებული ადამიანი ყველა ასაკში შეძლებს სიახლის ათვისებას. ზოგს მიაჩნია, რომ კომპიუტერი, საერთოდ, ახალი ტექნოლოგიები აკნინებენ ბიბლიოთეკარის როლს, მაგრამ ეს ასე არ არის: კვალიფიციური ბიბლიოთეკარის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად წარიმართოს ინფორმაციული საქმიანობა, რაც თანამედროვე ბიბლიოთეკების უმთავრესი ფუნქციაა.

არ მინდა ვისწმეს სწავლებად ჩამეთვალოს, მაგრამ სურვილი კი მაქვს, რომ ახალგაზრდა საბიბლიოთეკო სპეციალისტთა მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნეს ის საგნები, რომლებიც ჩვენ გავიარეთ და ცოდნა მივიღეთ, რაც პროექტიკაში გვეხმარება.

სწორედ ახალი პროგრამების, სწავლებისადმი ახლებური მიდგომის შესახებ გაიშალა საუბარი აღნიშნულ კონფერენციაზე. ბევრი რამ ითქვა, იყო დავა-კამათი, სამწუხაროდ, არასწორი შეხედულებაც გამოითქვა ამერიკელების მიერ ჩვენს დახმარებაზე ინფორმაციულ-საბიბლიოთეკო დარგში, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდია, ახალი სიტუაციებისა და პირობების ღრმად გაუცნობიერებულობა.

ყოველნაირად ჩანდა, რა როლიც ითამაშა



ამერიკულმა მხარემ ჩვენი სპეციალისტების მომზადების საქმეში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტაჟირებაზე ორი მომრდილი ჯგუფის გაგზავნას ამერიკის შესაბამისი დეპარტამენტის დაფინანსებით. სტაჟირებაგავლილ სპეციალისტთა კონფერენციაზე მონათხრობი მეტყველებდა ამას.

უნდა აღვნიშნო, რომ კონფერენციაზე ბევრი საჭირობოროგო საკითხი იქნა განხილული, ზოგი გადაწყვეტილებაც მივიღეთ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ღონისძიებას კარგი შედეგი მოჰყვა. ჯერ ერთი, მან დაგვანახა, რას

ვაკეთებთ, რა გზით მიდის ჩვენი საბიბლიოთეკო სკოლა, მეორეც – ნათლად გამოჩნდა, რომ მთლიანად გადასახალისებელია სასწავლო პროგრამების არსენალი. ესეც რომ არ იყოს, მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ბევრ კოლეგას გავეცანი, ვიხილეთ ახალი სახეები, გამოჩნდა ახალი სახელები, რასაც დიდი მათორგანიზებული მნიშვნელობა აქვს. ყველა ჩვენგანი დაგვაფიქრა, რა უნდა მივიღოთ შედეგად ამ ჩვენი შეხვედრიდან და როგორ უნდა მოხდეს მისი რეალიზაცია.



გულნარა სტურუა

## უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის საპარტოვარივი უფლებები

**რ**ა უფლება-მოვალეობა ეკისრება დღევანდელ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს? არის თუ არა მათი საქმიანობა სამართლებრივი საფუძვლებით უზრუნველყოფილი ახალ დამოუკიდებელ საქართველოში? – აი კითხვები, რომლებიც გვაინტერესებს. საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები, ისევე როგორც დანარჩენი უწყებების ბიბლიოთეკები, ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა კავშირის კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით. ამ კანონებისადმი ისე, როგორც რუსეთიდან მოსული ყოველი ბრძანების, მეთოდური მითითებების თუ დებულებისადმი, იყო სა-

კმაოდ ფრთხილი, პასუხისმგებლური დამოკიდებულება, როგორც ბიბლიოთეკის დირექციისაგან, ისე უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობისაგან. თუმცა ადგილობრივი ხელმძღვანელობა მინდობილი იყო თავად ბიბლიოთეკის დირექციას, რომელიც თავის მხრივ, ძირითადად საბაზო ბიბლიოთეკის ანუ, ჩვენს შემთხვევაში, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის მეთოდური ხელმძღვანელობით სარგებლობდა.

წელიწადში ორჯერ რექტორაგი მოითხოვდა ბიბლიოთეკის მუშაობის ანგარიშს და, მიუხედავად ასეთი ინტერესისა, მაშინაც კი ბიბლიოთეკებს არ ეჭირათ ქვეყანაში ის პრესტიჟული



ადგილი, რომელსაც ეს დაწესებულებები იმსახურებდნენ. უპატივცემლობა და უყურადღებობა ბიბლიოთეკებისადმი გამოიხატებოდა როგორც ხელფასებში, ისე საქართველოს განათლებისა და კულტურის შესახებ კანონებში. ხელისუფლების მიერ გაკეთებულ იმ მოხსენებებში თუ საქმიან შეხვედრებში, სადაც კულტურასა და განათლებაზე, კინობზე, თეატრზე, კულტურის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე იყო საუბარი, იშვიათად შეხვდებოდით სიტყვა „ბიბლიოთეკას“.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ფონდების დაკომპლექტებისათვის საჭირო ფინანსების მხრივ, ბიბლიოთეკები გაცილებით უმრუნველყოფილი იყვნენ. შედარებით დაცული იყო ბიბლიოთეკის შენობები და სათავსოები, ე.ი. ბიბლიოთეკების ხელშეუხებლობის პრემუმფიცია არსებობდა. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში 80-90-იან წლებში უკვე იყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები, რომელთა ნაწილს ცალკე შენობაც კი ჰქონდა. (შემდეგში გაიხსნა 241 კომერციული სასწავლებელი. ჯერ არა გვაქვს დადგენილი, მათ შორის რამდენია ბიბლიოთეკით უმრუნველყოფილი).

ერთი სიტყვით, პატივცემულ მკითხველს მინდა მივაწოდო მოკლე ინფორმაცია წარსულზე და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დღეს საქართველოს საბიბლიოთეკო საქმე განსაკუთრებულადაა მისახელი. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ დავიცვათ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ახალი სოციალურ-პოლიტიკური გარემოება, საბაზრო ეკონომიკა და ქვეყანაში არსებული სიტუაცია მოითხოვს ბიბლიოთეკების რეკონსტრუქციას, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, – თანამედროვე ახალი ბიბლიოთეკების როლის გაცნობიერებას, როგორც სზოგადოების, ისე თავად ბიბლიოთეკარების მიერ.

განვითარებულ ქვეყნებში დღეს უკვე არ წარმოადგენს ახალს ის, რომ ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო საქმე საზოგადოების ინფორმაციული რესურსების ორგანულ ნაწილს წარმო-

ადგენს. პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ეპოქაში ინფორმაციული რესურსები გამოიყურება როგორც სიმდიდრის, ქონების ყველაზე მნიშვნელოვანი პოტენციური წყარო, რასაც ეკონომიკის ახალი დარგების განვითარებისაკენ მივყავართ. მოწინავე ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ ინფორმაციული რესურსები თვალნათლივ გარდაიქმნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალურ რესურსად შრომის რესურსებთან ერთად. ამ ქვეყნებში ინფორმაციების წარმოება, შენახვა, გავრცელება და გადაცემა ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი უნდა ირღვეოდეს. პირიქით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი განვითარებული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშნად აღიქმება და ამავე დროს ახალი ინფორმაციებით მომსახურება ჩვეულებრივი მოქალაქეების უმრავლესობისათვის მიუწვდომელი გახდებოდა, რომ აუცილებელ ინფორმაციულ მასივებში თავისუფალი დაშვების ორგანიზება ბიბლიოთეკების საშუალებით არ მომხდარიყო.

ეს ყველაფერი ასეა, მიუხედავად იმისა, რომ საბიბლიოთეკო მეცნიერებაში არსებობს სხვა ამრი ბიბლიოთეკების ინფორმაციული როლისა და მისი ნამდვილი მოწოდების შესახებ... მართლაც და, ხომ ვერ უარეყოფთ რეალობას: ბიბლიოთეკა აგროვებს, სისტემატიზაციას უკეთებს, ინახავს და საყოველთაოდ იყენებს მხატვრული სახეებისა და ცოლნის მრავალფეროვან წყაროებს: დამწერლობითსა და ბეჭდურ ნაწარმოებებს, აუდიო-ვიდეო-ვიზუალურ მასალებს, სხვადასხვა არხებიდან მიღებულ ინფორმაციებს... დიახ, ამ უკანასკნელი ამრის (ე.ი. ბიბლიოთეკის ინფორმაციული როლის კრიტიკის) მომხრეებს უნდათ ითქვან, რომ ბიბლიოთეკა უფრო მეტია, ვიდრე ინფორმაციული ცენტრი, მაგრამ ერთ დროს ბიბლიოთეკებმა ხომ იკისრეს წერბითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და



კითხვის კულტურის ფუძემდებლის როლი, დღეს ყველაფერთან ერთად, ბიბლიოთეკებს ინფორმაციათა სისტემატიზაციისა და მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის ორგანიზების როლის შესრულება დაეკისრათ.

და აი, ასეთ ვითარებაში როგორია უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების უფლებები, რა შეუძლიათ მათ და ვინ იცავს მათ უფლებებს, ჰყავთ თუ არა მათ ამ სიახლისაკენ მთავალ გზაზე თანამდგომი. ეს კითხვა მით უფრო აქტუალურია, რადგანაც სწორედ ამ ახალ დროშია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებმა ავტონომია რომ მოიპოვეს, და ჩნდება კიდევ ახალი კითხვა – ამ ავტონომიაში რა ადგილი აქვთ დათმობილი ბიბლიოთეკებს? ეს საკითხი ყოველმხრივ საინტერესოა და განსაკუთრებით იმიტომ, რომ სწავლების პროცესის მართვის შინაარსი სახეებით განსხვავდება ბიბლიოთეკის მართვის სპეციფიკისაგან. ბიბლიოთეკა არის ერთ-ერთი ორიგინალური სისტემა, რომელიც შემოქმედებითად და ამავე დროს ძალიან ფაქიზად, მისადაგებულად არამცთუ ეხმარება სასწავლო პროცესს, არამედ ღრმად უნდა იყოს ჩართული სწავლების პროცესში. თუ ეს ასე არ არის და ბიბლიოთეკა რექტორატთან ერთად არ ეწევა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჭაპანს – იგი ვერ ბიბლიოთეკობს და, პირიქით, უნივერსიტეტი ან სხვა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ძირფესვიანად არ არის დაინტერესებული საბიბლიოთეკო ცხოვრების შერწყმით სწავლების პროცესთან, მისი მაქსიმალური გამოყენებით იმ საერთო საქმისათვის, რომელსაც სტუდენტის განსწავლა და პროფესიული დაოსტატება ჰქვია – ვერ უნივერსიტეტობს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთან თუ სხვაგან – საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ. 1999 წელს განათლების მინისტრის მიერ დამტკიცდა უმაღლეს სასწავლებე-

ლთა ბიბლიოთეკების დებულება, სადაც ჩამოყალიბებულია მუხლები უმაღლეს სასწავლებელთა ფუნქციებზე, მართვაზე, დაფინანსებაზე, მაგერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. დებულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილეში, რომელიც, გარკვეულწილად იცავს და აკანონებს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ფუნქციონირებას, რა თქმა უნდა, იმ მნიშვნელოვან დოკუმენტთან ერთად, რომელსაც ჰქვია საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ და, რომელიც სამი წლით წინ უსწრებს აღნიშნულ დებულებას.

საბიბლიოთეკო საქმის კანონში ერთი მეტად ყურადსაღები თავია: „სახელმწიფო უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვას და ხელშეუხებლობას“ (მუხლის 4. 3. ა), რაც სამწუხაროდ „უგულებელყოფილია დღევანდელ საქართველოში. ხშირ შემთხვევაში კანონი ვერ გვიცავს, მაგრამ აღნიშნული თავი ჩვენმა კოლეგებმა უმაღლესი სასწავლებლების დებულებაში არამც თუ გადაიგანეს, არამედ უფრო დააკონკრეტეს: „ბიბლიოთეკის გამოყენება არაპირდაპირი დაინიშნულებით, მისი შევიწროვება, გადაყვანა უარეს პირობებში და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მოთხოვნების უგულებელყოფა განიხილება როგორც საკანონმდებლო დარღვევა“ (მუხლი VII. 4.). საინტერესოა აგრეთვე დებულებაში მოყვანილი ერთ-ერთი ფორმულირება: „ბიბლიოთეკის დირექტორი არის რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი“ (მუხლი III. 2.). აღნიშნულ ორგანოში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წევრობა გრადიციულია, დღევანდელ დღეს უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის პირობებში, როცა ბიბლიოთეკას ადრინდელივით ფინანსთა და განათლების სამინისტროები კი არ უდგენენ ბიუჯეტს, არამედ უკვე ადგილობრივი ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია ყოველივე ეს, სხვა ყველა საჭირობოროტო საკითხებთან ერთად, დებულებაზე მომუშავე კოლეგებმა, რო-



გორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალეს ამ საკითხზე გაეკეთებინათ აქცენტირება.

მიუხედავად ამ ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტისა, საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი – შესაქმნელია მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები, საჭიროა მხარდაჭერა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, მაგრამ, რაც მთავარია, აღნიშნული მომენტები გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ საბიბლიოთეკო წესებსა და კანონებში, არამედ თავად უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც რესპუბლიკური მნიშვნელობის კანონებში და კანონქვემდებარე აქტებში, ისე იმ შინაგანაწესებში და ლებულებებში, რომლებსაც აღგენენ და ქმნიან თავად უნივერსიტეტები სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის.

დღეს თუ გამოწვლილვით შევისწავლით საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მდგომარეობას, ვფიქრობ, რომ არანაკლებ სურათს მივიღებთ, ვიდრე 1989 წლის საფრანგეთის ბიბლიოთეკებში იყო. თა-

ვის მოხსენებაში ფრანგი სპეციალისტი ანდრე მიქელია ასე წერდა: „ყველა ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ყველაზე მეტად დაზარალებული ბონა საუნივერსიტეტო ერთობლიობაში ბიბლიოთეკებია, როგორც შედეგი ნაციონალური პრობლემისა“. ღიახ, ჩვენც იგივე გვეთქმის დღეს ალბათ, მაგრამ მსგავსად ფრანგებისა, მივიჩნევთ კი ჩვენ ყოველივე ამას ნაციონალურ პრობლემად, თუ შევეცდებით „ყველაფერი კარგად არის“ ლომუნგით თავის მოგყუებას?

და ბოლოს, კვლავ მინდა გავიმეორო: შესაქმნელია ისეთი იურიდიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც იქნება გარანტი ბიბლიოთეკების განვითარებისა, ამავე დროს გადასახედიან განათლებისა და კულტურის კანონი – უჭირავს კი რაიმე სივრცე ამ კანონებში უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების (და, საერთოდ, ბიბლიოთეკების) პრობლემას? ბიბლიოთეკების პრობლემების მოწესრიგების გარეშე განათლების სისტემის და კულტურის განვითარების პრობლემებს აღვიღად ვერ გადავჭრით!



გამოცდილების გაზიარება



სანამ ნერსესოვა,  
თბილისის №104 სკოლის ბიბლიოთეკარი

მოსწავლე ბიბლიოთეკის უსწავლა  
სასკოლო ბიბლიოთეკაში



სკოლის ბიბლიოთეკა მოწოდებულია ხელი შეუწყოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას. ჩვენ ვეხმარებით პედაგოგებს პროგრამების სრულყოფილად დაძლევაში,

მოსწავლეთა მრწამსისა და მორალურ-ეთიკური ნორმების ჩამოყალიბებაში. ყოველივე ამასში წარმატების მოპოვება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ვიცნობთ ჩვენ ჩვენს მომხმარებელს – მოსწავლეებს, როგორ გვესმის მათი,

რამდენად გარკვეული ვართ მათ ინგერესებსა და მოთხოვნებებში. ეს კი შეუძლებელია მათი შესწავლის გარეშე. მხოლოდ ასე შეიძლება მივალწით იმას, რომ ჩვენი შრომა იყოს შედეგიანი და ეფექტური.

ბიბლიოთეკარს საქმე აქვს წიგნთან და მკითხველთან. ამგვარად, ვლებულობთ ურთიერთკავშირის ორგვარ გზას: ერთი – წიგნიდან მკითხველისაკენ, მეორე – მკითხველიდან წიგნისაკენ. ორივე შემთხვევაში საჭიროა კარგად ვიცნობდეთ როგორც წიგნს, ისე მის მომხმარებელსაც. წიგნების გაცნობის გზა შედარებით მარტივია, უფრო ძნელია მკითხველთა შესწავლა, რაც მრავალგვარი მეთოდითა და ფორმით ხდება. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა მკითხველთა ფორმულარების ანალიზი, რის შესახებაც გვინდა სწორედ ვისაუბროთ ჩვენს წერილში.

მართალია, თანამედროვე ტექნოლოგიები და უკვე მოწინავე ქვეყნებში დანერგილი ტექნიკური საშუალებები ამჟამად სულ სხვაგვარი რეგისტრაციის ფორმებს ქმნიან, რაც ელექტრონულ სისტემაზე აგებული, მაგრამ ჩვენს პირობებში, ჯერჯერობით, ვიყენებთ რა გრადიციულ ფორმებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მკითხველთა ფორმულარებს, როგორც მოსწავლეთა ინგერესების შესწავლის ყველაზე მოხერხებულ ფორმას.

სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობაში გამოირჩეულად მნიშვნელოვნად ითვლება კითხვის მართვის (ხელმძღვანელობის) პროცესი, რომელიც მკითხველის სისტემურ შესწავლას მოითხოვს. მკითხველის ფორმულარი იძლევა არა მარტო მოკლე ანკეტურ ცნობებს, არამედ წარმოადგენს საშუალებას, გავარკვიოთ: რას კითხულობს მკითხველი, რამდენს კითხულობს, რა ინგერვალთ კითხულობს, როგორია მისი ინგერესების მიმართულება, ხოლო თუ ბიბლიოთეკარი „შენიშვნებში“ ახდენს დამატებით ჩანაწერებს, შეგვიძლია გავერკვიოთ, თუ რას ითხოვს მკითხველი, რომელ ენებზე შეუძლია იკითხოს,

რისი სურვილები აქვს კითხვასთან დაკავშირებით, სარგებლობს თუ არა სხვა ბიბლიოთეკითაც და სხვ. ამგვარი მდიდარი მონაცემების წყალობით, შეგვიძლია ყველა ინდივიდს გავეცნოთ და აქედან, შესაძლებელია მთელ კოლექტივზე ვიქონიოთ წარმოდგენა.

რაკი მკითხველის ფორმულარი ამგვარ საშუალებას იძლევა, ის ჩვენი აქტიური მხედველობის არეში უნდა იყოს. სისტემატურად უნდა ვათვალიერებდეთ მას და გულმოდგინედ შევისწავლოთ. ჩემი აზრით, ბიბლიოთეკარმა ყოველი სასწავლო წლის დასასრულს უნდა გადაათვალიეროს ისინი და თავისებური დასკვნები გამოიგანოს. ასევე სასურველია, სასწავლო წლის დასაწყისში მოახდინოს ხელახალი რეგისტრაცია და სათანადო კორექტივები შეიტანოს შიგ.

მკითხველის ფორმულარებზე მუშაობა, საერთოდ, ერთჯერად საქმეს კი არ წამოადგენს, მას სისტემატური ხასიათი აქვს. ასევე არ კმარა პატარა მკითხველის ერთხელ შესწავლა, თუკი მას თვალყური არ მივაღვენეთ დინამიკაში. ეს არ არის ერთი თვის, თუნდაც მთელი წლის საქმე. როგორც ვიცით, წიგნების გაცემის დროს ჩვენ თითქმის ყოველთვის ვესაუბრებით ხოლმე მკითხველებს. მე მხოლოდ ამის შემდეგ ვაკეთებ ჩანაწერებს ფორმულარში, თითქმის რეგულარულად ვაგსებ მის ბოლო გვერდს ჩემი შენიშვნებით ყოველ მოსწავლეზე. იმრდება პატარა მკითხველი და იმრდება ჩანაწერები მის ფორმულარში. ორი-სამი შეხვედრის შემდეგ მკითხველის ფორმულარის გადახედვით მე უკვე თითქმის ვიცი, როგორ მკითხველთან მაქვს საქმე. გამომდინარე აქედან, ვიცი, როგორ მივუდგე მას, როგორ დავეხმარო, საით წარვმართო მისი ინგერესები. ეს მიაღვილებს ჩემს მომხმარებელთან კონტაქტებს.

მკითხველთა ფორმულარებს არ ვაუქმებ, მათ ვინახავ II კლასიდან XI კლასის ჩათვლით. სკოლის დამთავრების შემდეგ ამ ფორმულარებს სამეიმო ვითარებაში გადავცემ დამამთავრებლებს.

ფორმულარში დაახლოებით ამგვარ შენიშვნებს ვწერ: მაგალითად, მეხუთეკლასელის ერთ-ერთ ფორმულარში მიწერია: აკურაგული, თაგმდაბალი, მორიდებული, ხშირად მოდის ბიბლიოთეკაში. დარბაზში უყვარს დიდხანს დარჩენა, კითხულობს საბავშვო ჟურნალებს; კითხვის გეჟნიკას კარგად არის დაუფლებული და ა.შ. სხვა შემთხვევაში მიწერია: არის წიგნის რესტავრატორთა წრის წევრი, მესამე კლასიდან დაიწყო სათავგადასავლო ლიტერატურის კითხვა, წლის განმავლობაში გაიგანა 30 წიგნი. ერთ-ერთ მეექვსეკლასელზე მიწერია: აქვს ორგანიზატორული უნარი, აქტიურად ლეზულობს მონაწილეობას ბიბლიოთეკის ღონისძიებებში, კარგად ხატავს. წლის განმავლობაში წაკითხული აქვს 26 წიგნი.

ასე ამგვარად, წლიდან წლამდე გროვდება ჩანაწერები, რომლებსაც შემდეგ საჭიროების მიხედვით ვიყენებ.

შეიძლება მკითხვით: რისთვისაა ეს საჭირო, ვის გამოადგება?

ჩემი გამოცდილებით გეგყვით, რომ ეს საჭიროა წიგნის პროპაგანდისტისთვის, მკითხველისთვის საკითხავი მასალის სწორად შერჩევისათვის, იგი მეხმარება უფრო მჭიდრო კონტაქტები დავამყარო პაგარა მომხმარებლებთან, ამავე დროს, მას აქვს მათორგანიზებული მნიშვნელობაც – მეხმარება მუდმივად ვიყო ყურადღებითა და აკურაგულად შევასრულო ჩემი საქმე, თვალყური მივაღებნო მოსწავლის კითხვის პროცესს და დავეხმარო მოზარდს, სწორად წარმართოს თავისი კითხვის პროცესი.


სადაც ნაკლებად აქცევენ ან სულაც არ აგარებენ მკითხველთა შესწავლას, მეეჟეება, იქ მაღალ ღონეზე იყოს დაყენებული მკითხველთა მომსახურება.

ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა მკითხველის ინდივიდუალურ შესწავლას ენიჭება, მაგრამ არც კოლექტიური შესწავლა შეიძლება დავივიწყოთ. ამ შემთხვევაში უმეტესად ვცდილობთ შევისწავლოთ ამა თუ იმ კლასის მოსწავ-

ვლეთა ინტერესები. მართალია, ამ შემთხვევაში შედარებით ძნელია მკითხველთა ინდივიდუალური ფორმულარებით ვარირება, მაგრამ მაინც მოსახერხებელია მათი საშუალებებით გარკვეული ამრის გამოგანა. სასურველია კოლექტიური (ჯგუფური) შესწავლის შედეგები გაშუქდეს კლასებში და გაკეთდეს სათანადო დასკვნები, შემუშავდეს ღონისძიებები.

გვაქვს აგრეთვე ბიბლიოთეკის დღიური, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ზოგი რამ გავარკვიოთ საერთო ინტერესების შესწავლასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო გვაინტერესებს არა ბიბლიოთეკის დღიური, არამედ ბიბლიოთეკარის დღიური, რომელშიც ბიბლიოთეკარი თავისთვის აკეთებს ჩანაწერებს მკითხველთა შესწავლასთან დაკავშირებით. მე უკვე დიდი ხანია ვაწარმოებ ამგვარ დღიურს, რაც დიდად მიწყობს ხელს მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით მე ჩემი სისგემა მაქვს: შევარჩევ 15 საუკეთესო მკითხველს, 15 საშუალო მკითხველს და 5 წლის განმავლობაში ვაკვირდები და შევისწავლი მათ. ამ მკითხველებთან მუშაობა მეხმარება იმაში, რომ ისინი ჩემთან ახლო ურთიერთობაში არიან და როგორც აქტივისტები, მეხმარებიან ზეგავლენა მოვახდინოთ სხვა მოსწავლეებზე და ამით უფრო მეგად მოვიზიდოთ ისინი ბიბლიოთეკაში.

მე მოხარული ვიქნები, თუ კი ჩემი კოლეგები გვეწვევიან, მონახულებენ ჩვენს ბიბლიოთეკას, გაეცნობიან ჩემს გამოცდილებას და თავისას გამიზიარებენ. ამით საშუალება მომეცემა უფრო კრიტიკულად შევაფასო ჩემი საქმიანობა და უკეთესად წარვმართო ის.



## კორესპონდენციები

ლია ურდულაშვილი  
საგარეჯოს ცენტრალური  
ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი

## დიდოსტაბის გახსენება

**ს**აგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკა საუკუნეზე მეტი ხნისაა. თავისი არსებობის პერიოდში ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების მოხედვით, განიცდიდა აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდებს. განსაკუთრებით უჭირს ბიბლიოთეკას დღეს, ის ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნილებებს. სადღეისოდ ბიბლიოთეკას არ გააჩნია თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, ნაკლები რაოდენობით იძენს ახალ წიგნებს. ბიბლიოთეკაში მკითხველმა იკლო, მაგრამ ვინც ბიბლიოთეკით სარგებლობს, მათ იციან წიგნის ფასი. ეს ის ხალხია, რომელსაც წიგნი თაროების გასალამაზებლად კი არა, ცოდნის და განათლების შესაძენად სჭირდება. მკითხველები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგ მკითხველს მოსწონს კითხვის პროცესი, კითხულობს ნებისმიერ წიგნს. ზოგს უყვარს წაკითხულის ირგვლივ აზრის გაზიარება, რაც კარგად ჩანს მკითხველებთან ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის დროს. საგარეჯოს ბიბლიოთეკის მიზანია, ხელი შეუწყოს

თითოეულ მკითხველს, აზიაროს ინფორმაციას, რომელიც კატალოგებში და კარტოთეკებშია მოქცეული. გააცნოს თვალსაჩინო მასალები, მისცეს ზეპირი ინფორმაცია, მოაწყოს შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები.


2003 წლის 21 მაისს საგარეჯოს ცენტრალურ ბიბლიოთეკამ აღნიშნა დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 110 წლისთავი. საღამო გახსნა ბიბლიოთეკოს ღირექტორმა, ქალბატონმა ცისმარ მამისაშვილმა. მან მოკლედ ისაუბრა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე. საღამო მიჰყავდა ბიბლიოთეკის დარბაზის გამგეს მარიამ თელიაშვილს. ღონისძიებას აღამაზებდა ანსამბლ „ჩინარის“ გოგონების მიერ შესრულებული სიმღერები და საგალობლები.

„გენიოსები გვაოცებენ არა მარტო დიდი მოვლენებისა და ამბების გამოსახვით, არამედ უმნიშვნელო ადამიანებისა და უმცირესი დეტალების მინიშნებითაც“. ეს სიტყვები დიდ კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება, მისი ოჯახის ისტორია ამ სიტყვების დადასტურებაა. 1975 წელს ჩაქრა სიცოცხლე ბუმბერაში მწერლისა, მაგრამ სიკვდილი უძლური აღმოჩნდა მასთან. მართალია, მას სიცოცხლეშიც არ აკლდა თაყვანისმცემელთა აღფრთოვანება, მაგრამ ნათქვამია, „წაქცეული ხე ადვილად იზომებაო“, რაც ღრო გადის, მით უფრო მეტ დიდებულად ნათქვამს აღმოვაჩენთ სიტყვის დიდოსტაგის შემოქმედებაში.

კ. გამსახურდიას საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ: მეთოდური განყოფილების გამგე ქეთევან ხიბლაშვილი, მე-4 საშუალო სკო-



საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები



ლის მოსწავლე ნათია სეფისკვერაძე, მე-2 სა-  
შუალო სკოლის მასწავლებელი თამარ ოზგე-  
ლდაშვილი, ბიბლიოთეკარი თინა კობაური.

სალამოს ამშვენებდა კ. გამსახურდიას ლექსე-  
ბისა და მისი რომანებიდან ეპიზოდების მხა-  
გრული კითხვა: ლექსებს კითხულობდნენ მე-2  
ბაღის გამგე ციციხო ქარსაულიძე, კულტურის  
სახლის მსახიობი მიშა ხოკერაშვილი, თეატრა-  
ლური ინსტიტუტის სტუდენტი გიორგი ქვლივიძე.  
„მთვარის მოგაცებიდან“ ეპიზოდი წაიკითხა  
ნინო კერაგიშვილმა.

განსაკუთრებული ხიბლი შემატა ღონისძი-  
ებას სცენამ „დიდოსტაგის მარჯვენიდან“, რო-  
მელიც წარმოადგინეს მე-4 საშუალო სკოლის  
მოსწავლეებმა. კ. გამსახურდიას შემოქმედების  
ირგვლივ მსჯელობას მოჰყვა მკითხველთა სა-  
კუთარი ლექსები, მიძღვნილი კონსტანტინე და  
ზვიად გამსახურდიებისადმი. ლექსები წაიკი-  
თხეს საგარეჯოელმა ლექსისმთქმელებმა შოთა  
ბაგერაშვილმა და ნათელა დიდელაშვილმა.

ღონისძიების ბოლოს სტუმრებმა მოიგონეს  
მწერლის სახელთან დაკავშირებული ამბები. ქუ-  
რნალისგმა ალექსანდრე ნეკრესელაშვილმა  
ისაუბრა თავის შეხვედრებზე დიდი მწერლის ქა-  
ლიშვილთან თამართან. საქართველოს ყოფილი  
უმენაესი საბჭოს დეპუტატმა, ენის სახელმწიფო  
პალატის საგარეჯოს განყოფილების თავმჯდო-  
მარემ ალექსი არაბულმა ისაუბრა თავის შეხვე-  
დრაზე ზვიად გამსახურდიასთან. სალამოზე წა-  
კითხული ლექსებიდან ყველამ სიყვარულით  
აღნიშნა კონსტანტინეს ლექსი.

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგა-  
ვხა ზღვას,

თუ არ შეგებრალები და მისთხოვდები სხვას,  
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხენას,  
გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და  
მტკვარს,

ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს, შენს სი-  
ყვარულს ქარს

და მოგიკლავ, მოღალატევე, მაგ ნაფერებ  
ქმარს.

ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგა-  
ვხარ ზღვას.“

ამ ლექსის ირგვლივ გამართულმა სჯა-ბაბასმა  
სალამოზე დამსწრე სტუმარს ც. დიდელაშვილს  
გაახსენა ლექსი, რომელიც მრავალი წლის წინ  
ჩაუვარდა ხელთ და ჩაიწერა. ამ ლექსის ავტორი  
უცნობია. ჩვენი მრავალი მცდელობის მიუხედა-  
ვად, ვერ მივაკვლიეთ მის ავტორს. საზოგადო-  
ების სამსჯავროზე გამოგვაქვს ქვემოთ მოყვა-  
ნილი ლექსი და თუ ვინმე მის წარმომავლობაზე  
რაიმე ინფორმაციას ფლობს, იქნებ თქვენი ქუ-  
რნალის ფურცლებიდან გავიგოთ რაიმე.


პასუხი კონსტანტინე ბატონს

ისევე ზღვისფერი დამაქვს თვალები,  
სხვისი ცოლი ვარ კვლავ,  
ისევე შორიდან მეღაცეციები,  
ისევე შორიდან მკლავ.

ო, რა ტყუილად დაეიქაღნია,  
მე მოგეკლავო ქმარს,  
შენი სიმბავე, შენი მუქარა  
გაჰყვა შარშანდელ ქარს.

ისევე სხვისი ვარ, ჩემი თითები  
სხვისთვის გაიშლის თმას.  
სხვის წისქვილს ვასხავ ცრემლიან პეშვებს,  
სხვისი საფეკავით ვფეკავ.

მანც ზღვისფერი დამაქვს თვალები,  
ვისაც რა უნდა თქვას.



ნანა ვასაძე

თსუ ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარი

## საესიანთო საქმიანი უნებურა

**2**3 ივნისს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“.

კონფერენციას 100-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. ესენი იყვნენ: უნივერსიტეტის რექტორი აკად. როინ მეგრეველი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში პროფ. ანზორ ხელაშვილი, ბიბლიოთეკის დირექტორი და მოადგილეები, ქურხალა „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ლორია, ამერიკის საელჩოდან საინფორმაციო წყაროების ცენტრის თანამშრომლები ირინე ჭანგურიშვილი და ნინო ჩხენკელი და სამოგალოებასთან ურთიერთობის განყოფილების კულტურის ასისტენტი დალი ხომერიკი, ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი გულნარა სკურუა, ბიბმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები, სხვადასხვა ასოციაციების წარმომადგენლები და ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები.

კონფერენცია გახსნა და მიესალმა თსუ პრორექტორმა სამეცნიერო დარგში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ანზორ ხელაშვილმა.

ბაგონი ანზორი ჩვენი კურატორია. იგი ყოველთვის ესწრება ბიბლიოთეკაში ჩატარებულ ღონისძიებებს და კრებებს. მას ხშირად მივმართავთ ჩვენი პრობლემებით, იგი ყოველთვის მხარში გვიდგას.

შეიძლება ითქვას, რომ ყველას გამოსვლა უა-

ღრესად საქმიანი და საინტერესო იყო, მაგრამ მინდა გადმოვცე ჩემი განწყობილება, ბ-ნ როინ მეგრეველის გამოსვლის დროს რომ დამეუფლა. იგი დაგვირდა, რომ ბიბლიოთეკის შენობაში შემოიყვანენ ბუნებრივ გამს. ვისაც ბიბლიოთეკის შენობაში გამთარში ერთ საათზე მეტი დაუყვია, მიხვდება, რას ნიშნავს ეს. შენობა მდინარე ვერეს ხეობაში დგას და თითქმის მუდამ უბერავს ცივი ქარი.

გამახსენდა ის რამდენიმე ბედნიერი დღე, როდესაც გათბობა ჩართეს (90-იან წლებამდე). რა კარგი იყო მაშინ მუშაობა, თორემ ხელთათმანებით, პალკოთი და ქუდით თავზე საქმიანობა რა მოსაგანია? მე მჯერა ამ დაპირების შესრულებისა.

რექტორმა დიდი პატივისცემით მოიხსენია ჩვენი თანამშრომლები. აღნიშნა მათი თავდადებული შრომა, გაიხსენა ღვაწლმოსილი ადამიანები, რომელთაც სათავე დაუდეს უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის შექმნას. ბრძანა, როგორ იყო ჩართული ბ-ნ ალექსანდრე ლორიასთან ერთად ბიბლიოთეკის საქმიანობაში პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობის დროს. ისაუბრა ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე საერთოდ, და კერძოდ, მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. ბოლოს იუმორით აღნიშნა: „მართალია, მე ხშირად ვერ მოვდივარ თქვენთან, მაგრამ ზოგჯერ თქვენც არ მხვდებით ადგილზე“. ამბზე, დარბაზიდან აუგანელი სამუშაო პირობები დასახელდა.

ვრცელი მოხსენება გააკეთა სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა ბ-ნმა შოთა აფაქიძემ. მოხსენება ყოველმხომცველი იყო. მოხსენებულმა დეტალურად დაახასიათა ბიბლიოთეკის მუშაობა, არსებული სიახლეები. ბ-მა შოთამ ბრძანა: „აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ბი-



ბლიოთეკა გაიხსნა მისი დაარსების მეორე დღიდან, ანუ 1918 წლის 9 თებერვალს. მისი ღირეჭორები იყვნენ უდიდესი ქართველი მეცნიერები: გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი და სხვები. ამ ადამიანთა შრომით შეიქმნა პირველხარისხოვანი ბიბლიოთეკა, ხოლო სამეცნიერო ბიბლიოთეკა და მისი ბიბლიოთეკარები დარგის ელიტას წარმოადგენდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ საყოველთაოდ.

საბჭოთა წყობილების ნგრევამ ჩვენს საგრძნობლად შეგვაფერხა, მაგრამ პერსპექტივები უდავოდ ჩანს. დღეს ბიბლიოთეკაში 50-ზე მეტი კომპიუტერია. საფაკულტეტო ბიბლიოთეკებში მიმდინარეობს ელექტრონული კატალოგების შექმნა. რამდენიმე საელჩო გვეხმარება წიგნადი ფონდის შევსებაში. რექტორატის ძალისხმევითა და საერთაშორისო ინსტიტუტების ფონდის „სიფ“-ის დახმარებით მოხერხდა მე-8 სართულის კაპიტალური გადახურვა. ვიმედოვნებთ, „სიფ“-ის ახალი პროგრამა მოგვეხმარება სხვა სარემონტო სამუშაოების შესრულებაშიც.

უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების როლი განსაზღვრულია იმ რეალობით, რომ განათლების სისტემა ემსახურება ერის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების და დამოუკიდებლად არსებობის სასიცოცხლო ინტერესებს.

შემდეგი მომხსენებელი იყო ლია ქუთათელაძე, თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომელი. ამჟამად იგი თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ღირეჭორია. მან მოგვითხრო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუშაობის სტილის შესახებ. „სამეცნიერო ბიბლიოთეკა ჰიბრიდული ბიბლიოთეკაა, – განაცხადა მან, – ამჟამად ყველა პირობაა შექმნილი, როგორც სტუდენტებისათვის, ისე მეცნიერთანამშრომლებისათვის. თანამედროვე მიღწებების გასაცნობად მოეწყობა ვიდეო-ლექციები და ვიდეო-კონფერენციები. ჩვენი ბიბლიოთეკა ჩართული იქნება უწყვეტი სამედიცინო განათლების ქსელში და ნებისმიერი ფორ-

მით შესაძლებელი გახდება სამედიცინო ინფორმაციის მიღება. სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუშაობის საერთაშორისო სტანდარტების ფორმატზე გადავიდა. ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ 140000 დოლარის ღირებულების სახელმძღვანელოები გადაეცა. თავდაპირველად საინფორმაციო სამსახურის ასამუშავებლად გვეხმარებოდა ამერიკული ორგანიზაცია (AIHA), შემდეგ კი ყველაფერი ჩვენი შემოსავლების ხარჯებით გაკეთდა. წლების მანძილზე იზოგებოდა თანხა ამგვარი ბიბლიოთეკის შესაქმნელად.“ ლ. ქუთათელაძემ თავისი და თანამშრომლების სახელით მადლიერებით მოიხსენია რექტორი პროფ. რ. ხეცურიანი და პრორექტორი პროფ. ვ. ყიფიანი, რომელთა ინიციატივა და ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი ამგვარი წარმატებების მიღწევა. ვისაც უნახავს ეს ბიბლიოთეკა, დამერწმუნება, ნახახი უეჭველად აჭარბებს მოლოდინს. სპეციალისტებმა ექსკურსიაზე უნდა იარონ ამ ბიბლიოთეკის დასათვალიერებლად.

ჩვენი შენობა ცოცხათი რომ მიუახლოვდეს ამ ბიბლიოთეკას, უამრავი თანხა იქნება საჭირო, რაც მეგალ რთული საქმეა, მაგრამ გათბობა თუკი გაკეთდება და ჭერიდან წყალი აღარ ჩამოვა, ესეც პირველ ეტაპზე, დიდი დახმარება იქნება.

შემდეგი გამომსვლელი იყო გიორგი შათირიშვილი, ღირეჭორის მოადგილე უცხოეთთან ურთიერთობის დარგში.

პირველი, ვინც სიახლე შემოიგანა მძიმე წლების შემდეგ, სწორედ ის არის. შარშან ჩააგარა ერთკვირიანი საბიბლიოთეკო დღეები – კონფერენცია, გამოცოცხლდა საზოგადოება, გამოიფინა წიგნები და თანამშრომელთა ნამუშევრები. აღმოჩნდა, რომ ჩვენი თანამშრომლები არა მარტო კარგი ბიბლიოთეკარები არიან, არამედ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულებიც. ბედნიერებაა, რომ ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გექნიკური ბიბლიოთეკის შენობიდან სამეცნიერო ბიბლიოთეკის მე-7 სართულზე გადმოვიდა. ამან მეტი შესაძლებლობა მისცა ჩვენს თანამშრომლებს, გაეცნონ



სიახლეებს, დაესწრონ კონფერენციებს, იმუშაონ კომპიუტერთან.

გ. შათირიშვილის მოხსენებაში ნათქვამი იყო: „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას განვითარების უდიდესი პერსპექტივები აქვს. მის ხელმძღვანელობას ნათლად აქვს წარმოდგენილი ბიბლიოთეკის სამუშაო გაგმები. პირველ რიგში, გაიხსნა ახალი – ბიბლიოთეკის განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება. მისი მიზანია, მოიზიდოს სახსრები და სპონსორები. შეადგინოს პროექტები, ასევე შექმნას ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფი. ბიბლიოთეკაში გახსნილია ელექტრონული ჟურნალების EBSCO-ს მომსახურების კლასი, რომელიც საშუალებას მისცემს მეცნიერებს და სტუდენტებს, გაეცნონ 6000-ზე მეტ თანამედროვე უცხოურ ჟურნალს, მათი უმეტესობა სრულტექსტოვანია. ბიბლიოთეკაში მალე ამოქმედდება დოკუმენტების ელექტრონული გაცვლის სამსახური, რომლის მეშვეობითაც მკითხველს მიეცემა საშუალება გაეცნოს სასომხეთისა და ამერბაიჯანის უნივერსიტეტებში არსებულ სტატიებს. მომსახურების ამ ფორმით ამოქმედება შესაძლებელი გახდა ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციისა და სამხრეთ კავკასიის საბიბლიოთეკო ასოციაციების ერთობლივი პროექტის საფუძველზე. ამ პროექტის დამფინანსებელია კარნეგის ფონდი ნიუ-იორკში.“ მომხსენებელმა შემდგომ მოკლედ ისაუბრა თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში პირველ რიგში გადასაწყვეტ პრობლემებზე. ასეთებია: ბიბლიოთეკის ფონდების რესტავრაცია, გათბობისა და კომუნიკაციების საკითხი, შენობის გადახურვა, რამდენიმე ოთახის კაპიტალური რემონტი და სხვა.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსანდრე ლორიამ თავის მოხსენებაში ილაპარაკა ისეთ პრობლემებზე, როგორცია ინფორმაციული და საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანული გაერთიანება. მას მიაჩნია, რომ უნივერსიტეტში ეს პროცესი თავისთავად დაწყებულია, ოღონდ საჭიროა ორგანიზაციული ნება, რომ იგი სრულყოფილად დასრულდეს და განვითარდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის ხელმძღვანელმა გურამ თაყნიაშვილმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოსაგვარებელი გვრძება სტანდარტებისა და სტატისტიკის საკითხები, რისთვისაც ცალკე მუშაობაა ჩასაგარებელი. ამერიკის საელჩოს საინფორმაციო წყაროების განყოფილების თანამშრომელმა ირინა ჭანგურიშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა ჩვენი მიღწევები და რწმენა გამოხატა, რომ უმოკლეს დროში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ. მან გამოთქვა იმედი, რომ ამერიკის საელჩო ყოველთვის მხარში ამოუდგება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

დასასრულ ღირეჭკორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში ეთერ თოხაძემ შეაჯამა კონფერენცია, მადლობა გადაუხადა სტუმრებს კონფერენციაში მონაწილეობისათვის. თანამშრომლებს აცნობა, რომ რექტორაგს გადაეცა ნუსხა იმ საკითხებისა, რომლებიც პრობლემურია ბიბლიოთეკისათვის. დღეს რეალურად მოვიდა ის დრო, როდესაც კომპიუტერის საშუალებით უნდა მოხდეს მკითხველთა მომსახურება.

როგორც ოპტიმისტმა, მინდა ვიწამო, რომ მოკლე დროში ჩვენი ბიბლიოთეკაც აყვავდება. უკვე შეინიშნება საამისო ძვრები. სამი წლის წინ ვერ წარმოვიდგენდით, რომ ამოღენა სასწავლო ოთახი გვექნებოდა და ამდენი კომპიუტერი იდგმებოდა. სულ ახლახან ბიბლიოთეკის განვითარებისა და უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილება შეიქმნა. სტუდენტებისათვის განსამდგრული საათებია გამოყოფილი უფასოდ ინტერნეტში მუშაობისთვის.

იმედია, სერიოზული სპონსორებიც გამოგვიჩნდებიან და ჩვენი ბიბლიოთეკარებიც თავის ძალისხმევას გააძლიერებენ.



ლია მეგრეველი,  
კულტურისა და ხელოვნების სახ. უნივერსიტეტის  
გამეთ „ქართული კულტურის“ რედაქტორი  
**საიუბილეო დღეების ქრონიკა**

**თ**ბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლის იუბილე მაისის მზით გამთბარ დღეებს დაემთხვა.

პროგრამა საესე იყო საინგერესო ღონისძიებებით. უნივერსიტეტი ყოველდღიურად უამრავ სტუმარს მასპინძლობდა. 20 მაისს უნივერსიტე-



ტის პოლში თავი მოიყარეს კულტურისა და ხელოვნების ცნობილმა მოღვაწეებმა. სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოს სხდომაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – უნივერსიტეტის გაფართოებული საბჭოს დადგენილებით გადაწყდა, უნივერსიტეტს წოდებოდა დიდი ქართველი მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის სახელი.

საქართველოს კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე ქართული კულტურისათვის გაწეული დამსახურებისათვის საქართველოს პრემიერის ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილ ღირსების ორდენებს, მედლებსა და სიგელებს გადასცემს პროფესორ-მასწავლებლებს, უნივერსიტეტის თანამშრომლებს.

უნივერსიტეტი მასპინძლობდა უცხოელ სტუმრებსაც – ამერიკიდან, კანადიდან, გერმანი-

იდან, ავსტრიიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მათი მონაწილეობით დარგთაშორისი კვლევების პირველი საერთაშორისო კონფერენციაც მოეწყო.

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე – „ბიბლიოთეკების გარდაქმნა და თანამედროვე საბიბლიოთეკო სკოლა: პრობლემები, პერსპექტივები“, საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად – გაიმართა საქართველოს მოწინავე საბიბლიოთეკო სამოგადოების თავყრილობა, სადაც მეტად აქტუალურ საკითხებზე გაიმართა სჯა-ბაასი.

საზეიმო დღეებში პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა პოეტს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს, პარლამენტარს ჯანსუღ ჩარკვიანს მოუწვეეს შეხვედრა. აგრეთვე გაიმართა კულტუროლოგიის კათედრის დოცენტის, მარინა მეგრეველის წიგნის „გურიზმის“ – პრეზენტაცია; მოეწყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ გივი ყანდარელის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

პროფესორის, ცნობილი მხატვრის თეიმურაზ თურმანიძის სახელოსნომ სტუმრებს „ხე სიცოცხლისას“ – ფემენ-შოუთი უმასპინძლა.





უნივერსიტეტის ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ლაშარმა“ საუცხოო კონცერტი მიუძღვნა საიუბილეო დღეებს.

თეატრალურ სახელოსნოს II კურსის სტუდენტთა საკურსო სპექტაკლმა – რუგუუსი ულის „გერტრუდამ“ (მთარგმნელი ამავე უნივერსიტეტის პედაგოგი ელენორა გერიტიშვილი, რეჟისორი სოსო ნემსაძე) არა მარტო ქართველი, არამედ გერმანელი სტუმრებიც აღაფრთოვანა.



სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობის სტუდენტთა ნამუშევრებმა უნივერსიტეტის ჰოლს განსაკუთრებული ელფერი შეჰმაგა.

პროფესორ-მასწავლებლებს არც კოჯრის ბავშვთა სახლის აღსამრღელები ღაღიწყებიანთ – ეწვივნენ იქაურ პატარებს და სხვა საჩუქრებთან ერთად უკრაინაში მოღვაწე ქართველი პოეტის,

რაულ ჩილაჩავას მათთვის გამოგზავნილი წიგნებიც უსახსოვრეს.

სამეიმო დღეების გვირგვინად იქცა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული სამეიმო სხდომა და კონცერტი.

სამეიმო სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა თემურ ქლენგმა საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ როინ მეტრეველს, პოეტს ვახუშტი კოტეგიშვილს, ლოგბარს ანზორ ერქომაიშვილს ჯილდოდ კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ექვთიმე თაყაიშვილის დიდი მედლები გადასცა.



სამეიმოდაც მკურნა ხეიარ ვიქმნებით ხოლო ნარ...  
ნით ითხმვეი...  
ქვთივან დედოფლის –

უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ როინ მეტრეველს, პოეტს ვახუშტი კოტეგიშვილს, ლოგბარს ანზორ ერქომაიშვილს ჯილდოდ კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ექვთიმე თაყაიშვილის დიდი მედლები გადასცა.

ლალი ყაულაშვილი  
კულტურისა და ხელოვნების სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგე

## პოეტი იუბილარი

**ა**პრილ-მაისი განსაკუთრებით საზეიმო იყო თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის – იგი 10 წლისთავს შეიძობდა. 27 მაისს მასშტაბურად აღინიშნა მისი იუბილე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

იყო სხვა ხალისიანი დღეებიც. ბევრი მათგანის წამომწყები და ორგანიზატორი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა იყო. აპრილიდან მოყოლებული, ბიბლიოთეკა ჩართული იყო საქართველოს საბიბლიოთეკო



სიტყვას აზგოვს პოეტი  
ა. აბულაშვილი

კვირეულში, რასაც არაერთი ღონისძიება მიეძღვნა. შეიძლება ითქვას, ამ დღეების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა 30 მაისს მოწყობილი შეხვედრა პოეტ ანზორ აბულაშვილთან, რომელსაც დიდი ხანი არაა, რაც 70 წელი შეუსრულდა.

დიდიდანვე საზეიმო განწყობილება სუფევდა ჩვენს მკითხველებში. დანიშნულ ღროზე აქ თავი მოიყარეს სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, პოემიის თაყვანისმცემლებმა. ბიბლიოთეკის ლამაზ, მყუდრო დარბაზში ყველაფერს სიყვარულისა და სიტბოს ელფერი დაჰკრავდა.

შეხვედრა გახსნა უნივერსიტეტის პროფესორმა – ფილოლოგიის მეცნ. ლექტორმა ქ-ნ თამარ ბაქრაძემ. მეგად შინაარსიან შესავალში ის ძირითად ასპექტებს შეეხო და ხამგასმით განაცხადა: „ანზორ აბულაშვილის ყველაზე დიდი ნაგვრა და იმედი საქართველოა, ამიგომაც მამუ-


ლისათვის თავდადებული წმინდანების სახეები მისთვის ყველაზე ძვირფას საგანძურში – ლექსში გაუუკვავალებია“.

იუბილარს მიესალმნენ და იუბილე მიულოცეს პოეტებმა თემურ ჩალაბაშვილმა და ვახტანგ ღლონგმა. ერთმანეთს ცვლიდნენ სტუდენტები, რომლებიც პოეტის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს მაღალმხაგვრულად კითხულობდნენ, ასრულებდნენ მუსიკალურ ნომრებს.

დასასრულს პოეტმა მაღლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს და სიტყვა ასე

დაასრულა: სხვაგან რომ მიფეწვიე მკითხველებს და ამ ახალგაზრდებისთვის მომესმინა, ვიგყოდი, პროფესიონალები მოუყვანიათ-მეთქი. ეს გოგონები და ვაჟები პროფესიონალებს არაფრით ჩამორჩებიან. თქვენს უნივერსიტეტს პირველად ვსტუმრობ და კარგად ვხედავ, რა მაღალ ღონეზეა თქვენთან დაყენებული პროფესიული სწავლება.

პოეტმა კმაყოფილება გამოთქვა მისი პოემიის ესოდენ დიდი დაფასებისა და, საერთოდ, თანამედროვე სტუდენტობაში პოემიის სიყვარულის გამო.





ნელი თეთრუაშვილი,  
 ღუშეთის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე

## „სახლი კითხვისა“

**ა**რთველი კაცის გრადიციულმა ნიშან-თვისებამ – წიგნების დიდმა სიყვარულმა, „წიგნთა გრფიალთა“ სიმრავლემ განაპირობა სწორედ ქართული წიგნსაცავების ადრეულ ხანაში აღმოცენება, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გა-



ღუშეთის რაიონი.  
 აგანოსხაჰვის ბიბლიოთეკაში

რეთ – იერუსალიმსა თუ საბაწმინდაში, სინასა თუ შავმთაბზე, კონსტანტინოპოლში თუ ათონში, პეგრინწონსა თუ რომში, თავრიზში, ქირმანში, ისპაჰანში...

„მოღვაწება სჯობს სულისა უღებებისთა ღებასა...“

რა ძალუც უქმად ყოფასა, კაცობის სულ ღებასა,

უსარგებლოსა გირილსა, მოთქმასა ან გოდებასა”, – არჩილ ბაგრატიონი.

ასე ფიქრობდა ჩვენი წინაპარი და მდგომარეობის სირთულის მოუხედავად, არ წყდებოდა ლიგერაგურული ცხოვრების მაჯოსცემა ხიზნობაში, ემიგრაციაში, გყვეობასა თუ ექსორიაში, მარგობისას თუ ჯარიანობის დროს.

„მშრომელნი მგუერ და ნაცარ ვიქმნებით, ხოლო ნაშრომი ჰგიეს უკუნისამდე”, – ამ რწმენით ითხზებოდა ლიგერაგურული ფოლიანგები ქეთევან დედოფლის – შირაზში, ფარსადან გო-

რგიჯანიძის, ვახტანგ VI - ისპაჰანში, ქირმანში, ღომენგი IV – კონსტანტინოპოლში, თეიმურაზ ბაგრატიონისა – თავრიზში.

წიგნის ბელი ადამიანის ბედ-იღბალს გავს ერთ რამეში: ადამიანის მსგავსად მასაც ემუქრება გყვეობა, გატაცება, ცეცხლზე დაწვა, ექსორია...

ამიგომაც წიგნის მოვლა-პაგრონობა მაღალი დონის კულტურად ითვლებოდა ოდითგან. საქართველოში კი ეს უკანასკნელი სულიერების, სიწმინდის განსაკუთრებული გრადიციის სიმაღლეზე ყოფილა აყვანილი:

„ვინცა ეს წიგნი ქართველთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხუასა ეკლესიასა წაიღოს, ანუ ღამა გაიღოს, ანუ სენაკსა შინა ღაიღვას, – კრულმცა არს”, – ვკითხულობთ „სინას მთის საგალობელთა კრებულში”.

წიგნის კითხვა, ცოდნის შეძენა, ხელნაწერთა ღაცვა, ნუსხების გამრავლება, წიგნთსაცავების ღაარსება უაღრესად კეთილშობილურ მოვლენად აღიქმება და ჩვენს კულტურულ-ინგელექტუალურ დონეზე მეგყველებს.

ისევე როგორც ქართული წიგნის, საბიბლიოთეკო საქმის ისტორია ქრისტიანობის ფეხადგმიდან იღებს სათავეს და დროთა მსვლელობასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ქართველის ამ წმიდათაწმიდა გრადიციას არც ღუშელი კაცი ჩამორჩა – ჰკრებდა რა, თაობიდან თაობას გაღასცემდა ხალხის სულიერ და მაგერიალური კულტურის ძეგლებს, ხელნაწერებს, სიგელ-გუჯარებს, ისტორიულ და მხაგვრულ ნაწარმოებებს, ფოლკლორულ მასალებს და ამით ერთგვარად ფეხს უბამდა ქართული სულიერების ბედის ჩარხს.

ღუშეთის რაიონში პირველი ბიბლიოთეკის ღაარსება ალ. როინიშვილის სახელთან არის ღა-

კავშირებული.

ქ. ღუშეთში ჯერ კიდევ 1880 წელს გახსნილა „სახლი კითხვისა“, ხოლო 1898 წელს სამკითხველოსათვის შეუქმნიათ მაგიდები, სკამები, თაროები, ქართული და რუსული ლიტერატურის იშვიათი ნიმუშები. ბიბლიოთეკისათვის თავდაპირველად ორი ოთახი შეურჩევიათ და 1898 წ. 6 ნოემბერს უკურთხებიან კიდევ. მისი პირველი ბიბლიოთეკის გამგე აზნაური ოქროიაშვილი ყოფილა. ისტორიულ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მთელ მხარეში ერთი-ორი სამკითხველო-წიგნსაცავი რომ არსებობდა. დღესდღეისობით ღუშეთის რაიონში 46 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, – ერთი ცენტრალური სარაიონო, ერთი – საქალაქო, ოთხი – სადაბო, და 38 – სასოფლო. საბიბლიოთეკო ქსელს ემსახურება 65 კვალიფიციური ბიბლიოთეკარი.

წიგნადი ფონდი 221941 ეგზემპლარია.

ფინანსურმა კრიზისმა შესამჩნევი დაზიანება საბიუჯეტო დაწესებულებებს, განსაკუთრებით ბიბლიოთეკებს, მაგრამ მდგომარეობა თანდათანობით იცვლება. ადგილობრივი ხელისუ-

ფლება, კერძოდ – რაიონის გამგებელი გოდერძი ბერბეგაშვილი დიდ ინტერესს იჩენს ბიბლიოთეკების პრობლემებისადმი. რეგულარულად ხდება ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, გამოინახათანხა ახალი წიგნების შეძენისათვის, გამგებლის ხელშეწყობით მოხერხდა საქართველოს ერთ-ერთ უკიდურეს სოფელ არხოგში ბიბლიოთეკის გახსნა, შეიძინა ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის მენობა, დღის წესრიგში დადგა ბულაჩაურის სასოფლო ბიბლიოთეკის შეკეთება. გადაწყდა კერძო ბიბლიოთეკის გახსნა სოფელ გომეწარში...

იგყვიან ხოლმე – კულტურულ ქვეყნებში ბიბლიოთეკებს ისე უფრო ხილდებიან, როგორც ჩვენში წმინდანების ძეგლებს ინახავენო. საბიბლიოთეკო საქმეს ღუშეთის რაიონში საუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს უკანასკნელი ღუშეთის სამოგადოებისათვის სულიერ საკუთრებად, მის ძალად და გრადიციად ითვლება და, რაც მთავარია, ძვირფას მოსაგონარს მომავალი თაობისათვის.



ვერიკო კერაგიძე

საგარეჯოს რ-ნის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე.

## „საღას უკუბილპარ, ბავზრდილპარ!..“

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ერს არა აქვს ისტორია, მიეცით გარეჯი და ბრწყინვალე ისტორია ექნება”,  
აკადემიკოსი – ნიკო კეცხოველი.



არეკახეთის ლამაზ ქალაქს, ჩვენს მშობლიურ საგარეჯოს, ახლახანს რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქად დაქვემდებარების 40 წლისთავი შეუსრულდა.

საგარეჯო წარმოადგენს კახეთის – კერძოდ, გარე-კახეთის ე.წ. „კუხეთის“ კარიბჭეს. ეს არის ჭიშკარი თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალ გზაზე. საგარეჯო რაიონის ცენტრია, ისტორიულად ცნობილი სოფელი, ამჟამად კი ქალაქად აღიარებული დასახლება.

გარე-კახეთს საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს ისტორიაში. მას მგრის პირველი დარგება უნდა მიეღო. აურაცხელმა შემოსევებმა აღგავა პირისაგან მიწისა აყვავებული გარე-კახეთი, რასაც ნათლად მეგყველებს აურაცხელი ნასახლარ-ნასოფლარი. ცივგომბორის კალთებსა და ივრის ნაპირებზე მიმოხეული. მიუხედავად ყამთა სიავისა, სოცოცხლის მაჯისცემა მაინც არ შეწყვეტილა გარე-კახეთში, სადაც საუკუნეების მანძილზე არსებობდა საკმაოდ დაწინაურებული და მომპლავრებული სოფელი, რომელსაც იმ დროს „თვალი“ ეწოდებოდა. ძნელია დადგენა, როდის დაარსდა ეს სოფელი, ვინაიდან, როგორც არქეოლოგიური, ისე ისტორიული წყაროები მისი დიდი ხნის არსებობაზე მიგვითითებს. ერთი კი უდავოა, რომ ის უდაბნოს მონასტრების საკუთრებას წარმოადგენდა. ის ამ სამონასტრო კომპლექსის დაარსების პროცესში უკვე უნდა

არსებულები (მე-ნ საუკუნეში).

სახელი „საგარეჯო“ მე-14 საუკუნიდან მოიხსენიება. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით „საგარეჯო“ ყოფილა არა როგორც ცალკე დასახლებული პუნქტი, არამედ გარეჯის მონასტრების საკუთრებად ცნობილი ადგილ-მამულები.

საგარეჯომ გარკვეული როლი შეასრულა გარე-კახეთის და, საერთოდ, საქართველოს ისტორიაში. იგი ახერხებდა საუკუნეთა ქარგეხილებს გადარჩენოდა, მგერთაგან შევიწროებული და იავარქმნილი, ყველაზე ადრე ახერხებდა კვლავ აღორძინებულიყო. ამას ხელს უწყობს ის დიდი ბუნებრივი სიკეთეც, რაც გამოიხატებოდა გყისა და მინდვრის სიახლოვითაც, საუკეთესო სასმელი და სარწყავი წყლის დიდი მარაგით.

საგარეჯოს სამოურავო ვრცელდებოდა ჩაილურის ხევიდან ქალაქ თბილისამდე. საგარეჯოს გერიტორია გამოირჩევა თავისი ხუროთმოძღვრული ძეგლებით, რომლებსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს – პეგრე-პავლეს ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია, სხვადასხვა დროს აშენებული გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, მანავის ციხის ანსამბლი, სამშის სამონასტრო კომპლექსი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები გიორგიწმინდაში, წყაროსთავში; ჩაილურის ციხე, ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი... რომელი ერთი უნდა ახსენო? ასე რომ, გასაცნობი და შესასწავლი უამრავია.

5 მაისს საგარეჯოს სარაიონო საბავშვო ბი-



ბლიოთეკამ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში მოაწყო ღონისძიება სახელწოდებით – „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...“ ქალაქ საგარეჯოს ქალაქად წოდების მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი.

მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ იანვარში დაიწყო, ბავშვებს გააცანით მასალები მშობლიური მხარის შესახებ; პირველ რიგში მოვაწვევთ გამოუენა სახელწოდებით – „საგარეჯო – 40“. გავაფორმეთ ალბომი. ალბომები საგარეჯოს გამგებლის გელა კველიძის მხარდაჭერითა და თანადგომით დამზადდა. ჩვენ მისგან ყოველთვის ვგრძნობდით ამგვარ მხარდაჭერას, რისთვისაც მაღლობელი ვართ მისი.

პირველი ალბომი სახელწოდებით „საგარეჯო – 40“, რომელშიც ლაპარაკია მხოლოდ ამჟამინდელი ქალაქის გერიგორიის წარსულზე, ქრონოლოგოურადაა შედგენილი საუკუნეების მიხედვით.

მეორე ალბომი – სახელწოდებით „მშობლიური ჩემი მხარე – თვალი საგარეჯო“, რომელშიც თავმოყრილია მასალები არა მარტო ამჟამინდელი ქალაქის გერიგორიის შესახებ, არამედ მთელ რაიონს მოიცავს, შედარებით მრავლისმომცველი თემატიკით არის დახასიათებული.

შევადგინეთ ჩვენს ბიბლიოთეკაში საგარეჯოს შესახებ არსებული წიგნების და სხვა მასალების სარეკომენდაციო სია. ღონისძიება მიმდინარეობდა ქართული საგალობლების ფონზე, რომელსაც თან ახლდა დეკლამაცია ლექსებისა.

საგარეჯოს რაიონის წარსულსა და თანამედროვე პრობლემების შესახებ ისაუბრეს ბავშვებმა, სკუმრებმა: ქალაქ საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა, პენსიონერთა და ვეტერანთა პროფესიული კავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ მერი ლეჟავამ, რომლისთვისაც საგარეჯო მეორე ოჯახივითაა და რომელიც 1973-80 წლებში ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა; სიფელ გიორგიშინდის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა – პოეგმა ქალმა –

თამრიკო ურდულაშვილმა. ის შეეცადა გადმოეცა ბავშვებისათვის, თუ რაგომ უყვარს ასე ძალიან საგარეჯო. ქნ ნელი გულიკაშვილმა საგარეჯოს კულტურის განყოფილების გამგემ, ყველა საგარეჯოელისთვის საყვარელმა ადამიანმა, საბავშვო პოეგმა ქალმა – ვენერა მამისაშვილმა, რომელმაც საკუთარი ლექსები წაუკითხა დამსწრეთ. განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდა მის ლექსს „საგარეჯო“.

ბეპირსიტყვიერებამ და თაობათა ხსოვნამ დღემდე შემოგვინახა ლეგენდალქეული ადამიანების სახელები, რომლებიც საგარეჯოში დაიბადნენ და გაიზარდნენ, რომლებმაც თავიანთი ფასდაუდებელი შრომით და შემოქმედებით შორს გაითქვეს სახელი არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც. ბოგიერთი მათგანი საგარეჯოში არ დაბადებულა, მაგრამ თავისი ცხოვრების შეგნებული წლები აქ გაატარა და ჩვენი ქალაქისა და რაიონის კეთილდღეობას ემსახურა. დაუვიწყარია მათი ღვაწლი. ბავშვებმა უნდა იცოდნენ მათი სახელები, რათა მოწიწებით გაიხსენონ ისინი და მიბაძონ მათ, ადამიანებს, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს საგარეჯოში წიგნიერი, განათლებული, კულტურული თაობის აღზრდის საქმეს.

საგარეჯო ღირსეულად ამაყობს თავისი სასიქადულო შვილებით: გიორგი ლეონიძით, რევამ იზანიშვილით, თეიმურამ ჯანგულაშვილით, მიხეილ ქვლივიძით, საბავშვო პოეგი ქალით – ვენერა მამისაშვილით და მრავალი სხვებით, რომლებმაც მრავალი ლექსი, მოთხრობა, ჩანახაგი და ნარკვევი მიუძღვნეს მშობლიურ მხარეს.

ბავშვებმა ღონისძიების მე-2 ნაწილში წარმოთქვეს მათი ლექსები და სცენები წაროადგინეს მათი ნაწარმოებებიდან. გააცოცხლეს წარსულის აჩრდილები, ადამიანები, რომელთაც „მშობელ მიწაში უღვათ ფესვები“...

ბავშვებმა ილაპარაკეს საგარეჯოს სახალხო თეატრზე, დაასახლეს საგარეჯოში ამჟამად მოქმედი საწარმოები, სააქციო საზოგადოებები.

„გიყვარდეთ და აღიდეთ გარეჯა ესე, სავანე



და საწვრთნელი ადამიანის სულისა და ნებისა...”

საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას, ბავშვებს მოუწოდეს, შერჩენოდეთ „სიძველისადმი გრძნობა-პატივი“, რადგანაც „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა...” ითქვა, რომ ისინი არიან ჩვენი ქალაქის – „თვალ-საგარეჯოს“ ფუძე-ბაღაზარი, აწმყო და მომავალი, ის ძალა, რომელმაც უნდა შეძლოს

ახალი საგარეჯოს, და არა მარტო საგარეჯოს, სრულიად საქართველოს აშენება, რომელიც გადალახავს ყველა დაბრკოლებას და ისგორიულად ცნობილ გარე-კახეთს, მთელ საქართველოს ლამაზ მომავალს შეუქმნის.

ლონისძიება გამოირჩეოდა არა მარტო ემოციურობით, მას ღიმი შეეძენებოდა მნიშვნელობაც ჰქონდა.



ნათელა ლობჯანიძე,

რუსთავის №1 საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე

## ნორჩ შემოქმედთა კონკურსი „ლექსო, ნუ დაიკარგები“

**ჩ**აოდენ სასიხარულოა, რომ რუსთავ-ქალაქში მრავალი ნორჩი შემოქმედი, რომელიც იბეჭდება ადგილობრივ პრესაში.



ი. გოგებაშვილის სახელობის №1 საბავშვო ბიბლიოთეკის ინიციატივით დაიწყო ნორჩ შემოქმედთა გამოვლენა. ესტაფეტა გადმოგვცა ლალო ასათიანის სახ. სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკამ (დირექტორი ინგა არგუტინსკაია).

რუსთავის საბავშვო ბიბლიოთეკამ თავისი სამოქმედო მიკრორაიონის სკოლებში გამოავლინა შემოქმედებითი ბავშვები. შეაგროვეს მათი ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები და გაკეთდა ფართო ხასიათის გამოფენა თემაზე: „ლექსო ნუ დაიკარგები“. გამოვაცხადეთ კონკურსი,

რომელშიც თითქმის ქალაქის ყველა სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას.

ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა; ქალაქში ასზე მეტი შემოქმედი მოსწავლე გამოვლინდა მე-4 კლასიდან დაწყებული მე-10 კლასის ჩათვლით. მათ შორის ზოგიერთი უკვე იბეჭდება განათლების მუშაკთა გაზეთ „მოდვარში“.

ნორჩ შემოქმედთა გამოვლენაში გვერდში ამოგვიდგნენ სკოლების ხელმძღვანელები, სკოლის ბიბლიოთეკები, პედაგოგები, მშობლები, განათლებისა და კულტურის განყოფილებები, საბიბლიოთეკო გაერთიანება, აქტივისტი მკითხველები. დიახ, პოემიას, ამალღებულ ლექსს, თუ პროზას თანადგომა, თანაგრძნობა სჭი-


რღებ. ამიგომ მიზნად ღავისახეთ, რომ კონკურსი „ლექსო ნუ ღაკარგები“, ჩაგარებულიყო ისე, რომ არ ღაკარგულიყო არც ერთი სგრიქონი, არც ერთი ღამაზად ნათქვამი სიგყვა. საზავშო ბიბლიოთეკებმა: „ღიღამ“, (გამგე ქსენია მეღიქიძე), „ბუნების კარმა“ (გამგე ღიღი აბრამიშვიღი), „ჯეჯიღმა“ (გამგე ასმათ კოსტაშვიღი) თავიანთ სამოქმეღო მიკრო-რაიონებში ყვეღაფერი გააკეთეს, რათა სრულად წარმოეღგინათ ბავშვთა ნაწარმოებები. ღიღი ღახზარება გაგვიწია ქვემო ქართღის მწერაღთა ასოციაცია „რუსთავეღის“ თავმჯღანმარემ, მწერაღმა ღა ჟურნაღისგმა გივი ჯახუამ, საზავშო პოეგებმა ეთერ გოშაძემ ღა ღია ბეჟანიშვიღმა, ჟურნაღისგებმა ღურმიშხან კუპაგაძემ ღა ღია მარგაშვიღმა, სწორედ მათ მიერ შეიღრა კონკურსის მონაწიღე 82 ბავშვის ნაწარმოებები.

შეიქმნა ჟიური გივი ჯახუას ხელმძღვანეღობით. 45 მოსწავღე ღაჯიღღოვღა I-II-III ხარისხის ღიღლომებითა ღა საპაგო სიგეღებით. მათ შორის არიან შოთა ხუციშვიღი, თეონა მუღლაძე, ნინო შავღათუაშვიღი, შოთა ღევანიშვიღი, ნინო კვარაცხეღია, ქრისგინე გაბაღუა, მარიამ ერიაშვიღი, ნინო ნაღირაშვიღი ღა

სხვები. კონკურსში მონაწიღეობღუნ №2, 4, 5, 7, 9, 10, 12, 18, 21, 25 სკოღების, კლასიკური ღა ქართული გიმნაზიების შემოქმეღი მოსწავღეები, რომღებმაც საკონკურსოღ ი. გიგემაშვიღის სახ. №1 საზავშო ბიბლიოთეკაში 300-მღე ნაწარმოები წარმოაღგინეს. კონკურსის ორგანიზებაში აქგიური მონაწიღეობა მიიღეს სკოღის ბიბლიოთეკარებმა: შშია ოქრომჭეღღიძემ (მე-9 სკოღა), თინიკო იმნაძემ (მე-16 სკოღა), ღია ბაბიკაშვიღმა (32-ე სკოღა). კონკურსის მსვღეღობაში აქგიური მონაწიღეობა მიიღეს ყვეღა საზავშო ბიბლიოთეკის თანამშრომღებმა.

კონკურსის მიზანი იყო, გამოგვეღინა ქართული ღექსის ღა პროზისაღმი ბავშვების სიყვარული, მათი აბროვნების განვითარების ღონე, ღამოუკიღებღად აბროვნების უნარი.

ვის იცის, ღმერთმა ჰქნას ღა გამოვიღუნ ჩვენს ნორჩ პოეგებში ისეთები, რომღებიც ერთ ღროს გაუგოღღებთან ჩვენს სასიქაღულო მწერღებს. ამგვარი ღონისძიება გრადიციულად გვიღდა ვაქციოთ ღა ყოვეღწღიურად მოვაწყოთ ნორჩ შემოქმეღთა კონკურსები.




ღარეჯან კოტეგიშვილი

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა ღ ბიბლიოგრაფიის კათედრის უფროსი მასწავლებელი

## უკათასი მომავლის სანიღარი

ს აბიბლიოთეკო კვირეულს საქართველოში მსოფლიოს წიგნის ღლეც ღემთხვა. ეს იყო ჩვენი წიგნიერი კულტურის აღორძინების, საბიბლიოთეკო საქმის გამოცოცხლების ღემონსტრაცია. ამ მნიშვნელოვან მოვლენას წიგნის ფესტივალები ღ ბამრობები მოჰყვა.

საქართველოში გრადიციად იქცა ივნისის შუარიცხვებში (11-14) თბილისის ფიღარმონიის ინტერიერში მოწყობილი წიგნების გამოფენა-გაყიღვა. ეს იყო ნამღვილი წიგნის ფესტივალი – ღიდი ბეიმი წიგნის მოყვარული სამოგაღოებისა. ვის არ ნახავღი თქ – ჯერ კიღევ ფეხაუღმელი ბავშვიღან მოყოლებული ღრმა მოხუცამღე. არ ღარჩენიღა თითქმის არც ერთი გამომცემლობა, თავისი პროღუქცია არ გამოფინოს. 80-ზე მეტი მღღამიღა ღა გამომცემლობა იყო ჩამბული ამ საქმეში. პაგარ-პაგარა ანფიღაღებს შორის ეღვარებღა საუკეთესო გამოცემები – საბავშვო, სასკოლო წიგნები, მხაგვრული თუ მეცნიერული ღიგვრეგურა, ძვირფასი აღბომები, აგლასები, ბუკლეგები, პღაკაგები... თვღლს ხიბღავღა ყვეღაფერი როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით.



წიგნის გამომცემღთა ღა გამავრცელებღთა ასოციაციის პრობიღენგმა მერაბ ქათამაძემ საბეიმო ვითარებამი გახსნა საქართველოს წიგნის ფესტივალი, რომელიც წელს მეხუთედ იმართებოღა. მან ხამგასმულად განაცხაღა: „ბოლო ღროს გავრცელებული განცხაღებები, რომ საქართველოში წიგნს აღარავინ კითხულობს, გყუიღია“.

იშვიათაღ, რომელიმე მასობრივმა ღონისძიებამ ამღენი აღამიანი მიიბიღოს. უბარმამარი ინტერიერები ხაღხით იყო სავსე – ათვღლიერებღენ, ექებღენ, არჩევღენ, ყიღულობღენ. რა თქმა უნღა, იყო სურვილი მეგის შექენისა, მაგრამ ნათქვამიღ: ქონება შექღებამზე ჰკიღიაო, ღა ღამთვღლიერებლები იმას ყიღულობღენ, რაც ყვეღამზე გამორჩეულად მიაჩნღათ თავისთვის.

აღამიანები გაციებს ვერ მღღავღენ, რომ თურმე საქართველოში ამღენი მშვენიერი წიგნი გამოიცემა ღა ისიც როგორი მღღალი პოლიგრაფიული ხარისხით.

გარღებოღა გამომცემღებისა ღა წიგნების პრობენგაციები, შეხვეღრები, გარიგებები, სრუ-



ლდებოდა დაკვეთები, ღებოდა გეგმები. გოეთეს სახელობის გერმანული კულტურის ინსტიტუტის ეგიდით ჩატარდა ძმები სიმენსების მოღვაწეობაზე დაწერილი წიგნის – „ძმები სიმენსები საქართველოში“ პრეზენტაცია (ავტორი ანდრე კარბელაშვილი). წიგნი გამოცემულია მიუნხენში გამომცემლობა „სიმენსის“ მიერ.


წიგნის ფესტივალმა, რომელიც ასრულებდა გამოფენა-გაყიდვის ფუნქციებს, ნათლად დაგვანახა, როგორი პოლიგრაფიული კულტურა დამკვიდრებულა საქართველოში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ არ მართლდება ვაი-წინასწარმეტყველთა ქადაგება იმაზე, რომ წიგნის ეპოქა დასრულდა. თურმე კვლავ დიდია მოთხოვნილება წიგნზე, კვლავ დიდია ინტერესი თითქმის ყოველი დარგის ლიტერატურისადმი, კვლავ ემეგობრება ადამიანი წიგნს და აფასებს მას, ერთიც გამომქდავდა: მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ არის სრულყოფილად ინფორმირებული, თუ რა გამოიყენა ჩვენში, სად რა იყიდება, რა ღირსებების პროდუქცია გამოდის. ეს უდავოდ სუსტი სარეკლამო საქმით უნდა აიხსნას. საკმარისი არაა, მხოლოდ გამოფენა-გაყიდვაზე, წიგნის ბაზრობებსა და ბირჟებზე გამოფინოთ ჩვენი პროდუქცია. მას სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეს, მაღალპროფესიული რეკლამით უნდა გუჭერდეთ მხარს და ყოველდღიური და ყოვლისმომცველი უნდა იყოს. სასარგებლო იქნება, თუკი უცხოეთის გამოცდილებას მივმართავთ, რომელიც წიგნის პროპაგანდასა და პოპულარიზაციასთანაა დაკავშირებული. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მიაგებენ წიგნს პატივს – მართავენ გამოფენა-გაყიდვებს, ბაზრობებს, კონკურსებს საუკეთესო გამოცემის გამოსავლენად, დაჯილდოვებებს. ტარდება საერთაშორისო ღონისძიებები. ერთ-ერთ ამგვარ ღონისძიებას წარმოადგენს, მაგალითად, საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად იმართება დიდ ბრიტანეთში, როგორც გაზეთი „ჩვენი მწერლობა“ გვამცნობს („ახალი ეპოქის“ სალიტერატურო ჩანართი – 2003, '24, 20-26 ივნ.) აქ ყო-



ველწლიურად სულ ცოცა 148 ფესტივალი იმართება. დიდი ხანი არაა, რაც ლონდონში ჩატარდა ამგვარი ღონისძიება სახელწოდებით „სიტყვა“. ეს ფესტივალი უდიდესია მსოფლიოში – 10 დღის განმავლობაში დაახლოებით 10000-მაცაქმა მოინახულა აქ გამოფენილი წიგნები; მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები. ფესტივალის ღირექტორია პიტერ ფლორენსი, რომელიც მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, წიგნის ფესტივალების ნამდვილ პაგრიარქად არის მიჩნეული.

რა დიდი ბედნიერება იქნება, საქართველოს წიგნსაც გამოუჩნდებოდნენ ამგვარი მესვეურები, რომ ასეთი ღონისძიებები რაც შეიძლება ხშირად იმართებოდეს ჩვენშიც.

საერთოდ, ყოველივე ის, რაც ხდება ქართული წიგნის საქმესთან დაკავშირებით, ნამდვილად არის კლიმატის გაუმჯობესების საწინდარი, მდგომარეობის გაუმჯობესების საიმედო იმპულსი.



ალექსანდრე ლორია

## ნიგნი შეუნიუნაპი არ უნდა დარჩეს

**ა**ოველი ახალი წიგნის გამოჩენა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხოლმე ჩვენს ბიბლიოთეკარებს შორის, მით უმეტეს, თუკი მას ახალი სახელების გამოჩენა ახლავს. ახალი წიგნი ბიბლიოთეკისათვის ახალი სისხლის გადასხმაა. სამწუხაროდ, ჩვენი ბიბლიოთეკებისათვის ეს იშვიათი მოვლენაა, მაშინ, როცა, ამდენი დასახელების წიგნი წლის განმავლობაში საქართველოში არასოდეს გამოდიოდა. ეს კარგია, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ბევრი მათგანის ბიბლიოგრაფიული რეგისტრაცია არ ხდება და მოსალოდნელია, მომავლისათვის მათი არსებობაც კი უცნობი დარჩეს. ეს განსაკუთრებით იმ წიგნებზე ითქმის, რომლებიც ავტორების ინიციატივითა და სრული პასუხისმგებლობით ქვეყნდება. მართალია, ავტორთა ერთი ნაწილი სიამოვნებით სთავაზობს ამა თუ იმ ბიბლიოთეკას თავის წიგნს, მაგრამ ეს არ იხსნის ამ წიგნს დავიწყებისაგან, თუკი ის სახელმწიფო რეგისტრაციას არ გაივლის.

ცხადია, ამგვარი წიგნები ერთნაირი ღირსების არ არის და ბევრი რამ მათ ღონებუა დამოკიდებული, მაგრამ მათი აღნუსხვა ლიგერატურული პროცესების განვითარებისათვის აუცილებელია. მართალია, ამგვარი გამოცემების უდიდესი ნაწილი იქნებ ვერ პასუხობს პროფესიული მწერლობის მოთხოვნებს, მაგრამ ასეთი რამ ფაქტია და მას ვერ გავექცევით. არ შეიძლება მისი აღკვეთა, და არც არის საჭირო. დაე, ვისაც სურს, მიეცეს საშუალება გამოსცალოს თავისი თავი. დრო, მოთხოვნილება და მკითხველი ყველაფერს მიუჩენს თავის ადგილს. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ლიგერატურული საზოგად-

ობრიობა თვალყურს არ აღევნებდეს ამ პროცესს და არ ღებულობდეს მონაწილეობას მკითხველის ორიენტაციაში. ამ თვალსაზრისით, ბიბლიოთეკებსაც ევალებათ გარკვეული როლის შესრულება.

პირადად მე ყოველთვის მაინტერესებდა ასეთი გამოცემები. კაცმა რომ თქვას, ე.წ. „არაპროფესიონალი“ მწერლებიც ხომ ამბობენ თავიანთ სიკვყვას? ნაწარმოები მისი ღირსებებით ფასდება და არა იმის მიხედვით, თუ ვისი დაწერილია იგი. ამგვარი გამოცემა უამრავია და რას არ შეხვდები აქ ქანრობრივად თუ თემატურად, მაღალსა თუ მდაბალს, დიდსა თუ პაგარას, ეპიგონსა თუ ორიგინალს. ერთი სიკვყვით, ლიგერატურული „ბაზარი“ საკმაოდ დიდი, ჭრელი და ფრიალ საინტერესოა. სწორედ ამ ინტერესის გამო იყო, რომ გულდაგულ გავეცანი შემთხვევით ხელში ჩავარდნილ ანბორ მძანების (გეგუჩაძის) „განსაცდელს“. წიგნი საკმაოდ მორღილი პოეტური კრებულია. ავტორიც სავეებით ორიგინალურად გამოიყურება. ანოტაციაში მას ახასიათებენ როგორც ჭირთამთმენს, ნაკლისადმი შეურიგებელ, მოყვასის თანამგრძობ, უადამიანურობით გულმოკლულ, ღრმად მორწმუნე და საქართველოსათვის მეოცნებე ადამიანს. ეს ნათლად აისახება მის პოეზიაში. ხამგასამელია ის, რომ მისი ყველაზე დიდი საფიქრალი ცხოვრებაა, ადამიანთა ურთიერთობის ფილოსოფიური გააზრება. მისი აზრით, კაცობრიობა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან, როგორც პაგარა ბავშვი –

„საკუქუნეს თითზე ვითვლით, სულით ვბორჯავთ ბავშვივით, ოჭივარას ვერ ვმორღებით, დრო კი ვარბის რაშივით.“

მიღვეთ ოჯიგარას ლანდებს ქვის ხანიდან აქამდე.  
 გენიოსთა ღვაწლს მიყვარებთ ახლის მოსვლის ბაქამდე...  
 იგი მიდის სულთან ერთად, ვით შვის ამობრწყინება,  
 ძილი თანავს წუთისოფელს, მას კი არ ეძინება...  
 საუკუნეს თითზე ვითვლით, ყაში გარბის რაშივით,  
 ვერც თამაშს შეველოივართ მცირეწლოვან ბავშვით.  
 ბავშვად გაჩნდი ადამთ მოღვაძე, კვლავაც ბავშვად ბერდები,  
 იმ ტოტსა ჭრი, რაზეც ზიხარ, თანაც ღმერთს ევედრები.  
 ვაგლახ, ჩემო საცნაურო, წუთისოფლის საწილოდ,  
 თუკცა ისეთს არას ვტოვებ, ბოროტს დარჩეს საცილოდ.  
 ბავშვად გაჩნდა ადამთ მოღვაძე, კვლავაც ბავშვად ბერდება,  
 იმ ტოტსა ჭრის, რაზედაც ზის, თანაც ღმერთს ევედრება“.

პოეტის ასეთი შეხედულება კაცობრიობასა და მის განვითარებაზე არაერთ ლექსშია გაცხადებული.

ავტორი განსაკუთრებით ქართული მწე-მორალის საკითხებითაა გულშეძრული. უპირველეს ყოვლისა, მას ქართული გენის გადარჩენის ფიქრი აწუხებს, რაც ყველაზე ნათლადაა გამოვლენილი ერთ-ერთ ლექსში –

„ჩვენ ყველამ ვიცით, მიცვალებულს სად აქვს ადგილი...  
 ქუჩებში, გზებზე სამარცხვინოდ ჰყრია მანძილი.  
 – გერცხვინებოდეთ! – აღისრულეს მგრებმა ქალილი;  
 ვგრძნობ, სანაგრელი გაგვიხდება ქალი ნამღვილი...  
 თუ ქალი წახდა, რამ შეინახოს ქართული გენი?  
 დაგვაშობოს ბაძვა უცხოისად – წაგვივა ღღენი“.

პოეტი თავისთავზე გულსაკლავად ამბობს: „მარტოდ ვარ თავთან, უნუგეშობას თევით ვჭირისუფლობო“. ცხადია, ამგვარად განწყობილი კაცის ლექსი ვერ იქნება ლაღი და მხიარული. აწუხებს სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრი, უღირსთა აღმეგება, ბოროტება, გაუგანლობა... მწარედ აფიქრებს ცხოვრების არსი, ეძიებს ღვთის სამართალს. პოეტის შემოქმედებისთვის უცხო არაა მისტიკა, მითოლოგიურ-ზღაპრული პერსონაჟები, ეკლესიურობა, უკურნებელი სევდა და შესიმისგური განწყობილება, თუმცა ისიც სათქმელია, რომ იმედის ცეცხლიც ღვთის გულში, როგორც ეს გამოხატულია მის ლექსში „რა გამოვლევს მქადაგებულს“ –

„ვაგლახ-ვაგლახ, ჩემო ერო, ჩემო ღედა საქართველო,  
 ჩემო ჯიშო, ჩემო მოღვაძე, გენო ჩემო ძველთაძველო,  
 სად არს შენი ფხა და ზავთი, ააჩქეფე შენი სისხლი,  
 შენ ხომ შენი მფარველი გყავს, არად გარგებს ხვეწნა სხვისი.  
 სჯობს თავად რომ დავფაცურდეთ, მივიხელოთ-მოვიხელოთ,  
 წუმძეს თუ ვართ ჩაცვიფნული, ღვთით – მკლავი გვაქვს საიმედოდ“.

აქ არ მინდა შევეხო ნაკლოვან მხარეებს, რომელიც წიგნს ახლავს და საკმაოდაც, სანაცვლოდ ბევრი საინტერესო რამ ვნახე. ეს წერილიც არ არის რეცენზია. ის ლიტერატურული პროცესების განვითარებით დაინტერესებული მკითხველის გამომხატურებაა. მისი მიზანია, ერთეული მაგალითის ჩვენებით, იქნებ როგორმე მიახედოს ცალკერძ მკითხველი, ცალკე კიდეც – ლიტერატორები – ამ საქმის სპეციალისტები – ჩვენი ლიტერატურულ-შემოქმედებითი ცხოვრების პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი მოვლენისაკენ, რის გარეშეც დიდი პოეზია არ იქმნება, ეს მუდმივი თანმხლები რამ არის ჭეშმარიტი შემოქმედებისა. ეს ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდებიან გიგანტები.

როგორც მკითხველი, ერთ რამეს კი ვურჩევდი ამგვარი გამოცემების ავტორებს – ნუ ენდობიან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს, გაითვალისწინონ სხვისი მოსაზრებებიც, არ არის საჭირო სიმრავლისადმი გამოღვენება, უფრო კრიტიკულად აწონ-დაწონონ თავიანთი ნაწარმოები და მკაცრად შერჩეული მასალა შესთავაზონ მკითხველს. ყველაფერი გამოსაქვეყნებლად არ იწერება, ცოგამიც კარგად შეიძლება ღირსეულის დანახვა.



## მოგონებები

რედაქციისაგან:

## ბანკილი გზის ანარქიკლი

**მ**კითხველებთან მომუშავე სპეციალისტები დაგვემოწმებიან, რომ ხალხში განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს დოკუმენტური ლიტერატურა, განსაკუთრებით მოგონებები, წერილები წარსულზე, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაზე. ასეთ ლიტერატურას დაინტერესების გარდა, დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. საგულისხმოა, რომ მწერალთა დიდი ნაწილი თავისი ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდში დრო და დრო მიმართავს ხოლმე ამგვარ ჟანრს ან საბოლოოდ მაინც კიდებს მას ხელს. ცნობილი მწერალი ნანა კანდელაკი ყოველთვის გამოირჩეოდა იმით, რომ ხშირად გვაცნობდა ჩვენს სასიქადულო ადამიანებს ყველაზე ახლო რაკურსით; არაერთი წერილი გამოქვეყნებულა მისი ავტორობით პერიოდულ ორგანოებში, მაგრამ განსაკუთრებით ფასეულია მისი მოგონებათა პატარა წიგნი, რომელიც 1989 წელს გამოიცა სახელწოდებით „მოგონებები, წერილები“. მასში მოთხრობილია შეხვედრები ისეთ გამოჩენილ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, იოსებ გრიშაშვილი, ნოდარ დუმბაძე, ილია სიხარულიძე, ვასო გოძიაშვილი, ანა ხახუტაშვილი, სერგო კლდიაშვილი, სანდრო კავსაძე, ნინო თარიშვილი, დიმიტრი ჩარკვიანი. მათ შესახებ თხრო-

ბისას წიგნში გაიეღვებს ჩვენთვის ძვირფასი სახეები: შალვა დადიანის, ლევან გოთუას, საფო მგელაძის, ალექსანდრე ქუთათელის, ვერიკო ანჯაფარიძის, ევგენია აგაბეკოვას, გოგი ცაბაძის, აქესენტი მეგრელიძის, ალიო მირცხულავას, ალიო ადამიას, მარიამ ბურჭულაძის, ზურაბ კიკალეიშვილისა და სხვათა და სხვათა. ამ პატარა წიგნში იხილავთ სახეებს ცნობილი ფალაგებისა პოსრო პაპიაშვილისა და გოგი როსტიაშვილისა, გაეცნობით ცნობილ სპორტსმენებს, მუსიკოსებს, მსახიობებს, გამომცემლებს.

ქალბატონი ნანა დღესაც განაგრძობს თავის საქმიანობას, კვლავაც გვახარებს ახალ-ახალი მოგონებებით. მისი ცხოვრების გზა ისე წარიმართა, რომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბევრი რამ დაგროვდა მოსაგონარი. ის რუდუნებით აგროვებს მასალას და გამოსაცემად ამზადებს. დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ჯერ გამოუქვეყნებელ ერთ-ერთ მოგონებას და ამგვარი ჟანრის მოყვარულთ შეგახსენებთ, რომ ქალბატონი ნანას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში თქვენ შეხვედებით არა მარტო საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებს, არამედ შედარებით ჩრდილში მდგომ ღირსეულ პიროვნებებს, რომელთა სახელები არ შეიძლება დაეკარგოს შთამომავლობას. მოგონებათა ერთ-ერთი ღირსეუბაც ხომ სწორედ ეს არის.



ნანა კანდელაკი

## იმ დღეს რა დაგაპინჯებს...

**ა**მბავი, რომელიც ახლა მინდა გავიხსენო, კარგა ხნის წინათ მოხდა, სამათეულზე მეტი ხნის წინათ.

იმ ხანად მე, ჩემი მეუღლე – წარსულში ცნობილი განმთავარჯიშე, მაშინ სპორტის სასახლის დირექტორი – რაეო იმნაძე და ჩვენი ქალიშვილი მაკა, – ვისვენებდით ლიკანში. ჩვენი დასვენების დრო იწურებოდა. აგვისტოს დამლევით იყო და მიუხედავად იმისა, რომ მართლა შესანიშნავ საზოგადოებაში მოგვიხდა მთელი თვის გატარება, მით უფრო იმ ზღაპრულ ბუნებასა და საოცრად ნალოლიავებ, მოვლილ სანაგორიუმში, რომელსაც თავგადაღებულად უვლიდა და თავს დასკრიალებდა ბატონი პეტრე იოსელიანი, გეგონებოდათ საგანგებოდ შერჩეულ ადამიანებისგან შემდგარ კოლექტივთან ერთად, მაინც უკვე თბილისისკენ მოგვიწევდა გული.

და აი, ერთ დღეს სასადილოდან რომ გამოვეფინეთ დამსვენებლები ლიკანის გყე-პარკის ხეივანებში, ხმა დაირხა, ბატონმა პეტრემ თბილისიდან მართლა უსაყვარლესი მსახიობი, სესილია თაყაიშვილი ჩამოიყვანა, რომელიც ეს-ეს არის პარიზიდან დაბრუნდაო.

რა თქმა უნდა, ასე ვთქვათ, სანაგორიუმის ცენტრისკენ გაემართა ყველა და ბატონ პეტრესთან ერთად მისი კაბინეტიდან გამოსულ ქალბატონ სესილიას გაშით შევეგებეთ.

– ნამეგანი პატივში ვარ ამ ბოლო დროს, ჯერ საფრანგეთში ყოფნისას და აგერ კიდევ როგორ გამოხატეთ თქვენი ღიმილით, გაშით, თქვენ შემოგველეთ ყველას ცალ-ცალკე, ჩემი დანახვა, – განუმეორებელი, ოღნავ ჩახლეჩილი ხმით თქვა აღელვებულმა ქალბატონმა სესილიამ.

– ლუვრში თუ იყავით?

– ლუვრში? რასაკვირველია!

– ეიფელის კოშკზე აისეირნეთ?

– მონმარგზე ფინჯანი ყავა თუ დალიეთ?

– ელისეის ველზე თუ იარეთ და ჩამოაიარეთ?

– აქეთ-იქით ხოშკაკალასავით დააყარეს შეკითხვები ცნობისმოყვარეებმა.

– ბეჩა, ეგ რა საკითხავია, თქვენი ჭირიშე, აბა, რისთვის ვიყავი იქ ჩასული, მარგო ჩემიანების სანახავად?! – გაელიმა სესილიას, – ყველგან ვიყავი, ყველაფერი დავათვალიერე, ისეთ ადამიანებს შევხვდი, შორიდან მათი სახელი რომ მქონდა გაგონილი. გადასარევი ხალხი ყოფილა ფრანგები. ვიღაცამ მითხრა, ნამეგანი ძუნწები არიანო. გყუილია, ბატონო, გყუილი! ძუნწი ყველგან ურევია, ასე არც იქნება, ყველა უნაკლო რომ იყოს, მაგრამ ჩვენი არ იყოს, უმრავლესობა, ნამეგანი გულთბილია, და ყურადღებიანი, ასეა კი!

ლევინში რომ ვიყავი, დიდი თაიგული მომართვეს იქაურმა ქართველებმა და რომ მიველით სასაფლაოზე, იქ ვინც არის დასაფლავებული, ყველას, ყველას საფლავის ქვასთან თითო ყვავილი ღვდეს იმ თაიგულიდან.

შევაგყვე მოეწონათ ჩემი საქციელი...

– მოეწონებოდათ, აბა როგორ! – კვერი დაუკრეს ბატონებმა აკაკი ხორავამ და აკაკი ვასაძემ.

– ერთი სიგყვით, სესილია, კაი მგზავრობა გქონდათ. – შეაგულიანა ჩვენმა პოეტმა ალიო მირცხულავამ.

– ნამეგანი... თუ იცით, რა გიგულით შემამკეს. მსოფლიოს ბებია ხარო, ყველას ბებიაო! – გაიბადრა ქალბატონი სესილია.

გაისმა გაში, შეძახილები, ბრავო სესილია, ბრავო მსოფლიო ბებია!



– კი, ყველაფერი კარგი იყო, ოღონდაც ბოლოში, წამოსვლის წინ, ჩამოვიდა ჩვენი ჩიგოლია ჩხეიძე და რაღა დაგიმალოთ, ნოდარ ღუმბაძის თქმისა არ იყოს, ფლაგები დამეხა.

– რანაირად? რა მოხდა? რაში შეგეცვილა? – გადაბჟირდა სიცილით აკაკი ვასაძე.

– სიმღერით მაჯობა, მთლად დამჩრდილა, ჩემო ბაგონო, კი, ნამდვილად! ვიღას ახსოვდა მის გვერდით ეს სახალხო არგისტი რომ ვიყავი და მათი შერქმეული მსოფლიო ბეობია, ა, გაგიგია?! ჩიგოლიამ მონუსხა, მოხიბლა, დაიპყრო ყველა სუფრა, მსმენელი, სადაც კი გამოეჩნდებოდა. მაინც რას მღერის, ჰა?

– კი, მართლა გულშიჩამწვდომი სიმღერა იცის – თქვა აკაკი ხორავამ.

– მაგრამ აქ მთლად ისე ვერ არის დაფასებული. საწყენია. – მორიდებით შენიშნა ცნობილმა ექიმმა, თამარ ლლონგმა.

– ეს ჩვენი სიგლახეა, – აღელვებით წარმოთქვა ქალბატონმა სესილიამ, – იმიტომ, რომ ჩვენში შინაურს ხშირად შენდობა არ აქვს. ერთს ამოიჩემებენ და მორჩა. არადა, უნდა გენახათ, რა ხდებოდა დარბაზში, ის რომ რომანსებს მღეროდა, სულ ცრემლებად იღვრებოდნენ მსმენელები. ერთი-ორჯერ მეც მომერია ცრემლი, განსაკუთრებით იმ სიმღერაზე: „Только раз бывает в жизни встреча“, – ამოიკვნესა სესილიამ და თვალზე თითი მოისვა.

– არ იგინო, სესილია, არ იგინო, აგერ გვესგუმრა ჩიგოლია და იმედია, აქაც დაგვატკბობს მსმენელებს თავისი სიმღერით, – წამოიძახა მანქანიდან ჩამოსულმა ბატონმა პეტრემ, მანქანის მეორე კარი გააღო და ყველას წარმოგვიდგინა ჩიგოლია ჩხეიძე.

– უი, შენ გენაცვალე, შენ, ჩამოხვედი ჩიგოლია?! – გაქანდა მისკენ სესლია, გადაეხვია და გადაკოცნა. – რა მოგეჩვენა, პატარა ხანი ვერ დარჩი იქ კიდევ? პარიზში იყავი ქალა, ღვანკითში ხომ არა!

– მე ხომ შენზე აღრე ვიყავი ჩასული, სამი თვე ვინაზარდე და წამოვედი, აბა, იქ ხომ არ დავრჩე-

ბოდი. ჰოდა, რომ მოგიკითხე, მითხრეს ლიკა-ნში წავიდაო, მეც ჩავეჯექი ავტობუსში და აგერ გამოგეცხადე.

– ჰოდა, აგერ მე, აგერ თქვენ და აგერ ეს! ვნახავ, ამის სიმღერის გამგონე, რომელი მოიხედავს ჩემსკენ, – წამოიძახა სესილიამ, წელზე ხელი შემოჰკრა ჩიგოლიას და გადაკოცნა. – ჩემო მალრჩობელა, ოქრო ხარ!

იმ დღეს დიდი სუფრა გაიშალა პეტრე და თამარ იოსელიანების ბინაში, სესილიას და ჩიგოლიას პაგივისაცემად.

იყო ბევრი ხუმრობა, არაჩვეულებრივად თბილი სადღეგრძელოები წარმოთქმული. სესილია გაუჩერებლად ოხუნჯობდა და ბოლოს ჩიგოლიამ გიგარას წამოაველო ხელი და თავისი გულშიჩამწვდომი, განუმეორებელი ხმით იმღერა რომანსი „Мы спаяны, как два стальные кольца“.

ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ სესილია ოხუნჯობდა, რასაც ჩიგოლიას სიმღერა მოჰყვებოდა ხოლმე. მართლა არაფერი გვახსოვდა იქ მყოფთ, ამ მშვენიერი სიმღერის გარდა.

გვიან დავიშალენით.

არა მგონია იმ დამეს, ვინც იმ სუფრაზე იყო, მაშინვე ძილი მორეოდეს, ისეთი დიდი იყო შთაბეჭდილება და უსაზღვრო სიამოვნება.

ამ გამოჩენილი ორი ქალბატონის სადღეგრძელო ბატონმა პეტრემ, სუფრის თამადამ, რამდენჯერმე შესთავაზა იქ მყოფთ და ეს არავის გაჰკვირვებია, იმდენად დიდი იყო მოწონება და მაღლიერება ხელოვანი მანდილოსნების დიდი გალანგის გამო.

ღმერთო! ნუ მოუშლი ქართველებს ნიჭიერ, სასიქაღულო ადამიანებს.



ალექსანდრე ლორია

## სსოპნიდან წარუშული უხვედრები

**ა**რის ისეთი შეხვედრები, რომელთაც დავიწყება არ უწერია. სწორედ ასეთი იყო ჩემი შეხვედრები ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცნობილ სპეციალისტთან ლევ ივანეს ძე ვლადიმეროვთან.

მაშინ მხოლოდ გადმოცემით მსმენოდა მასზე. იმ პერიოდში არ იყო თრღინალური მოვლენა, საბჭოთა მოქალაქე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიბლიოთეკის ღირექგორად აერჩიათ, და, ცხადია, ეს აძლიერებდა ინგერსს ამ ადამიანისადმი. ათასგვარი ხმა დადიოდა მის შესახებ, მაგრამ განსაკუთრებულ გაოცებას მისი პოლიგლოტობა იწვევდა... და აი, 1967 წლის აგვისგოში მომეცა საშუალება პირადად გავცნობოდი მას.


ამ წელს „ექსპო-67“ კანადაში გარდებოდა და ორგანიზატორებმაც IFLA-ს კონგრესიც აქ მოიწვიეს – ქალაქ გორონგოში. ჩასვლიდან მეორე დღილას ერთ-ერთი კოლეჯის საერთო საცხოვრებელში, რომელშიც ჩვენი დელეგაცია იყო დაბინავებული, ერთი გამხდარი, საკმაოდ მაღალი,

საოცრად სიმპათიური კაცი მოვიდა. რუსულად მოგვესალმა ებოში წასასვლელად გამზადბულთ და ლიგველთა ჯგუფთან როგორც შინაური მივიდა. იმათაც გაინხარეს თანამემამულის ხილვით და მაშინვე გაიმართა გაცხოველებული საუბარი.

ლიგველებთან მე განსაკუთრებული ახლო ურთიერთობა მქონდა და მაშინვე მიხმეს თავისთან ვლადიმეროვის გასაცნობად. ჩემს სიხარულს საბღვარი არ ჰქონდა. მართალი ვითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, ამოლენა კაცთან თუ მომიწევდა შეხვედრა და ასე ახლოს გაცნობა. უბრალო, თავმდაბალი, საოცრად კომუნიკაბელური პიროვნება იყო. არავითარ დაბაბულობას არ ქმნიდა ჩვენს შორის მისი ყოფნა. იმავე წუთში გამიბა საუბარი თანატოლივით, მიუხედავად იმისა, რომ მასთან შედარებით სრულიად ახალგაზრდა ვიყავი. საქართველოზე ჩამომიგდო ლაპარაკი, ქართულ გრამატიკაზე ალაპარაკდა. მითხრა, რომ ერთხანს შეუდგა კიდეც ქართულის შესწავლას, მაგრამ შეცდომა მომივიდაო:

– ერთდროულად მოვკიდე ხელი ქართულსა და სომხურს, მეგონა ძალიან მსგავსი ენები იქნებოდა. არ გამიმართლდა. თანაც ქართული და სომხური ერთმანეთში მერეოდა და დროც აღარ მომეცა მათ შესასწავლადო.

ლიგველ კოლეგებთან ერთად გავგიძღვა ახლომახლო ადგილების გასაცნობად. ის იყო, მივადექით ერთ საკმაოდ მოზრდილ ქუჩას და გადასასვლელთან ყველანი შევჩერდით – მარცხნიდან ვებერთელა ლიმუზინი მოლიოდა – და აქ არც შუქნიშანი იყო რაიმე, ჰოლბა, ჩვენც გზა დავეუთმეთ. ვლადიმეროვმა კი, ვითომაც აქ არაფერი, არც კი მიაქცია ყურადღება მოახლოებულ მანქა-



მარცხნიდან მეორე ლევ ვლადიმეროვი; მარჯვნიდან მეორე ალექსანდრე ლორია (ტორონტო, 1967 წ.)

ნას, რომელიც გააგით მოსრიალეზდა ჩვენსკენ, დაადო თავი და ნელა დაიწყო გადასვლა მეორე მხარეს, თანაც ღიმილით დაგვიგლო შეფიქრანებულ ყმაწვილებს:

– Здесь пешеходы диктуют-ო

მართლაც, მანქანა გაჩერდა და მშვიდად გადაგვაგარა ქუჩა.

მას შემდეგ აღარ ვერიდებოდით მანქანებს. დავადებდით თავს და გადავდიოდით ქუჩას, ერთმანეთს შეხუმრებით ვეუბნებოდით – „Здесь пешеходы диктуют“-ო.

ყველგან თან დაგვყვებოდა, როგორც კი მოიცილიდა და ჩვენთან ჩამოვიდოდა. ახლაც თვალში მიდგას მისი სახე და გარეგნობა – მაღალი, გამხდარი აღნაგობის ჯენგლმენს უბრალოდ ეცვა, არაფერი გამორჩეული. შეჭალარაგებული თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, ასევე თხლად ჰქონდა შეჭრილი შევერცხლილი უღვაშები, რომელიც რაღაც განუმეორებელ, თითქოს ირონიულ ღიმილს უფარავდა ლაპარაკის დროს. ამ ირონიულობას ერთგვარად აძლიერებდა ოდნავ მოჭუგული მარცხენა თვალი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დაახლოებისათვის გათამამებდა ამ შეკავებული ღიმილით. დრო და დრო რაღაცას თავის თავზე ღიმილნარევად იგყოფდა სახუმაროს. უბალო, დახვეწილი მანერები ჰქონდა, ყოველგვარი დაძაბულობისაგან თავისუფალი; ყველასთან ისე უბრალოდ ეჭირა თავი, როგორც კარგ ნაცნობთან. აღელვება არც მაშინ შემიმჩნევია, როდესაც დიდი აუდიტორიის წინაშე მოუხდა გამოსვლა. ლაპარაკობდა მშვიდად, დაბალ ხმაზე. ეს, საერთოდ, მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალიერების დროს რამდენიმე კაცი თავის კაბინეტში მიგვიწვია, როცა ყველაფერი შემოგვაგარა და აგვიხსნა. ნიუ-იორკში მაშინ საშინელი სიცხეები იდგა და, ბუნებრივია, თხლად ვიყავით ჩაცმულები. შევდგით თუ არა ფეხი კაბინეტში, უჩვეულო სიგრილე ვიგრძენით. ცოცხანში შეგვივდა კიდეც. შეგვაგყო და გაეღიმა:

– ძალიან დაბალზე მაქვს გემპერაგურა დაყენებული. ხომ იცით, ჩრდილოელი კაცი ვარ და სიცივეს ვარ შეჩვეული. ამას გარდა, აქ რომ მოდიან ზოგ-ზოგები, დროის ფასი რომ არ იციან, დიდხანს ველარ ჩერდებიან და მალე მიდიანო.

ბევრი რამ გავიგეთ მისგან. ენაწყლიანი კაცი ნამდვილად არ იყო, უფრო სხვას უსმენდა ცალთვალმოჭუგული, დაკვირვებულად, თითქოს ცდის, რა კაცთან მაქვს საქმეო, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმდენი და ისეთი ამბები შეგვაგყობინა, რასაც სხვაგან ვერსად ვერ გავიგონებდით.

მეორედ უკვე ლიგვაში – ვილნიუსის უნივერსიტეტში შევხვდი, სადაც კათედრას ხელმძღვანელობდა და სპეციალურად მიმიწვია სამეცნიერო სესიაზე მოხსენების წასაკითხად. არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლა ასე იყო – ბევრად არაფრით არ შეცვლილიყო, მაგრამ უკვე ის სილაღე აღარ ჰქონდა, როგორც ადრე. არცაა გასაკვირი – თავისუფლების ჰავით ნასუნთქს, ალბათ უჭირდა იმ მძიმე აგმოსფეროში დაბრუნება, რომელიც მაშინდელ საბჭოთა კავშირში სუფევდა. აკი ჯერ კიდევ ამერიკაში მეგობრულ საუბარში გავიცხადა მისმა მეუღლემ, როგორ აწუხებდა ის გარემოება, უკვე რომ უთავდებოდათ ვადა იქ ყოფნისა.

ლიგვაში ყოფნისას მე უკვე კარგად ვიცნობდი მას – ვიცოდი მისი მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ, ვხედავდი მის ორგანიზატორულ ნიჭსა და გაქანებას, მის უნარს ადაინებთან თავაზიანი ურთიერთობის და საქმიანი კონტაქტების დამყარებისა, ვგრძნობდი, როგორი დიდი სიყვარულით იყო გარემოცული ყველასაგან, ვინც კი მას იცნობდა.

სამწუხაროდ, მაშინ არ მომეცა საშუალება მასთან დიდი ხნით საქმიანი ურთიერთობისა, მაგრამ მოკლე პირად შეხვედრის დროს მეგად სასარგებლო საუბარი მქონდა მკითხველთა შესწავლასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ არ მქონდა ჩამოყალიბებული ლექტოლოგიის პრობლემატიკა, მაგრამ კითხვის ფსიქოლოგიის ჩემი შეხედელებები მოიწონა და წამათამაშა, მეშუშავა



საერთოდ კითხვის, როგორც მოვლენის, კვლევის პრობლემებზე. ის, რომ კვლევა არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ ბიბლიოთეკის მკითხველებით, ეს მისი იდეა იყო, რაც ჩემს განზრახვას ეთანხმებოდა და რამაც დამაიძედა, შეიძლებოდა მემუშავა კითხვის მეცნიერული

კვლევის სისტემის შექმნაზე.

მეც ვამაყობ, რომ მომეცა საშუალება ახლოს გავცნობოდი ამ დიდ მეცნიერს და მის შემოქმედებას. მიხარია, რომ გაუხუნარი მოგონებები დამრჩა მასზე.



შთაბეჭდილებანი



თათია ნათენაძე,  
თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და  
კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

**პარძია**

(რას ვიხი და რასაც განვიხილ)

რედაქციისაგან: რედაქცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სტუდენტი ასე ღრმად გასცნობია ექსპურსიის დროს ჩვენს უპირველეს ისტორიულ ძეგლს. ცხადია, ამ წერილს არა აქვს პრეტენზია ისტორიული შრომისა, თუნდაც ვზამკვლევისა, უბრალოდ, მასში გამოხატულია პიროვნული თვალთახედვა და ცოდნა იმისა, რაც ყოველ მოქალაქეს მოეთხოვება. სწორედ ამ აზრით არის ის საყურადღებო. ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ მზად ვართ ამგვარი წერილები კვლავაც დავბეჭდოთ, თუკი ჩვენი ახალგაზრდები შემოგვეხმებინებიან და მათ მიერ მოხილვეულ ძეგლებზე გვესაუბრებიან.

**ს**ამცხე-ჯავახეთი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი და სრულიად გამორჩეული ხიბლის მქონე კუთხეა თავისი განუმეორებელი და ბრწყინვალე ისტორიული ძეგლებით. ამ მხარეს ამშვენებს კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით თბილისიდან 300 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ახალქალაქის ბეგანსა და ურუმეთის მთიანეთს შორის. ვარძიის კლდეში ნაკვეთი მონასტერი თავისი მასშტაბით გამორჩეულ, საოცარ ქმნილებას წა-


რმოადგენს. უშუალოდ ხილვისას თითოეული მნახველი თავისებურად აღიქვამს მას.

ვიწრო დაბლობში მკვერის ხეობის მარცხივ, ხეილის ბაღების უკან, ვარძიის სახელით წოდებულ ნასოფლარში სათავეს იღებს უნიკალური ხელოვნური წყალსადენი კერამიკის მილებით, რომლის ნაშთი დღემდე შემორჩენილი. გადმოცემით, ერთხელ ვარძიის ხანგრძლივი ალყის დროს თამარ მეფეს უბრძანებია, ალყაშემორტყმულთათვის ამ მილებით წყლის ნაცვლად რძე მიეწოდებინათ.




ვარძია ძვირფასია იმითაც, რომ იგი დაკავშირებულია მეფე თამარის სახელთან. „თამარის ოთახი“ – ასე შეარქვა ხალხმა მონასტრის ერთ-ერთ საცხოვრებელ სათავსოს.

საქართველოში არსებული მრავალი ეკლესიის და ციხისაგან განსხვავებით, რომელთა აგებასაც ხალხი თამარს მიაწერს, ამ შემთხვევაში მის მშენებლობაში თამარის ღვაწლი ისგორიული საბუთებითაც დასტურდება. მრავლის მთქმელია უცნობი ისგორიკოსის ტექსტი,



რომლის მიხედვით თამარმა „ხელყო აღმშენებად საყოველსა გამმარჯუებელსა მისსა ბემთა კურთხეულსა ქუემო ვარძიითა მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოჰკუეთა, თვით პაგიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები. რომელიც მგერთაგანც შეუვალ და უბრძოლველ ყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანაგრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეგება, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოველითურთ“.

კლდის საშუალო ფენაში გამოკვეთილი ვარძიის სამონასტრო კომპლექსი გადაჭიმულია 500 მ. სიგრძეზე და შეიცავს 600-ზე მეტ სათავსოს, რომლებიც იარუსებად არის განლაგებული 105 მ-ის სიმაღლეზე. ამჟამად გამოქვაბულის ფასადი ჩამოქცეულია. თავდაპირველად



ყოველი სართულის გასწვრივ განლაგებული იყო გადახურული დერეფნები, სართულები ერთმანეთს უკავშირდებოდა ჭერში გაჭრილი ხვრელებით და საიდუმლო გვირაბებით. გამოქვაბულთა ფონზე გამოირჩევა თლილი ქვით ნაგები სამრეკლო და ორთაღელი, რომელიც XIII საუკ. ბოლოს მიწისძვრისაგან დაქცეული, მთავარი ეკლესიის კარიბჭეს წარმოადგენს. კომპლექსის დასავლეთით X-XII საუკუნის კლდოვანი სოფელი ანაურია, რომელიც ვარძიის

ანსამბლშია ჩართული. აქ საინგერესოა კლდის სახლები და ეკლესია XIII-XV საუკუნეების მოხატულობით. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა XV საუკუნეში კონსტანტინე მეფის ვარძიაში დაკრძალვის შესახებ, შესაძლოა ანაურის ეკლესიის კლდეში გაჭრილ სამარხს გულისხმობს.

თამარ მეფის დროს ვარძიიდან ხდებოდა ჯარის გასტუმრება ბრძოლაში. ისგორიკოსების ცნობით, მრავალრიცხოვან ბრძოლებში გამარჯვებამ დიდად გაუთქვა სახელი თამარ მეფეს, მასთან ერთად აღიღებდნენ ვარძიის ღვთისმშობელსაც. მემბაგიახენი მიუთითებდნენ იმ საარაკო სიმიდირეზე, რომელსაც სწირავდა თამარ მეფე ვარძიას და რომლითაც შემკობილი იყო გამოქვაბულები.

მიუხედავად არაერთგზის გამანადგურებელი რბევისა, ვარძიამ XVI საუკუნის შუა ხანებამდე შეინარჩუნა თავისი ბრწყინვალება, რაზეც მეტყველებს ლუარსაბ პირველის მეფობის დროს შაჰ-თამაზის მიერ ვარძიის დაპყრობისა და გაძარცვის აღწერა. საქართველოში მესამე ლაშქრობის დროს (1551 წ) შაჰი თვითონ ავიდა გამოქვაბულში, რათა თავისი თვალთ ენახა ყველაფერი, რასაც უყვებოდნენ ვარძიის შესახებ. ფარსადან გორგიჯანიძე თავის ისგორიაში აღნიშნავს, რომ შაჰ-თამაზი ავიდა ციხე-სიმაგრეში

იმის გამო, რომ ბევრი ქება ჰქონდა გაგონილი ამ მონასტრის შესახებ, მაგრამ რაც ნახა, ყოველგვარ ნათქვამს და გაგონილს გადააჭარბაო.

ვარძიის ალების შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს შაჰ-თამაზის თანამედროვე ისტორიკოსი ჰასან-ბეგ რუმელუ თავის ნაწარმოებში „უმშვენიერესი ისტორიათაგანი“.

„ხსენებული ციხე აგებული იყო მთის კალთაზე, მდებარე კლდის ერთ ნაჭერზე თმოგვის ხევის პირას მდინარეზე, რომელიც მკვერის სათავეს წარმოადგენს. მიუვალობით ის ალექსანდრე მაკედონელის კედელს და ხეიბერეს კოშკს ედარება, სიმაღლით კი ლურჯ ცას სწვდება.“

ციხის შუაში ათასი წყრთის სიმაღლის ადგილი გამოეჭრა კლდეში და ეკლესია აეგოთ. ოთხი ფართო სადგომით და გრძელი გაყვარდითა და წმინდანთა გამოსახულებებით იყო მოხატული. მეორე სადგომში დაედგათ ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს გახტი. ორი თვალის მაგივრად იმ უსულო სხეულისათვის ორი ბრწყინვალე ლალი ჩაუსვამთ. აგრეთვე ხსენებული ეკლესიის გარეთ იწყებოდა მეტად ვიწრო ბნელი გზა დაახლოებით ასორმოცდაათი წყრთის სიგრძისა, რომელიც ბემოთ აღიოდა და კლდეში იყო გამოჭრილი, ორი ფარული კოშკი




გაემართათ ქამთა გრიალისა და მოულოდნელი შემთხვევისათვის. გარეთ სადგომებს გაკეთებული ჰქონდა რკინის და ფოლადის კარები, ხოლო ერთი კარი ოქროსი შიგნით სადგომისათვის“...

შაჰი დიდებულ ამირებთან ერთად ეკლესიაში შევიდა, ბარი, რომელიც სამოცდაათ მანს იწონიდა და შვიდგზის იყო ჩამოსხმული, დაამსხვრიეს... „რკინისა და ოქროს კარებები მოგლიჯეს და ბელნიერ ხაზინას გადასცეს, ბაღიხან უსთუჯლუმ დაამგვრია ოთხი სანთელი, რომელთაგან თითოეული იმ არამზადა ურწმუნოებს სამოცი მანი ცვილისაგან ჩემოქნათ“...

გაღმოცემის თანახმად, 1551 წ. გაძარცვულ ვარძიის მონასტრიდან შაჰ-თამაზის მხლებელთა ნაალაფარში წიგნებით დაგვირთული ურმებიც შედიოდა.

ასე მოხვდა მუსლიმანურ აღმოსავლეთში ვარძიის წიგნთა საგანძურიდან XII საუკუნის ხელნაწერი – ოთხთავი, რომელიც XVI საუკუნეში ირანის ერთ-ერთ ბაზარზე შემთხვევით შეიძინა ქართველმა მამულიშვილმა ლეონ მეფის ძემ იესემ და კვლავ დაუბრუნა ვარძიის მონასტერს. ამაზე ამ სახარების ფურცელზე დაახლოებით 1561 წლის ჩანაწერია გაკეთებული.

შაჰ-თამაზისაგან განადგურებული ვარძია დღემდე აღარ აღდგენილა, ის, რაც დარჩა დიდებული აჩრდილია იმ ძველი კლდე-ქალაქისა, რითაც გაოცებული იყვნენ თანამედროვენი. ახლა იგი თავის გმირულ წარსულზე მოგვითხრობს მხოლოდ.



## გამოძახილი

**ჩ**ვენი მკითხველისათვის ცნობლია, რომ შეერთებულ შტატებში საქმიან ვიზიტად იმყოფებოდა ჩვენი ბიბლიოთეკრების ერთი ნაწილი. მასალა ამის თაობაზე გამოქვეყნებული იყო როგორც ჩვენს ჟურნალში, ისე სხვადასხვა პრესის ფურცლებზე. როგორც ჩანს, თვით ამ ფაქტმა მრავალ სპეციალისტში, რომელიც არ შედიოდა დელეგაციის შემადგენლობაში, კეთილშობილური გრძობები გამოიწვია. ამის შესახებ არაერთმა მოგვაწვდინა ხმა და თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა. ერთ-ერთი მათგანია საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი სპეციალისტი ალექსი ნამორაძე, რომელიც გვწერს, რომ ის დიდად მადლიერია ქალბატონ ინგა ფილაურის და ბატონ ირაკლი ღარიბაშვილისა, რომლებმაც ჟურნალში შთაბეჭდავი სტატიები გამოაქვეყნეს. ამასთან ის გვატყობინებს, რომ იმდენად აღფრთოვანებული დარჩა ურთიერთობის დამყარებით, რომ ლექსითაც კი გამოეხმაურა ამ მოვლენას. აქ შემოთავაზებული ფრაგმენტი ნათლად მეტყველებს ამაზე.

ალექსი ნამორაძე

## ქართველი ბიბლიოთეკარები ამერიკის შეერთებულ შტატებში

...ბიბლიოთეკა ხომ ქვეყნის არის სულის ტაძარი,  
 გზის გასაკვლევად ყველასათვის მუდამ მზად არის.  
 კაცობრიობამ იერთებულა ცოდნის სამეფო,  
 სადაც საუნჯე ყველსათვის არის საერთო...  
 უფროსილდებიან ყოველ წიგნს თუ ძვირფას ფოლიანტს,  
 ო, ამერიკავ, დიდებული ხალხი გყოლია.  
 ვნახეთ ქვეყანა მშვენიერი – დიახ, დროც არის –  
 ტაძრები, გზები თუ ხილენი გასაოცარი,  
 თავისუფლების ძეგლი და სხვაც კარგი მრავალი  
 ამერიკული ცხვრებისთვის თანამავალი...  
 ვემშვიდობებით ყოველდღიურ საქმიან დიღებს,  
 იმედით გველის საქართველო საუთარ შვილებს.



## საცნობოდ საკითხავი

მარინა ჩიქავა,

ბიბ.მცოდნეობის ცენტრის მთავარი სპეციალისტი

## I F L A

**ს**აბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1927 წელს, ქ. ედინბურგში ჩატარებულ საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც მიეძღვნა ბრიტანეთის საბიბლიოთეკო ასოციაციის 50 წლისთავს. იდეა ამ ფედერაციის შექმნისა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა და კოორდინაციას გაუწევდა მსოფლიო საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო საზოგადოებას, ჯერ კიდევ ადრე, პროფესიონალთა წრეში წარმოიშვა საერთაშორისო კონფერენციებზე.

ქ. ედინბურგში 1927 წელს საზეიმო ღონისძიებებზე შვიდი ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აქტს, რომელიც მსოფლიოს აუწყებდა, რომ შეიქმნა საერთაშორისო საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კომიტეტი. ამას გარდა კიდევ 8 ქვეყნის ნაციონალური ბიბლიოთეკების ასოციაციებმა გამოაგზავნეს წერილობითი განცხადება, რომლითაც ისინი ეთანხმებოდნენ ამ იდეას და მზად იყვნენ გაწევრიანებულიყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

თავდაპირველად შეიქმნა საერთაშორისო საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კომიტეტი, ხოლო ორი წლის შემდეგ მის პირველ საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც იგალიაში 1929 წლის 15-30 ივნისს მიმდინარეობდა, საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციად გადაკეთდა (IFLA – იფლა).

IFLA-ს პირველი კონგრესის ჩატარების ინიციატივით რომში, ფლორენციასა და ვენეციაში გამოვიდა ფაშისტური იგალია, რასაც პოლიტიკური დაგვირთვა ჰქონდა. ეს წინადადება მიღებულ იქნა – ნაციონალური ორგანიზაციის კომი-

ტეგმა მოსაწვევები დააგზავნა მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის სსრკ-ში. სსრკ-ს დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ლ. ხავკინა და გ. დერმანი. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ მონაწილეობდა პირველ კონგრესზე, იგი მისი წევრი არ ყოფილა (ფედერაციის წევრი მხოლოდ 30 წლის შემდეგ გახდა).

საბჭოთა ბიბლიოთეკებმა IFLA-ს საქმიანობაში მონაწილეობის მიღება 1959 წლიდან დაიწყეს. მაშინ მთელი საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკები წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ერთი ეროვნული ასოციაცია, რომელიც შექმნილი იყო ვ.ი. ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. მაშინ მათი წვლილი IFLA-ს მუშაობაში მეტად უმნიშვნელო იყო.

1990 წლიდან მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, როცა დემოკრატიული პროცესები დაიწყო. შეიქმნა საბიბლიოთეკო ასოციაციები რესპუბლიკებისა და ბიბლიოთეკების გიპების მიხედვით. ასოციაციებმა და ცალკეულმა ბიბლიოთეკებმა დაიწყეს IFLA-ში შესვლა, რათა საერთაშორისო საბიბლიოთეკო საზოგადოების ნაწილი გამხდარიყვნენ. ისინი აცნობიერებდნენ იმას, რომ ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა ხელს შეუწყობდა უკიდურესი გექნიკური ჩამორჩენილობის დაძლევას, დაეხმარებოდა მათ პროგრესული მეთოდებით ბიბლიოთეკების ეფექტიან მმართველობას.

IFLA-ს მიზნები იყო და არის ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობათა თანამშრომლობის განვითარებას, დისკუსიების ჩატარებასა და კვლევებს საბიბლიოთეკო საქმეში ყველა მიმართულებით; ყველა ქვეყანაში ჰყავდეს თავის წარმომადგენელი და ავტორიტეტუ-



ლად წარმოაჩინოს მთელ მსოფლიოში ბიბლიოთეკართა პროფესია.

IFLA-ს დემოკრატიული სტრუქტურა აქვს. მის უმაღლეს ორგანოს საბჭოები წარმოადგენს (ყველა წევრთა საერთო კრება). წევრები აღმასრულებელ ბიუროში კანდიდატებს წარადგენენ. არჩევნები საბჭოს კრებაზე მიმდინარეობს. წევრებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სექციებში და აირჩიონ თავიანთი მუდმივმოქმედი კომიტეტები.

IFLA-ს წესდების მიხედვით, მმართველ ორგანოს აღმასრულებელი ბიურო წარმოადგენს, რომელიც აღმინისტრაციულ-მმართველობით ფუნქციას ასრულებს. პროფბიურო კი საკოორდინაციო და პროფესიული საქმიანობის დაგეგმვას ახდენს.

აღმასრულებელი ბიუროს შემადგენლობაში შედის პრეზიდენტი და მისი 7 წევრი, რომელთა არჩევა საბჭოს სსდომაზე ხდება, ხოლო პრეზიდენტის თანამდებობა პროფბიუროს პრეროგატივაში შედის.

IFLA მიისწრაფის, რათა გარკვეული გავლენა ჰქონდეს საერთაშორისო მოვლენებზე, რისთვისაც მას საკმარისი საფუძვლები გააჩნია.

თუ 1991 წლის მიწურულს IFLA-ს 143 ქვეყანაში თავისი წევრი ჰყავდა, მათგან 85 ქვეყანა „მესამე სამყაროს“ მიეკუთვნება, დღევანდელი მონაცემებით IFLA-ში 1622 წევრია გაერთიანებული.

IFLA აერთიანებს საბიბლიოთეკო ასოციაციებს, ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოთეკარებს, მიუხედავად ბიბლიოთეკების ტიპებისა და სპეციალიზაციისა. ყველა მათგანს შეუძლია IFLA-ს სტრუქტურაში იხილოს ჯგუფი, რომელიც მათ პროფესიულ ინგერესებს შეესაბამება.

IFLA წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პრივილეგირებულ საერთაშორისო ორგანიზაციას, რადგან მასალები, რომლებზედაც მუშაობენ ბიბლიოთეკარები, ატარებს საერთაშორისო ხასიათს. ესენია: მიმდინარე საკითხები, როგორცაა უნივერსალური ბიბლიოგრაფიული აღრიცხვა და საერთაშორისო პროგრამა MAPK; გამოცემათა

საყოველთაო ხელმისაწვდომობა, შენახვა და კონსერვაცია, მონაცემთა უნივერსალური გადაცემა და ტელეკომუნიკაციები. ეს საკითხები რთულია და ამავე დროს ურთიერთდაკავშირებული, რაც საკითხის ერთობლივ გადაწყვეტას მოითხოვს.

### სტატუსი

IFLA-მ არსებობის მანძილზე საპატიო უფლება მოიპოვა – ილაპარაკოს მსოფლიო საბიბლიოთეკო საზოგადოების სახელით. IFLA-ს აქვს საკონსულტაციო სტატუსი იუნესკოში. კერძოდ, ზოგადი პროგრამების საინფორმაციო განყოფილება. ზოგიერთი სხვა განყოფილება IFLA-საგან კონსულტაციას იღებს, როცა მზადდება საერთაშორისო ან რეგიონალური პროგრამები, რომლებიც IFLA-ს კომპეტენციურ ჩარჩოებშია. გარდა ამისა, იუნესკო მიმართავს IFLA-ს დახმარებისათვის და უთანხმდება სამეცნიერო კვლევების, კრებებისა და სემინარების ჩატარებასთან დაკავშირებით. ამ ღონისძიებების ჩასატარებლად IFLA იუნესკოსაგან სოლიდურ თანხებს იღებს.

IFLA იბოლირებულია არ მუშაობს და არც მიისწრაფის ამისკენ, არამედ ავითარებს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც საერთაშორისო სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ყველაზე ახლოს იგი თანამშრომლობს საერთაშორისო დოკუმენტების ფედერაციასთან და საერთაშორისო არქივების საბჭოსთან. ასევე 14-მა საერთაშორისო ორგანიზაციამ და 15-მა საერთაშორისო ასოციაციამ თანამშრომლობის და წევრობის მჭიდრო კავშირები დაამყარეს IFLA-სთან.

### IFLA-ში წევრობის უპირატესობა

IFLA ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობის შედეგად მსოფლიო საბიბლიოთეკო საზოგადოებას შეუძლია საერთო მიზნების ფორმირება, მათზე გავლენის მოხდენა, თავისი ინგერესების დაცვა და საერთო წინააღმდეგობების გადალახვის გზების შემუშავება. ის აწყოებს საერთაშორისო დისკუსიებსა და ფო-

რუმებს, ხელს უწყობს თანამშრომლობას, კვლევებს საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის ყველა მიმართულებით: ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე.

წევრებს, რომლებიც მონაწილეობენ სექციებსა და მრგვალი მაგიდის მუშაობაში, შესაძლებლობა ეძლევათ პროფესიული გამოცდილების გაზიარებისა და გაცვლისა.

IFLA-ს ხუთ პროგრამაში მონაწილეობა საშუალებას იძლევა, განვითაროთ ეროვნული საბიბლიოთეკო საქმე.

თავისი პროგრამების რეალიზაციისათვის IFLA ყოველწლიურად აწყობს კონფერენციებს, სადაც 150 პროფესიული სხდომა გარდება, რომლის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ პრაქტიკული გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთგაცვლისა. ამ კონფერენციებში ჩვეულებრივად მონაწილეობს 2000-2500-მდე ბიბლიოთეკარი 80-90 ქვეყნიდან.

IFLA-ს ხუთი ძირითადი პროგრამა წვლმება შემუშავებული. ეს პროგრამებია:

1. გამოცემების ხელმისაწვდომობა (VAP);
2. უნივერსალური ბიბლიოგრაფიული აღრიცხვა და საერთო პროგრამა MAPC (VBCIM);
3. შენახვა და კონსერვაცია (PAC);
4. მონაცემების უნივერსალური გადაცემა და ტელეკომუნიკაციები (VDT);
5. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება „მე-სამე სამყაროს“ ქვეყნებში.

### IFLA-ს საქმიანობა

IFLA თავის საქმიანობას ორი ქვეგეპი განყოფილების საშუალებით ახორციელებს. ერთი ესაა პროფესიული ჯგუფები (32 სექცია და 12 მრგვალი მაგიდა დაჯგუფებული 8 ჯგუფად), მეორე – ჯგუფები, პასუხისმგებელი საერთაშორისო პროგრამების რეალიზაციაზე.

IFLA-ს ძირითად პროფესიულ ქვეგეპებს წარმოადგენს სექციები და მრგვალი მაგიდა, რომლის ერთი ნაწილი ჩამოყალიბებულია ბიბლიოთეკების გეპების, ხოლო მეორე – ბიბლიოთეკების საქმიანობის მიხედვით. გაწევრიანება შე-

იძლება ნებისმიერ სექციაში. ყველას შეუძლია ექსპერტი წარადგინოს მუდმივ მოქმედ კომიტეტში, სადაც ძირითადად ბიბლიოთეკების სპეციალისტები არიან.

### წევრობის კატეგორია

არსებობს ხმის უფლების მქონე წევრობის ორი კატეგორია. ესენია: ასოციაციები და ორგანიზაციები. გარდა ამისა, არსებობს წევრობის კიდევ ორი მნიშვნელოვანი კატეგორია: გაერთიანებული ინდივიდუალური წევრები და ორგანიზაციათა წევრები, რომლებსაც ხმის უფლება არა აქვთ.

1. IFLA-ში საწევროს გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს ამ ქვეყნის წლიური გადასახადის 0.1%, რომელსაც ის იუნესკოში იხდის. წლიური საწევროს მინიმალურ გადასახადს, როგორც განვითარებად, ისე განვითარებული ქვეყნებისათვის, შეადგენს 600 ჰოლანდიური გულდენი.

საერთაშორისო წევრები – ასოციაციები წლიურ საწევროს იხდიან 600 ჰოლანდიური გულდენის ოდენობით, ასოციაციებს შეუძლიათ გაწევრიანდნენ საწევროს გადახდის გარეშე 4 სექციაში.


2. წევრი-ორგანიზაცია იხდის წლიურ საწევრო გადასახადს 600 ჰოლანდიურ გულდენს და უფლება აქვს საწევროს გადახდის გარეშე რეგისტრაცია გაიაროს 2 სექციაში.

3. ინდივიდუალური და გაერთიანებული წევრი იხდის წლიურ საწევრო გადასახადს 150 ჰოლანდიურ გულდენს. მათ შეუძლიათ ერთ სექციაში გაიარონ რეგისტრაცია საწევრო გადასახადის გარეშე.

### IFLA-ს გამოცემები

ყველაზე შესამჩნევი შედეგები IFLA-ს აქვს კვლევისა და სხვა სახის შემოქმედებით საქმიანობაში, მისი გამოცემები, რომლებიც უფასოდ ან ნახევარ ფასში მიეწოდება მის წევრებს, არის:

1. ჟურნალი IFLA (ყოველკვარტალური)
2. ყოველწლიური IFLA



- 3. IFLA-ს განვითარების ძირითადი მიმართულებები (2-ჯერ)
- 4. IFLA-ს პროგრამები
- 5. IFLA-ს წესდება და პროცედურული წესები
- 6. საინფორმაციო ბიულეტენი განყოფილებისათვის და სექციებისათვის

- 7. ძირითადი პროგრამების საინფორმაციო ბიულეტენი.
- ეს მასალები საშუალებას იძლევა აბსოლუტურად ინფორმირებული ვიყოთ მსოფლიოს საბიბლიოთეკო საქმიანობის პერიპეტივებში.



### წიგნუა ამბობენ



– „მშობლებზე მეტად გიყვარდეს წიგნი“

წარწერა გაძრის კელეზზე (ეგვიპტე)

– „წიგნებს შევყავართ უკეთეს საზოგადოებაში, გვაცნობენ ყველა ღრის უდიდეს ადამიანებს... გვირჩევენ, გვანუგეშებენ ჭირსა თუ ლხინში“.

– „წიგნებს აქვთ უკვლავების უნარი. წიგნი ადამიანური საქმიანობის ყველაზე უფრო დღეგრძელი ნაყოფია“.

სამუელ სმაილსი

– „არ არსებობს ისეთი ცული წიგნი, რომ რაიმეთი სასარგებლო არ იყოს“.

პლინიუს სეკუნდუსი

– „წიგნები საუკეთესო მეგობრები არიან. ცხოვრების ყოველ განსაცდელში შეგიძლიათ მათ მიმართოთ. წიგნები არასოდეს გიღალატებენ“.

ალფონს დოდე

– „წიგნები ამრის ხომალდებია, ჟამთა გალღებში რომ მიცურავენ და მზრუნველად გადასცემენ ძვირფას გვირგვინს თაობიდან თაობას“.

ფრენსის ბეკონი

– „ყოველი კარგი წიგნი თვალწინ გვიშლის ახალ სამყაროს“.

ჯორჯანო ბრუნი

(შეკრიბა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტმა ქსენია რუსიშვილმა)

## ქრონიკა

## საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

**9** ივლისს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. განიხილეს საბიბლიოთეკო ცხოვრების აქტუალური საკითხები: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ჩატარებული სემინარიის „ბიბლიოთეკა და ადამიანის უფლებები“ შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრმა მ. რამზაძემ, ი. ღარიბაშვილმა, გ. შათირიშვილმა და თ. ჩხენკელმა ინფორმაციები გააკეთა თბილისში ამერიკელი, ლიტველი, გერმანელი და რუსი სპეციალისტების მიერ ჩატარებული სემინარების შესახებ. სხდომაზე გაეცნენ საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის მუშაობას; ინფორმაცია გააკეთა ბიბლიოთეკის დირექტორმა მ. ქორჩილაძემ.

\* 1-9 აგვისტოს ბერლინში გაიმართა საბიბლიოთეკო დაწესებულებებისა და ასოციაციების საერთაშორისო ორგანიზაციის (IFLA) კონგრესი. მასში მონაწილეობდნენ საქართველოდან: ლ. ბერძენიშვილი – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი; ი. ღარიბაშვილი – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი, გ. შათირიშვილი – საქართველოს ინფორმაციის სპე-

ციალისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, მ. რამზაძე – თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე, თ. ჯაჭვამე – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეთა მოკლე ანგარიშს გაგაცნობთ ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში.

\* 15-19 სექტემბერს თბილისში სტუმრად იყო მოსკოვის გერმანული კულტურის ცენტრის საინფორმაციო საბიბლიოთეკო განყოფილების ხელმძღვანელი ქ-ნი ანდრეა ბახი. იგი ეწვია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებს. ქ-ნი ბახი იმავდროულად შეხვდა და ესაუბრა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის ხელმძღვანელებსა და გამგეობის წევრებს. საუბარში მონაწილეობდნენ თბილისის გოეთეს სახელობის ინსტიტუტის ხელმძღვანელები. შეხვედრებზე ყურადღება იქნა გამახვილებული საქართველოსა და გერმანიის კულტურულ თანამშრომლობაზე, ბიბლიოთეკებს შორის გამოცდილების გაზიარებასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.



გულნარა სტურუა

## რატომ არ ბინდამ ჰეპდამ ზუბალაშვილას? (დაუთამთ ბიბლიოთეკას თაჟისი ნილი)


**დ**ავით აღმაშენებლის გამზირზე, №103-ში ერთი მშენიერი არქიტექტურული შენობა მდებარეობს. ვინ და როდის ააშენა, რისთვის და რამდენი ხნის არის – ამის განხილვა არ გვაწყენდა თბილისელებს, მაგრამ ამჟამად სულ სხვა მიზნით დავიწყე ამ შენობაზე ლაპარაკი. ისიც მინდა ვთქვა, რომ ასეთი თვალის მომგაცი შენობები არც თუ ბლომად გაგვარჩნია ქალაქში, და, ამდენად, ვფიქრობდი, იგი ისტორიული ძეგლების რიცხვში იქნებოდა მოხვედრილი.

– არისო კიდეც! – მიდასტურებენ სარწმუნო წყაროების მოშველიებით: დავით აღმაშენებლის გამზირზე №103-ში მდებარე შენობა, რომელიც აგებულია მე-19 საუკუნის დასაწყისში, აყვანილია სახელმწიფო დაცვაზე, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1988 წლის 10 მარტის №185 გადაწყვეტილებით (ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, კ.ს. გრაპაიძე).

ხედავთ, ბატონებო? სახლი, რომელიც არქიტექტურის ძეგლად აღიარებული, დღეს უკვე რაღაც მაქინაციებით პრივატიზირებულია სასტუმროების გაერთიანების „მასპინძლის“ მიერ და ქცეულია სასტუმრო „ვეროპად“. ეს მომხდარა 1994 წელს. სასტუმროების გაერთიანებას კუპონებით (!) შეუძენია იგი, როცა კანონის ძალით არ შეიძლებოდა კულტურის ძეგლთა დაცვის ნუსხაში შეტანილი ნაგებობის გაყიდვა. ეს ერთი მხარეა. მეორე – ამ შენობაში 1928 წლიდან განთავსებული იყო და არის ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელსაც საერთო ფართობის

უმნიშვნელო ნაწილი უჭირავს პირველ სართულზე (246 კვ.მ.). ეს არის ამჟამად მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საქალაქო ცენტრალური ბიბლიოთეკა (დირექტორი ც. კალმახელიძე) რომელიც ქალაქის ყველა ბიბლიოთეკა-ფილიალს აერთიანებს. ეს არის ისტორიული ბიბლიოთეკა, რომელიც თითქმის ასწლოვანია. იგი ძმებმა ზუბალაშვილებმა დააარსეს მშრომელი ხალხის სასარგებლოდ. ამ საქმისათვის არავითარი სახსრები არ დაიშურეს და ამით უკვდავყვეს თავიანთი სახელები. დღეს, სამწუხაროდ, სხვაგვარად მოაზროვნენი მოგივრავლდნენ. რას არ კადრულობენ, რომ ხალხის ინტერესები უგულვებელყონ. კანონებსაც ებლაუჭებიან, ცხადია, მათი გაუკუღმართებით, რაღაც ათასგვარი მაქინაციებით, რომ უკანონობა კანონის ძალით გაიგანონ, და ჰგონიანთ, თავი ქუდში აქვთ. ქვეყნის უბედურება სწორედ მაშინ იწყება, როდესაც კანონი ათასგვარ უკანონობას ფარავს. ჩვენს შემთხვევაში ეს ხომ ასეა?

თუ ეს ასე არ არის, მაშინ რა საფუძველითა და რა მოგივებით შეიძლება მიმართო ადამიანმა სასამართლოს, თბილისელთა ერთ-ერთი საყვარელი, ქალაქში ცნობილი ბიბლიოთეკის ფონდი ქუჩაში გამოიყაროს იმ მიზეზით, რომ ამ მშენიერი შენობის პრივატიზაცია მოახდინე 1995 წელს? თავი დაგანებოთ იმას, რომ დღეს ბიბლიოთეკის პრივატიზაცია კანონით დაუშვებელია, პრივატიზაციის პროცესი მაინც ხომ უნდა ჩაგარებულიყო სამართლიანად? ეს საქმე ისე მოგვარდა, ერთი სიგყვაც არ უთხრეს ათეული წლებით აქ განთავსებულ ბიბლიოთეკის მუშაკებს. „შევეძელი და გავაკეთე, ჩემს საწადელს მივა-



დწიე, და აქედან ნებით თუ არ გაბრძანდება ეს ბიბლიოთეკა, ძალით გააბრძანებენ სასამართლოს გადაწყვეტილებითო“, – ასეთია „მასპინძლის“ მორალური კრედო. მას ახლა ზურგი აქვს „გამაგრებული“ – ხელთ უპყრია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღმსრულებლო ბიუროს 2003 წლის 11 ივლისის №01-14 წერილი, რომელიც ბიბლიოთეკას ავალებს 5 დღის განმავლობაში დაცალოს დავით აღმაშენებლის გამზ. №103-ში, სასტუმრო „ევროპის“ შენობაში მდებარე სააქციო სამოგადოება „მასპინძლის“ კუთვნილი 246 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი. აი, ასე! არც მეტი, არც ნაკლები! ეს ოთხსართულიანი ისტორიული შენობა თურმე მხოლოდ სასტუმრო „ევროპის“ ყოფილა და შენობის პირველ სართულზე ბიბლიოთეკას არაფერი ესაქმება! ასე ფიქრობს შპს „მასპინძლის“ 253 კაცისაგან შემდგარ აქციონერთა საბჭო და მისი პრეზიდენტი ანრი მაჭარაშვილი. ასე რომ, არ ეფიქრათ და ებრუნათ, მაშინ 2003 წლის 6 ივნისს დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო (თავმჯდ. დოიაშვილი) შენობიდან ბიბლიოთეკის გამოსახლების გადაწყვეტილებას არ გამოიგანდა. უფრო მეტიც – სულაც არ შედგებოდა ეს სასამართლო.

საერთოდ, ბევრი ასე ფიქრობს და „მასპინძლის“ ვაჟბატონებიც ალბათ ფიქრობენ: ბიბლიოთეკა ისეთი რამაა, მისი აბუჩად აგდება არაფერიც არ არის; მერე რა, რომ 45.000 წიგნადი ფონდი ქუჩაში გადაყარო და 2500 მკითხველს ჩალა გამოავლო პირში? მერე რა, რომ ბიბლიოთეკის 4 განყოფილება – დარბაზი, ბიბლიოგრაფიული, საკატალოგო, პერიოდიკა უბინაოდ დატოვო? მერე რა, რომ ქალაქის 45 ბიბლიოთეკაფილიალი მეთაური ბიბლიოთეკის გარეშე დარჩება? არავის არ უკვირს, ასეთი ფიქრები რომ უგრიანლებთ თავში კომერციული იდეებით შეპყრობილ ადამიანებს, მოსამართლე დოქტორების მოქმედება – ისტორიული ნაგებობების დაცვისა და პრივატიზაციის კანონების გვერდის ავლით რომ გამოაქვს გადაწყვეტილება ბიბლი-

ოთეკის გამოსახლების შესახებ.

თუ ერთი საუკუნის წინ თბილისელმა შეძლებულმა ძმებმა ზუბალაშვილებმა ქალაქელთა სასიხარულოდ სახალხო სახლი ააგეს ბიბლიოთეკით და ქალაქს გადასცეს უსასყიდლოდ, ხოლო შემდეგ, როდესაც ბიბლიოთეკა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ველარ შეძლებდა ფუნქციონირებას და 1928 წელს ახლანდელ შენობაში გადმოიყვანეს, რითაც ერთბაშად გაუუმჯობესდათ პირობები, რა ხდება დღეს? XXI საუკ. დასაწყისში შეძლებული თბილისელი „ძმები“ ხალხს ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ადგილს სტაცებენ, ხოლო უმარამაზარ სულიერ ქონებას წიგნების სახით გასანადგურებლად იმეგებენ.

ბატონ ანრი მაჭარაშვილს რომ ჰკითხოთ, თურმე არა, ბიბლიოთეკას არას ერჩიან – გასული წლის 25 აპრილს მიწისძვრამ შენობა დააზიანა და მისი გამაგრებაა საჭირო. ამიტომ ბიბლიოთეკამ უნდა დატოვოს შენობა. ჩატარდება გამაგრებითი სამუშაოები და გარემონტებულ შენობაში ის კვლავ დაბრუნდება. პატარა ბავშვიც კი უცებ მიხვდება, რომ ეს ფანდია. კაცს ხელთ უჭირავს სასამართლოს გადაწყვეტილება ბიბლიოთეკის გამოსახლებაზე, აქამდე ეს ვერ მოუხერხებია და ის გარეთ გამოსულ ბიბლიოთეკას უკან დააბრუნებს?

ისე, კაცმა რომ თქვას, ხომ შეიძლება ვენდოთ მის სიტყვას, იქნება მართლაც კეთილი სურვილები ამოდრავებს ადამიანს? რატომ არა?.. მაგრამ ის როგორ გავიგოთ, ჩუმად და მზაკვრულად ჩატარებული პრივატიზაციისთანავე ბიბლიოთეკას, როგორც მეიჯარეს ჯერ 1 ლარს სთხოვდნენ კვადრატულ მეტრში, შემდეგში 3-ს, რის გამოც სასამართლოში იჩივლა ბიბლიოთეკამ და მოიგო პროცესი. ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, ამ გზით რომ ვერ გაიჩინა შემოსავალი შპს-მ, გადაწყვიტა, სულაც ხელში ჩაიგდოს ბიბლიოთეკის ფართი. ამაშიც რომ დიდი წინააღმდეგობა შეხვდა – ხალხი ამღელვარებულია, აქციას აქციებზე მოწყობას აპირებს, რამდენიმე



## ბაბუის ნაჭაპი ტყეპალი

**ა**ლბატონ გულნარა სგურუას წინამდებარე წერილმა არ შეიძლება არ შედრას ადამიანი. მართლაც, როგორ დავეცემულვართ, როგორ დავქვევითებულვართ, როგორ გავხრწნილვართ, თუ კი ალბატონ გულნარა ანგარიშს – არც წარსულს, არც აწყმოს, არც მომავალს, თუკი სასამართლოსაც კი არხეინად გამოაქვს ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილებები და არავის აწუხებს ეს, უბრალო მოქალაქეთა გარდა, რომლებიც იძულებულნი ხდებიან ქუჩაში გამოვიდნენ საპროტესტო აქციებით და ძალისთვის ძალის დაპირისპირებით სცაღონ სიმართლის დაცვა.

შეღიხართ თუ არა თბილისის ცენტრალური ბიბლიოთეკის მთავარ დარბაზში, კელღზე გაკრული გრანსპარანგი თითქოს გულშეძრული დაღადებს: „ძველი ქართველების ნაამაგარს „ახალი ქართველები“ ემუქრებიან. ბიბლიოთეკის ჯერი დაღა – წიგნებს ქუჩაში ყრიან!“ ასე მგონია, ქუღზე კაცს მოუწოდებს ეს სიგყვები. ასეცაა! ყველა ფეხზე უნდა დაღგეს, ვისაც ქართული კულტურის სიყვარული, რიღი და პატივისცემა აქვს.

მაგრამ რა ვუყოთ ამ „ახალ ქართველებს?“ ცოგა ხნის წინ (და შეიძლება ჯერ კიღვე ახლაც) ამ სიგყვებს – „ახალ ქართველებს“ – სიამაყით ახსენებღნენ, მაგრამ როგორც ხეღავთ, სულ ცოგა ხანში ისინი საღანღღავ სიგყვებად გადაიქცევა. აქა-იქ უკვე კიღვე გვესმის ირონიზირებული ინგონაციები. რა გასაკვირია? სააქციო საზოგადოება „მასპინღელი“ და მისი პრეზიდენტი ანრი მაჭარაშვიღი, გნებაავთ „ანრი მაჭარაშვიღი და კომპანია“ (ძვეღღად ამას ასე დაწერღღენ: მაჭარაშვიღი K<sup>0</sup>; კომპანიის აღმნიშენელ ასღს „ნულს“ დაასვამღღენ თავზე, და ღღესაც არ

იქნება ურიგო, თავში „ნული“ დაღვსავთ კომპანიას) მხოლოდ იმას რომ ფიქრობენ, როგორ ამრავღღონ თავის სასარგებლოდ კაპიგალი, როგორ კეთიღღმოაწყონ თავიანთი ცხოვრება, და სხვას არას დაღიღვეენ, რა სახეღღს დაუმკვიღღრებენ „ახალ ქართველებს?“ ან ის ადამიანები, რომლებიც ხეღღს უწყობენ მათ ამაში (ვიღს იცის, რა წასაგღღების ფასად) რას წარმოაღღგენენ? როცა ერთი და იგივე დაწესებუღღება (იგუღღისხმება ზავრიევის სახეღღობის ინსტიტუტი) ერთ და იმავე ობიექტზე ორ საპირისპირო დასკვნას იღღვევა სხვადასხვა ღღროს, რას უნდა ნიშნავღღეს ეს? ან მოსამართლე ღღოჯაშვიღღმა როგორ არ იცის, რომ პრივატიზაცია ბიბლიოთეკას კანონით არ ეხება და არც ისგორიულ ძეგღღად შერაცხულთა სიაში შეგანიღღი ნაგებობის გაყიღღვა შეიძლება? ან რაგომ არავიღს იცის, რომ ბუნებაში არავითარი ღღოკუმენტი არ არსებობს არც პრივატიზაციის, არც ქონების დაღვის, არც ძეგღღთა დაღვის ორგანიზაციებში სხენებული შენობის შესყიღღვის შესახებ? რაგომ ხუჭავს ყველა თვალს ამაზე. პროფესიული უვეიცობაა ეს თუ სხვა რამე?.. ცინიზმი იმის იქეთ საღ წავა, როცა ბიბლიოთეკას „მასპინღელი“ უჩიღღვა და „მოუგო“, ამ უკანასკნელმა სასამართლოს ხარჯების გადახდაც კი საწყალ ბიბლიოთეკას მოთხოვა. კი, ბაგონო, კანონია ასეთი: წავებული იხღღს, მაგრამ ასეთ ადამიანებს, თქვენ განსაჯეთ, შეიძლება ენღოთ – ბიბლიოთეკა გავიღღეს და რომ გავარემონტებთ შენობას, მერე ისევე შემოვიღღესო?

ნუ გვიწყენს ქალბატონი გულნარა სგურუა, მაგრამ, ვფიქრობ, გყუიღღად ირჯება, ამ ხალხის „ნამუსზე შეგღღებას“ რომ ფიქრობს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც იმას კი არ ფიქრობენ, „რას იგყვის ჩვენზე მთამომავღღობა“, არა-




მედ ღღეს რას მოიგებს, ღღეს რას მიიგაცებს, ღღეს რით გაილაღებს თავს, ღღეს... ღღეს... ღღეს!.. მართალია, შვილებზე, შვილიშვილებზე ბრუნავს (მხოლოდ თავისაზე, სხვა არ ენადვლება), უნდა მათ მომავალში უბრუნველი ცხოვრება განუმზადოს, მაგრამ იმას კი არ ფიქრობს, ნათქვამი რომაა: „ბაბუას ნაჭამმა გყემაღმა შვილიშვილს მოჰკვეთა კბილებით“. ჰოდა, იქნებ მათ შვილიშვილებს ბაბუის გვარის გარებაც კი ეძნელებოდეთ, ბაბუის სახელის ხსენებაც კი არ უნდოდეთ. სხვათა შორის, საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის ორი მომრდილი გომი არსებობს, უამრავი საგაბეთო და საქურნალო სგაგია, რომლებშიც თითქმის ყველა ადამიანს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, ვისაც რა დაუმსახურებია საბიბლიოთეკო საქმეში – კარგი თუ ცუდი. ასე რომ, არაფერი იკარგება. ნუ ჰგონიათ მავანთ და მავანთ, მათი ღღევანდელი ნამოქმედარი ჩაიფარცხება და მომავალი ამას დაკარგავს. ამიგომაც, თუ

ადამიანს აფიქრებს თავისი მომავალი, უნდა იცოდეს, ღღევანდლობა განსაზღვრავს მას. მომავალ თაობას, შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს კარგ სახელზე უფრო დიდ ქონებას ვერაფერს დაუტოვებ.

ერთიც მინდა ვთქვა სასგუმრო „ევროპის“ გასაგონად: გყუილად ჰგონიათ აქ, რომ სასგუმროსთან კარგი, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა თუ იქნება, სადაც წიგნებსა და ქურნალ-გაბეთებთან ერთად იარსებებს საინფორმაციო ცენტრი, მოეწყობა ინდივიდუალურად მუსიკის მომსმენი აპარატურა, ვიდეოთეკა, კომპიუტერები და გონივრულად დასვენების კუთხე, ნაკლებპრესტიჟული იქნება, ვიდრე გოგალიზაგორი, კამინო თუ საიდუმლო ბორდელი, რომელიც შეიძლება ბიბლიოთეკის ნაცვლად გახსნას, ძალიან ცდება.

მაგრამ, მე მგონი, ხალხი არ დაუშვებს ამას!

მუღამ სიკეთისათვის მებრძოლი  
თქვენი კონწარა.





საბიბლიოთეკო კვირული საქართველოში

